www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 13 სექტემბერი, 2002 წელი. №103

ფასი 50 თეთრი


## საქართველოს პარლამენტი მთელ მსოფლიოში აგზავნის სიგნალს - "SOS!"

გიორგი ასანიშვილი

11 სექტემბერს რუსეთის პრეზიდენტის მიერ საქართველოს მისამართით გაჟღერებულმა მუქარამ ისედაც ნაკლებად ორგანიზებული პარლამენტი საერთოდ ამოაგდო სამუშაო რიტმიდან. გუშინ დეპუტატებმა კანონპროექტები გვერდზე გადადეს და მთელი დღე იმაზე მსჯელობაში გაატარეს, თუ რა უდევს საფუძვლად ჩვენი ქვეყნის მიმართ მოსკოვის აგრესიულ პოლიტიკას და როგორ უნდა მოხდეს მისი განეიტრალება.

პარლამენტართა შეფასებები საკმაოდ არაერთგვაროვანი იყო, მაგრამ მათ შორის, თავისი ორიგინალურობით, მაინც თედო პაატაშვილის მოსაზრება გამოირჩეოდა.

**"რუსეთის პრეზიდენტს მადლობაც კი უნდა ვუთხრათ იმ რეკლამისთვის, რომელიც მან 11 სექტემბერს გაგვიკეთა. პუტინის განცხადებით კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი იმ ფაქტს, რომ კავკასია უმნიშვნელოვანეს რეგიონს წარმოადგენს და ამ რეგიონში საქართველოს როლი განუზომლად დიდია. ასეთი რეკლამა საქართველომ თავის სასარგებლოდ უნდა გამოიყენოს",** - მიიჩნევს პაატაშვილი.

გაგრძელება A3 გვერდზე



*მზადდება მიმართვა მსოფლიო თანამეგობრობისადმი.*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

## ამერიკა რუსეთისთვის პასუხის გასაცემად ემზადება

### აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი დღეს მწვავე განცხადებას გააკეთებს

ეკა კვესიტაძე

"24 საათის" ინფორმაციით, ქართულ-ამერიკულ-რუსული სამკუთხედი, შესაძლოა, მალე ამოქმედდეს და თედო ჯაფარიძე, ამერიკის უშიშროების საბჭოს მდივანი კონდოლიზა რაისი და რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი ერთმანეთს ვაშინგტონში შეხვდნენ.

სამი ქვეყნის ოფიციალური პირების შეხვედრის აუცილებლობა დღის წესრიგში ქართულ-რუსული ურთიერთობის საშიშ კონდიციამდე გამწვავების გამო დადგა. ვლადიმირ პუტინის აგრესიულ განცხადებას გუშინ ამერიკის ადმინისტრაციის მხრიდან ოფიციალური გამოხმაურება არ მოჰყოლია. თუმცა, უკვე მზად არის განცხადების ტექსტი, რომელსაც სახელმწიფო დეპარტამენტი დღეს გააკეთებს და ის საკმაოდ მწვავე იქნება.

გაგრძელება A2 გვერდზე

## გუშინ საგარეო უწყებაში სვეცდავალებას ელოდებოდნენ

თამარ მჭედლიშვილი

*რუსეთის პრეზიდენტის განცხადებას საქართველოს საგარეო უწყების ოფიციალური რეაქცია ჯერ არ მოჰყოლია. გუშინ სამინისტროს წარმომადგენლები მხოლოდ საზღვარგარეთის ქვეყნების ელჩების მიღებით შემოიფარგლნენ და მედიის წინაშე მოკლე განცხადებებით წარდგნენ. საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორის, კახა სიხარულიძის თქმით, ოფიციალური პასუხის ფორმას საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოს ხელისუფლების "საგანგებო დავალების შემდეგ ჩამოაყალიბებს".*

ერთი სიტყვით, ქართველი დიპლომატები საკუთარ პასიურობას საქართველოს მთავრობისაგან დირექტივების მიუღებლობით ხსნიან. თუმცა, იქვე აცხადებენ, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო დამატებითი ღონისძიებების გატარებას აპირებს, რათა **საერთაშორისო თანამეგობრობამ ყურადღება მიაქციოს იმ პროცესებს, რომელიც ახლა საქართველოსა და რუსეთს შორის ვითარდება.** ამის მიუხედავად,

გაგრძელება A3 გვერდზე


საქართველოსგან ასეთ რბილ რეაქციას რუსეთიც არ ელოდა A2

ანატოლი ჩეხოევის გეგმა A2

"წინამურის ერთობა" A2

ედპ-ს თავმჯდომარე მთავრობისგან რადიკალურ ნაბიჯებს ითხოვს A2

ლეიბორისტთა ლიდერს სახელმწიფო მინისტრთან ალიანსში ადანაშაულებენ A2

სემეკი ჯონდი ბაღათურიას სამართალში მიცემას მოითხოვს A4

რუსთავის მეტალურგიულს ინკოგნიტო იტალიელები ყიდულობენ A4

იტალიაში თხუთმეტი პაკისტანელი დააპატიმრეს A5

არაფატი ახალ მთავრობას ადგენს A5

ცვლილებები, რომელსაც ელიან და რომლისაც ეშინიათ A6

პანკისში პროვოკაციებია მოსალოდნელი A7

ანტიკრიმინალური ოპერაციისას პირველი ჩეჩენი დააკავეს A7


## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 26 |
| ქუთაისი | 26 |
| ბათუმი | 23 |
| სოხუმი | 24 |
| ფოთი | 24 |
| თელავი | 24 |
| ზუგდიდი | 27 |
| გორი | 22 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1850 |
| ევრო | 2.1448 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4071 |
| რუბლი | 0.0690 |

## ხელისუფლებამ უნდა შეწყვიტოს სრულიად უპასუხისმგებლო პოლიტიკის გატარება

### ინტერვიუ ზურაბ ჟვანიასთან

ეკა კვესიტაძე

**- რამდენად მოსალოდნელია, რომ პუტინის განცხადების შემდეგ სიტუაცია უკიდურესობამდე გამწვავდეს და რუსეთმა მართლაც გადაწყვიტოს საქართველოს ტერიტორიების დაბომბვა?**

- პუტინი არა არის ის ადამიანი, რომელიც გადაწყვეტილებებს სპონტანურად იღებს. ის საკმაოდ თანამიმდევრული პოლიტიკოსია. ამიტომ ვფიქრობ, რომ მისი განცხადება უკიდურესად შემაშფოთებელია და საქართველოს წინააღმდეგ ამას, შეიძლება, ძალიან საშიში ქმედებები მოჰყვეს. როგორც ჩანს, რუსეთის ხელისუფლება ცდილობს, მაქსიმალურად გამოიყენოს ის დრო, როცა შეერთებული შტატებისა და დასავლეთის ქვეყნების ყურადღება მთლიანად ერაყის პრობლემისკენ არის მიმართული. რუსულ "დიპლომატიას" სჩვევია, რომ საგულდაგულოდ შეარჩიოს საერთაშორისო დღის წესრიგში განსაკუთრებით დაძაბული მომენტები და სწორედ ამ დროს განახორციელოს საშიში ქმედებები საქართველოს წინააღმდეგ. ამდენად, დღეს ხელისუფლებას და თითოეულ პოლიტიკურ ძალას განსაკუთრებული პასუხისმგებლობის გამოვლენა მართებს.

**- ეს განცხადება რუსეთის პრეზიდენტმა გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომამდე ერთი დღით ადრე გააკეთა, ანუ მანამდე, ვიდრე პრეზიდენტი ბუში ერაყის წინააღმდეგ სიტყვით გამოვიდოდა. არის ეს, უბრალოდ, დამთხვევა თუ პუტინი ცდილობს, ზეწოლა მოახდინოს ბუშზე, რათა, ერაყთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას, ამერიკის ადმინისტრაციამ რუსეთის ინტერესები გაითვალისწინოს?**

- მე გეთანხმებით და მიმაჩნია, რომ პრეზიდენტ პუტინის მიერ მომენტი აბსოლუტურად ზუსტად იყო

გაგრძელება A3 გვერდზე

## რუსი ექსპერტები საქართველო-რუსეთის დაპირისპირებაზე

რუსუდან ნიკურაძე

საქ.კორ.მოსკოვში

*საქართველო-რუსეთის ურთიერთობების გამწვავების მიზეზებსა და პრეზიდენტ პუტინის უკანასკნელი განცხადების შესაძლო შედეგებზე „24 საათს" თავიანთი მოსაზრებები გაუზიარეს მოსკოველმა ექსპერტებმა. მათ მსჯელობაში, რასაკვირველია, უხვად შეხვდებით ისეთ პოსტულატებს, რომლებიც აშკარად წინააღმდეგობრივია, მაგრამ შეთქმულივით იმეორებს თითქმის ყველა რუსი. მიუხედავად ამისა, სწორედ ეს წინააღმდეგობრიობა მიუთითებს, რომ ანტიქართული ისტერიის ძირითადი თეზისები ერთ იდეოლოგიურ დაწესებულებაშია დამტამპული.*

### „არ ვიზიარებ ვაშინგტონ-მოსკოვ-თბილისს შორის დიდი თამაშის ვერსიას"

**დიმიტრი ტრენინი** – მოსკოვის „კარნეგის ცენტრის" ექსპერტი:

- ის, რაც დღეს საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში ხდება, არის ვლადიმირ პუტინის სერიოზული უკმაყოფილების შედეგი, ჩეჩნეთში, ფაქტობრივად, ჩაშლილი ოპერაციის გამო. მე არ დავუკავშირებდი ერთმანეთს საქართველოს და ერაყს, მითუმეტეს არასერიოზული

გაგრძელება A3 გვერდზე

## „ეს ყველაფერი წააგავს მოზარდ მაყურებელთა თეატრისთვის დაწერილ პიესას, რომელიც, ალბათ, არ განხორციელდება"

*რუსეთის პრეზიდენტის მიერ საქართველოს ხელისუფლებისათვის გამოცხადებულ ულტიმატუმზე და მის შედეგებზე სასაუბროდ "24 საათის" რედაქციაში მოვიწვიეთ მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის დირექტორი გია ნოდია, სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის პრეზიდენტი ალექსანდრე რონდელი, ამავე ფონდის ექსპერტი არჩილ გეგეშიძე, სახელმწიფო კანცელარიის საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების უფროსი შალვა ფიჩხაძე, ექსპერტები - ლია ჯერვალიძე და კობა ლიკლიკაძე რადიო "თავისუფლებიდან". მათ ესაუბრნენ "24 საათის" საერთაშორისო მიმომხილველები - შოთა უტიაშვილი და გიორგი ხელაშვილი.*

**- რითი შეიძლება აიხსნას პრეზიდენტ პუტინის გუშინდელი მკვეთრი განცხადება?**

**გია ნოდია**: პირველი, რაც აზრად მომდის, არის ის, რომ მსოფლიოს ყურადღება ერაყში მოსალოდნელი სამხედრო კამპანიითაა დაკავებული და რუსეთი მის საფარქვეშ გარკვეული ამოცანების გადაჭრას აპირებს. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ რუსეთი ცდილობს, დაამტკიცოს, რომ თუ ამერიკას ერაყის დაბომბვა გაერო-ს მანდატის გარეშე შეუძლია, მაშინ რუსეთსაც უნდა ჰქონდეს ამის უფლება. თუ რუსეთმა ეს უფლება დაიმკვიდრა, მისი გამოყენება ამერიკასთან პოლიტიკური ვაჭრობის გამართვისათვის შეეძლება.

გაგრძელება A8 გვერდზე



*დისკუსია „24 საათის" რედაქციაში.*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

## გაურიგდა თუ არა მოსკოვი ვაშინგტონს

### მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები პუტინის მუქარის შესახებ

ლევან ღირსიაშვილი

*11 სექტემბერს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის მიერ საქართველოს გაფრთხილების შესახებ გაკეთებულ განცხადებას, უკვე მეორე დღესვე მოჰყვა რუსეთისა და მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოხმაურება. ალბათ უფრო საინტერესო იქნება, თუ ამ გამოხმაურებათა მიმოხილვას რუსეთის მასმედიიდან დავიწყებთ.*

საინფორმაციო სააგენტო "ნტვ.რუ"-ს პირველსავე გვერდზე მთავარ თემად გამოქვეყნდა ინფორმაცია სათაურით: **"საქართველოზე თავდასხმის გეგმა გენშტაბში უკვე მზად აქვს."** სააგენტოს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რუსეთის ფედერაციის გენერალური შტაბის ხელმძღვანელს, გენერალ კვაშნინს წინასწარვე შეუმუშავებია საქართველოს ტერიტორიაზე,

გაგრძელება A5 გვერდზე

## ორშაბათიდან

ყოველდღიური ჩანართი B4-B5 გვერდებზე

ორშაბათი – იუმორი

სამშაბათი – სპეცსამსახური, ჯარი, შეიარაღება

ოთხშაბათი – ავტომონადირე (ავტომობილი, ნადირობა, თევზაობა)

ხუთშაბათი – ევროისტორია (ყველაფერი ევროპასა და ევროპულზე)

პარასკევი – კვირის TV-პროგრამა და ანონსი

შაბათი – ცივილიზაცია (მეცნიერება, უახლესი ტექნოლოგიები, აღმოჩენები, მედიცინა)

## საქართველოსგან ასეთ რბილ რეაქციას რუსეთიც არ ელოდა

თამარ ხორბალაძე

"თავისუფლების ინსტიტუტი" გუშინ საქართველოს მთავრობის "უპრინციობას" გამოეხმაურა.

"თავისუფლების ინსტიტუტის" წევრებს მიაჩნიათ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ, კონკრეტულად კი, საქართველოს პრეზიდენტმა, იმ კომენტარით, რომელიც მან ვლადიმირ პუტინის განცხადებასთან დაკავშირებით გააკეთა, დაადასტურა, რომ ქვეყნის ხელისუფლებას განსაზღვრული პოზიცია, ერთიანი სტრატეგია არ გააჩნია.

**"საქართველოს თემა გაიჟღერებს დღეს აშშ-ს პრეზიდენტის გამოსვლაში. საქართველო ელოდება საერთაშორისო რეაქციას, ამ დროს კი საქართველოს ხელისუფლებას არ აქვს დაფიქსირებული თავისი მკვეთრი პოზიცია. საქართველოს პრეზიდენტის გუშინდელი განცხადება იყო სევდისმომგვრელი. ასეთ რბილ რეაქციას საქართველოსგან თავად რუსეთიც არ ელოდა, რაც დღეს რუსი პოლიტიკოსების გამოსვლებშიც გამოჩნდა",** - განაცხადეს "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლებმა.

მათვე თქვეს, რომ ხელისუფლებამ ხელიდან გაუშვა შანსი იმისა, რომ, მკვეთრი ნაბიჯების გადადგმით და სიმტკიცის გამოჩენით, საზოგადოება და პოლიტიკური ძალები ერთიანად შემოეკრიბა. არადა, ასეთი ერთიანობა საჭირო გახლავთ დღეს, როცა რუსეთისგან მომდინარე საფრთხე ნამდვილად არ არის ილუზორული.

**"თუ საქართველოს პრეზიდენტი და მთავრობა ისევ დაიწყებს ბალანსირების პოლიტიკის განხორციელებას; თუ "იტერას" საკითხში ხელისუფლება პოზიციას არ შეიცვლის; თუ ასლან აბაშიძის ტიპის პოლიტიკოსები ისევ დაინიშნებიან აფხაზეთის საკითხის დამრეგულირებლებად, ქვეყნის ხელისუფლება დაადასტურებს, რომ მას მომავალი არა აქვს...,"** - ამბობენ ისინი.

გივი თარგამაძემ ხაზი გაუსვა იმასაც, რომ ასეთ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით პრეზიდენტის მიერ საკონსულტაციოდ კახა თარგამაძის მიწვევა, და საერთოდ, ასეთი ტიპის დამნაშავეების კონსულტაციების გამართვა, მეტად სამარცხვინო ფაქტია.

**"ჩემი ინფორმაციით, კახა თარგამაძესთან ფიქრის გორაზე საკონსულტაციოდ ასევე დადიან მთავრობის მაღალჩინოსნები, სახელმწიფო მინისტრისა და შს მინისტრის ჩათვლით,"** - განაცხადა მან და ხაზი გაუსვა, რომ პანკისის პრობლემა იმავე კახა თარგამაძის შექმნილია, რომელმაც ამით საკმაოდ კარგად იხეირა.

## ამერიკა რუსეთისთვის პასუხის გასაცემად ემზადება

პირველი გვერდიდან

ეს ინფორმაცია გუშინ თედო ჯაფარიძემ თეთრ სახლთან სატელეფონო საუბრისას მიიღო. უშიშროების საბჭოს მდივანს საუბარი სახელმწიფო მდივნის მოადგილესთან რიჩარდ არმიტიჯთანაც ჰქონდა. არმიტიჯის განცხადებით, კოლინ პაუელი უკვე ესაუბრა იგორ ივანოვს და პუტინის გამოსვლის გამო თავისი ხისტი პოზიცია დააფიქსირა. მოსალოდნელია, რომ სატელეფონო საუბარი ასევე შედგება ამერიკის თავდაცვის მინისტრს დონალდ რამსფელდსა და მის რუს კოლეგა სერგეი ივანოვს შორის.

გუშინვე რუსული ტელეკომპანია "ენ-ტე-ვეს" ეთერში ცნობილმა ანალიტიკოსმა, ნიქსონის ცენტრის ხელმძღვანელმა დიმიტრი საიმსმა განაცხადა, რომ პუტინის გამოსვლამ სერიოზული გაუგებრობა გამოიწვია თეთრ სახლში და ამერიკის ადმინისტრაციაში ამ საკითხის გარშემო სამუშაო შეხვედრები უკვე მიმდინარეობს.

საიმსის თქმით, საქართველოზე რუსეთის აგრესიულ შეტევებს თეთრ სახლში უკიდურესად არასასურველად აღიქვამენ. მისი შეფასებით, თუ მოსკოვს რაიმე პრობლემები აქვს საქართველოსთან, მან ამის დამამტკიცებელი საბუთები უნდა წარმოადგინოს და, შესაბამისად, მისი პოლიტიკაც გამჭვირვალე და ღია უნდა იყოს.

ასე რომ, მოსალოდნელია, რუსეთის პრეზიდენტის ღია მუქარას სერიოზული საერთაშორისო გამოხმაურება მოჰყვეს, რაც რუსეთთან ურთიერთობაში საქართველოს ხელისუფლების მთავარი საყრდენია. გუშინ უშიშროების საბჭოს სხდომის ერთ-ერთი ძირითადი გადაწყვეტილებაც საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი მიმართვა და მათი მხარდაჭერის მოპოვების მცდელობა იყო.

უშიშროების საბჭოს სხდომაზე ასევე გადაწყდა, რომ პრეზიდენტი შევარდნაძე პრეზიდენტ პუტინს უკვე მესამე ღია წერილს მისწერს, სადაც საქართველოს პოზიციებს კიდევ ერთხელ დაასაბუთებს.

გუშინვე დადგა საქართველოში მყოფი ჩეჩნების რუსეთისათვის გადაცემის საკითხიც – "სერიოზულად ვიმსჯელებთ ყველა იმ პრეტენზიაზე, რომელიც რუსეთს ჩვენს მიმართ აქვს. პანკისის თემა ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაიხუროს. ჩემი აზრით, ჩვენმა სამართალდამცავებმა კიდევ უფრო უნდა გააქტიურონ მუშაობა პანკისში. თუ ჩვენს ტერიტორიაზე ტერორისტები იქნებიან აყვანილები, ისინი სამართალდამცავ სტრუქტურებს უნდა გადაეცეთ. ხოლო თუ რუსეთის მხრიდან მათი გადაცემის მოთხოვნა სამართლიანი იქნება, მაშინ ეს მოთხოვნა უნდა შესრულდეს," – განაცხადა უშიშროების საბჭოს სხდომიდან გამოსულმა ნინო ბურჯანაძემ.

რუსუდან ბერიძის განცხადებით, პრეზიდენტისაგან სამართალდამცავებმა უკვე მიიღეს დავალება, რომ პანკისის ოპერაცია უფრო ინტენსიური გახდეს და, რამდენადაც შესაძლებელია, უმოკლეს ვადებში დამთავრდეს. ოპერაციის გააქტიურების შესახებ გუშინ ღამით უკვე გავრცელდა ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროდანაც.

რაც შეეხება პარლამენტის მოთხოვნას საქართველოს ტერიტორიიდან რუსი სამშვიდობოებისა და რუსეთის ბაზების გაყვანის თაობაზე, პრეზიდენტმა პოზიცია შეარბილა. თუ რუსეთის მხრიდან აგრესია არ შეწყდა, შევარდნაძე აცხადებს, რომ რუსი სამშვიდობოების გაყვანის საკითხს უკვე თავად დააყენებს.

პრეზიდენტმა, როგორც ჩანს, გუშინ კიშინიოვის სამიტზე წასვლაც საბოლოოდ გადაწყვიტა, სადაც ის ვლადიმირ პუტინს შეხვდება.

## "წიწამურის ერთობა"

თამარ ხორბალაძე

მიხეილ სააკაშვილი გუშინ წიწამურის გზას გაუყვა.

რა გასაკვირია და, გუშინ სააკაშვილს წიწამურთან "ჩასაფრებული" მხოლოდ საკუთარი მხარდამჭერები და ჟურნალისტები დახვდნენ.

მანამ, სანამ საქართველოს ხელისუფლება პუტინის განცხადებისგან მიღებული შოკიდან გამოსვლას ცდილობდა და დაგვიანებულ რეაქციას ამზადებდა, "ნაციონალურმა მოძრაობამ" თანამოაზრენი მოკრიბა და ილიას მკვლელობის ადგილს მიაკითხა, რათა იქ ხმამაღლა განეცხადებინა, რომ **"საქართველოს დღეს ილიას მკვლელების "შთამომავლები" მართავენ".**

"ნაციონალებმა" საქართველოს პრეზიდენტი, რასაკვირველია, განსაკუთრებით გამოყვეს. მათი აზრით, პუტინის განცხადებაზე საქართველოს ხელისუფლების რეაქციამ ცხადყო, რომ **"საქართველოს პრეზიდენტი არ ჰყავს".**

"ნაციონალთა" ლიდერი მიუთითებს ხელისუფლებას, რომ ახლა მას აღარ გამოადგება 1993 წელს მოშველიებული არგუმენტი, ბალტიისპირეთის ქვეყნებს საერთაშორისო მხარდაჭერა აქვთ, ჩვენ კი - არაო.



„მზად ვართ, ვაკონტროლოთ ქვეყანაში სიტუაცია!" მარიკა ამურველაშვილის ფოტო

**"ასეთი მხარდაჭერა უკვე რეალობაა, საქართველოს პრეზიდენტმა კი გუშინ რამდენიმე საათი იმ ადამიანთან გაატარა, რომელიც რუსულ ჯარს საქართველოში კინაღამ თავად შემოუძღვა. მე არ ვიცი, რა იყო შევარდნაძისა და თარგამაძის შეხვედრის მთავარი მიზეზი - შესაძლოა, საკუთარი კლანის უსაფრთხოების უზრუნველყოფა..."** - ამბობს სააკაშვილი და, დღეს შექმნილი სიტუაციის სიმძიმიდან გამომდინარე, ისიც გაერთიანების აუცილებლობაზე საუბრობს, მაგრამ - **"ხელისუფლების წინააღმდეგ"** და არა - **"ხელისუფლების ირგვლივ".**

ასეთი ლოგიკით, სააკაშვილი ბოლოს და ბოლოს მიადგა მთავარს: **"დღეს, როცა საქართველო აგრესორის წინაშე დაუცველი და განიარაღებული აღმოჩნდა, ჩვენ მზად ვართ, ვაკონტროლოთ ქვეყანაში სიტუაცია!"** - განაცხადა მან. თუმცა, მანამდე, როგორც აღმოჩნდა, ქვეყნის სათავეში "პატრიოტული ხელისუფლების" მოსვლაა აუცილებელი.

ისე კი, სააკაშვილისა და მისი დღევანდელი თანამოაზრეების წიწამურზე "გასვლის" მიზეზი გაცილებით მარტივი გახლდათ, ვიდრე დღეს შექმნილ სიტუაციაზე პასუხისმგებლობის ზურგზე წამოკიდება: გუშინ "ნაციონალური მოძრაობის," „რესპუბლიკური პარტიის, "ეროვნულ ძალთა გაერთიანების," ლიბერალურ-ეკონომიკური პარტიის, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის," ეროვნული პარტიის, ექიმთა უფლებების დაცვის კავშირის - "სოლიდარობის," ამავე სახელწოდების პურის მეწარმეთა და ტრანსპორტის მუშაკთა თავისუფალი კავშირების ლიდერებმა ხელი მოაწერეს "წიწამურის თეზისებს", რომელშიც "პატრიოტული ხელისუფლების მოსვლამდე და მოსვლის შემდეგ" გადასადგმელი ნაბიჯებია "გაწერილი". ამ პროგრამის შესახებ "24 საათი" ერთი კვირის წინ წერდა.

და ბოლოს: დღეს ახალი პოლიტიკური გაერთიანება, ნაცნობი მიზნებითა და არანაკლებ ნაცნობი სახეებით, დამფუძნებელ ყრილობას გამართავს და სამომავლო პრინციპებზე უფრო დაწვრილებით ისაუბრებს.

## ანატოლი ჩეხოევის გეგმა

რუსუდან ნიკურაძე

საქ.კორ.მოსკოვში

მოსკოვში ჩაიშალა „ინტერფაქსის" ოფისში დანიშნული ასლან აბაშიძის პრესკონფერენცია.

საქართველო-რუსეთს შორის არსებულმა დაპირისპირებამ "ინტერფაქსში" ჟურნალისტთა სარეკორდო რაოდენობა მიიყვანა, მაგრამ მედია ამაოდ ელოდა დარბაზში აჭარის ლიდერის გამოჩენას. პრესკონფერენციის ჩაშლის შესახებ ჟურნალისტებს მისმა პრესმდივანმა თამაზ ბაკურიძემ აცნობა.

მაშინვე გავრცელდა სხვადასხვა ჭორები და ვარაუდები. ერთ-ერთი ასეთი ვარაუდის მიხედვით, აბაშიძეს თბილისიდან შევარდნაძემ აუკრძალა მოსკოვში სერიოზული პოლიტიკური განცხადებების გაკეთება.

ჩაშლილი პრესკონფერენციის შემდეგ, რუსმა და უცხოელმა ჟურნალისტებმა რუსეთის დუმას მიაშურეს, სადაც დიმიტრი როგოზინის კომიტეტში მრისხანესახიანი გენერლებიც მოგროვდნენ - საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის სხდომა საქართველოს საკითხს იხილავდა.

ნახევრად გასამხედროებულ და გასაიდუმლოებულ პირობებში, როგოზინის კომიტეტში ჟურნალისტებს მაინც აცნობეს, რომ ორი კომიტეტის (დსთ საქმეთა და საერთაშორისო კომიტეტების) გაერთიანებულმა სხდომამ დაამტკიცა საქართველოში შექმნილ სიტუაციაზე დადგენილების პროექტი, რომელსაც რუსი პარლამენტარები დღეს დილის სხდომაზე პირველ საკითხად განიხილავენ.

პროექტში შავით თეთრზე წერია, რომ პარლამენტი ითხოვს ახალ ჩარჩო ხელშეკრულებაზე საქართველოსთან მოლაპარაკებების შეჩერებას, პანკისის ხეობაში საქართველოს ხელისუფლების მხრიდან გადამწყვეტი ქმედებების გატარებამდე; რუსეთის დუმა მოითხოვს საქართველოსთვის გაზისა და ელექტროენერგიის გადაკეტვას.

დეპუტატმა ანატოლი ჩეხოევმა გენერლებს შეახსენა, რომ რუსეთში მილიონ ორასი ათასი ქართველი ცხოვრობს, აქედან 400 ათასი - არალეგალურად და შევარდნაძის გონზე მოსაყვანად აუცილებელია ამ ხალხის დეპორტაცია; გაძევებული ქართველები კი თბილისში რუსთაველზე მოგროვდებიან და შევარდნაძეს პროტესტს გამოუცხადებენ.

ჟურნალისტებთან გამოსულმა დიმიტრი როგოზინმა საკუთარი პოზიციის გაზიარების შემდეგ განაცხადა, რომ იგი არ აპირებს თავის ქართველ კოლეგებთან დიალოგის გამართვას.

## ედპ-ს თავმჯდომარე მთავრობისგან რადიკალურ ნაბიჯებს ითხოვს

სოფო ბუკია

რუსეთის პრეზიდენტის ულტიმატუმის საპასუხოდ, ედპ-ს ლიდერი საქართველოს მთავრობისგან არანაკლებ რადიკალური განცხადების გაკეთებას ელოდება. წინააღმდეგ შემთხვევაში ირინა სარიშვილი ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის მოთხოვნას აპირებს. სარიშვილის აზრით, ამ შემთხვევაში პუტინის აგრესიის ობიექტი მარტო საქართველო კი არა, აშშ და მთლიანად დასავლური პოლიტიკაც გახდა, რომლის ერთერთი მთავარი ვექტორი საქართველოზე გადის.

სარიშვილმა პუტინის განცხადებაში საქართველოში დესტაბილიზაციის დაწყებისა და ძალაუფლების სადავეების ხელში ჩაგდების დიდი სურვილი ამოიკითხა . **"პუტინის განცხადება ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს რუსეთი ომს გვიცხადებს. ჩეჩნები მხოლოდ საბაბია და სხვა არაფერი... მიზანი კი საქართველოში პანიკისა და შიშის შემოტანაა, გასაგებია - რისთვისაც,"** – აცხადებს სარიშვილი გუშინ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე.

სახელმწიფო ბიუჯეტში შეიარაღებული ძალებისთვის განკუთვნილი თანხების გაზრდა; საქართველოს ნატო-ში გასაწევრიანებლად საჭირო დოკუმენტაციის მომზადება; სტამბოლის სამიტის გადაწყვეტილების თანახმად, საქართველოს გათავისუფლება რუსეთის სამხედრო ბაზებისგან, - ეს ის პუნქტებია, რაც, სარიშვილის თქმით, საქართველოს მთავრობამ ჩრდილოელი მეზობლის მუქარას უნდა დაუპირისპიროს. თუ ასე არ მოხდა, ედპ-ს ლიდერი საქართველოში არაპროგნოზირებად ვითარებას წინასწარმეტყველებს, რომლის კონტროლსაც რუსეთი თავის თავზე აიღებს და **"ხელსაც კარგად მოითბობს".**

**"ხელისუფლებამ მკაცრი პოზიცია უნდა დაიკავოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, პარლამენტმა უნდა დასვას საკითხი ვადამდელი არჩევნების ჩატარების შესახებ. თუ რუსეთს სათანადო პასუხი არ გაეცა, საქართველოში შიდა არეულობა ისეთ პიკს მიაღწევს, რუსეთს ჩვენთვის ომის გამოცხადებაც არ დასჭირდება,"** – დარწმუნებულია სარიშვილი.

მას მიაჩნია, რომ რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანა არარეალურია და დარწმუნებულია, რომ რუსეთი ამ დათმობაზე ჯერ არ წავა. **"მიუხედავად ყველაფრისა, საქართველოს ხელისუფლებამ თავისი პოზიცია მკაცრად და მკაფიოდ უნდა დააფიქსიროს განცხადებების სახით,"** – აცხადებს სარიშვილი. მისი აზრით, საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება არც ისე შორეული პერსპექტივაა და ამაზე თამამად შეიძლება ფიქრი. **"აშშ-ს ინიციატივით თავდაცვის სამინისტროში უკვე მუშაობენ კონკრეტული ადამიანები, რომელთაც ჩვენი თავდაცვის სფერო ნატო-ს სტრუქტურებთან შეთავსებადი უნდა გახადონ. საჭიროა ამ პროცესის დაჩქარება."**

სარიშვილმა პრეზიდენტის საპასუხო გამოსვლაც დაიწუნა: **"პრეზიდენტის პასუხი არაპოლიტიკოსის დონესაც ვერ უტოლდება. თავის მართლება, რომ ჩვენს ტერიტორიაზე ჩეჩნები არ არიან, არასწორია. რუსებმა კარგად იციან, რომ საქართველოში ჩეჩენი ბოევიკები არ უნდა ეძებონ. ეს პრობლემა მათი მოგონილია და არა აქვს მნიშვნელობა, ჩეჩნები იქნებიან, თუ არ იქნებიან საქართველოში. რეალურად რუსეთი დასავლურ პოლიტიკას ებრძვის. ყურადღება ამაზე უნდა გამახვილდეს,"** – აცხადებს სარიშვილი.

**გორი.** ძლიერმა სეტყვამ, რომელიც საათზე მეტხანს გრძელდებოდა, დააზიანა გორის რაიონის სოფლები. ბერბუკში, ხელთუბანსა და კარალეთში თითქმის მთლიანად განადგურდა ხეხილის ბაღები და ბოსტნეული. მოსახლეობა შეშფოთებულია და დახმარებას ელის, მაგრამ არ იცის, ვინ აუნაზღაურებს დანაკარგს.

სეტყვისგან მიყენებულმა ზარალმა რამდენიმე ათას ლარს გადააჭარბა. **„24 საათი".**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის განცხადება საქართველოსთან დაკავშირებით გაერო-ში ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის წევრებს შორის ოფიციალური დოკუმენტის სახით იქნება გავრცელებული - განაცხადა ნიუ-იორკში ჩასულმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ივანოვმა. მისი თქმით, რუსეთის პრეზიდენტის განცხადება უკვე გადაგზავნილია გაერო-ს გენერალური მდივნის კოფი ანანის სახელზე.

როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, სესიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ნიუ-იორკში უკვე გაემგზავრა საქართველოს დელეგაცია ირაკლი მენაღარიშვილის ხელმძღვანელობით. ქართული მხარე აპირებს, დააყენოს საკითხი რუსეთის შესაძლო აგრესიის შესახებ. დაგეგმილია მენაღარიშვილის შეხვედრა აშშ-ს სახელმწიფო მდივანთან კოლინ პაუელთან და სახელმწიფო დეპარტამენტის სხვა პირებთან. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში რუსეთის ელჩის ვლადიმირ გუდევის აზრით, რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის განცხადება იმის მიმანიშნებელია, რომ "მოსკოვის მოთმინების ლიმიტი საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის წინააღმდეგ ჩეჩენი ბოევიკების მოქმედებასთან დაკავშირებით ამოწურვის პირასაა მისული". რუსეთის ელჩმა უარყო ვლადიმირ პუტინის განკარგულების კავშირი რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის განზრახვასთან. მისი შეფასებით, "მოსკოვს სურს, თბილისს ტერორიზმთან ბრძოლაში საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისა და ამ საქმეში უფრო ქმედითი ნაბიჯების გადადგმისაკენ უბიძგოს". მან კიდევ ერთხელ დაადასტურა მოსკოვის პოზიცია იმის თაობაზე, რომ საქართველო მის ტერიტორიაზე მოქმედ ტერორისტებს თავად ვერ გაუმკლავდება.

რაც შეეხება, რუსეთის მიერ მის ტერიტორიაზე არსებულ ჩეჩენ "ბოევიკებთან" ბრძოლის არაეფექტურობას, რუსეთის ელჩი ამას ასევე ქართული მხარის უმოქმედობას უკავშირებს და აცხადებს, რომ "ჩეჩნეთის პრობლემა აქამდე მოგვარებული იქნებოდა, მხარეებს რომ ერთობლივი სპეცოპერაციების ჩატარებაზე ფიქრი დროულად დაეწყოთ". **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**სტეპანაკერტი.** მთიან ყარაბახში აფხაზეთის დელეგაციის ვიზიტისას სოხუმმა და სტეპანაკერტმა საერთაშორისო, ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, კულტურული, სპორტული, სოციალური და ინფორმაციული ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი.

აფხაზური დელეგაციის შემადგენლობაში, რომელსაც აფხაზეთის ე.წ. ვიცე-პრეზიდენტი მერაბ არშბა ხელმძღვანელობდა, შედიოდნენ პარლამენტის სპიკერი ნუგზარ აშუბა და სოხუმის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ლეონიდ ლოლუა. აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლების წარმომადგენლები მიიღეს მთიანი ყარაბახის პრეზიდენტმა არკადი გუკასიანმა, პარლამენტის თავმჯდომარემ ოლეგ ისოიანმა და მთავრობის მეთაურმა ამიშვან დამელიანმა. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**დუშეთი.** დუშეთის, თიანეთისა და ახალგორის რაიონებს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა სტიქიამ. მთლიანად განადგურდა სასოფლო-სამეურნეო ნარგავები, ნათესი ფართობები. კოკისპირული წვიმის შედეგად, რომელსაც თან ძლიერი ქარი დაერთო, მწყობრიდან გამოვიდა ელექტროგადამცემი და კავშირგაბმულობის ხაზები, წააქცია საყრდენი ბოძები. ადიდებულმა ხევებმა, ღვარცოფმა და მეწყერმა მრავალ ადგილას დააზიანა მდინარეზე გადასასვლელი ხიდები, დასახლებულ პუნქტებში მისასვლელი გზები. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**ახმეტა.** პანკისის ხეობის მოსახლეობა ვლადიმირ პუტინის მიერ გაკეთებული განცხადების შემდეგ პანიკამ მოიცვა. როგორც ახმეტის რაიონის გამგებელმა ნუკრი ალავიძემ განაცხადა, შეშინებული მოსახლეობა დილიდან გამგეობაში რეკავს და ხელისუფლებისგან მათი უსაფრთხოების გარანტიებს ითხოვს. პარალელურად ქისტი უხუცესები ხეობაში მცხოვრებ ჩეჩენ ლტოლვილებთან შეხვედრას გეგმავენ. პუტინის განცხადების მიზეზად ისინი საქართველოში ჩეჩენთა შემოსვლას ასახელებენ. ხეობის ქართველი და ქისტი მოსახლეობა ჩეჩენ ლტოლვილებს მოუწოდებენ, მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რათა მათი მიზეზით გამოწვეულ რუსეთის შესაძლო აგრესიას ადგილობრივ მცხოვრებთა ოჯახები არ შეეწიროს. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**კოდორი.** "რუსები აფხაზებს საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლას აიძულებენ," - განაცხადა პრეზიდენტის რწმუნებულმა კოდორში ემზარ კვიციანმა. მან აღნიშნა, რომ გუდაუთაში შეიმჩნევა რუსეთის დამატებითი სამხედრო ძალების კონცენტრაცია, რომლებიც სავარაუდოა, რომ აფხაზებს ზურგს გაუმაგრებენ. გავრცელდა ინფორმაცია კოდორსა და დანარჩენ აფხაზეთში რამდენიმე ათასი რუსი „სპეცნაზელის" ყოფნის შესახებ. ეს ინფორმაცია დევნილი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თამაზ ნადარეიშვილმა დაადასტურა, თუმცა, სხვა ოფიციალურმა სტრუქტურებმა, მათ შორის, განსაკუთრებულ საქმეთა სამინისტრომ, ეს მონაცემები არ დაადასტურა. კვიციანის თქმით, ჯერჯერობით კოდორში რუსი სამშვიდობოების გარდა რუსეთის სხვა შეიარაღებული ძალები არ შეიმჩნევა. "მარტო აფხაზებს ჩვენ გავუმკლავდებით, მაგრამ თუ საქმეში რუსეთი ჩაერთვება, მთელი საქართველო ფეხზე თუ არ დადგება, მარტო ვერაფერს გავხდებით," - განაცხადა კვიციანმა. **კავკას-პრესი.**

## ლეიბორისტთა ლიდერს სახელმწიფო მინისტრთან ალიანსში ადანაშაულებენ

ვერიკო თევზაძე

*გუშინ, როცა უშიშროების საბჭოში თათბირი მიმდინარეობდა, ლეიბორისტებმა მერიის წინ საპროტესტო აქცია გამართეს. ისინი ვანო ზოდელავას გადაყენებას მოითხოვდნენ. მერიაში კი ზოდელავას მხარდამჭერებმა გამართეს ბრიფინგი. მათ განაცხადეს, რომ ლეიბორისტების ლიდერს ქალაქის თავის იმპიჩმენტის იდეა სახელმწიფო მინისტრთან საიდუმლო სერობის შემდეგ გაუჩნდა. ვანო ზოდელავას ქომაგთა შორის განსაკუთრებით აქტიურობდა არასამთავრობო ორგანიზაციის "ვაკის გონივრული განვითარების" წარმომადგენელი ლეილა გაფრინდაშვილი. მან "24 საათს" განუცხადა: **"შალვა ნათელაშვილს "ახლებმა" 100 ათასი ლარი გადაუხადეს, რათა მერის ადგილი გამოათავისუფლოს. 200 ათასს კიდევ დაჰპირდნენ მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის. ამასთანავე, ნათელაშვილი ჯორბენაძესთან შეთანხმებულად მოქმედებს."***

მერიის წინ კი ლეიბორისტები ბობოქრობდნენ. **"მოსცილდეს შევარდნაძის კლანი საქართველოს!", "მოსცილდეს კორუმპირებული მერი თბილისს!"** - ამგვარი ლოზუნგები გამოფინეს შრომის პარტიის წარმომადგენლებმა.

**"ქალაქ თბილისის კორუფციული ბიუჯეტის შედგენა, ქალაქის მთავრობის, რაიონული გამგეობების და მერიის სამსახურების კორუფციული საქმიანობა"** გახდა მიზეზი იმისა, რომ ლეიბორისტებს ზოდელავასთვის გაეგზავნათ კოპწია კონვერტში მოთავსებული ულტიმატუმის ტექსტი. ლეიბორისტული პარტიის თბილისის საქალაქო ორგანიზაცია, დედაქალაქის მერის გარდა, თბილისის ყველა რაიონის გამგებლის გადაყენებას მოითხოვს.



შალვა ნათელაშვილს "ახლებმა" 100 ათასი ლარი გადაუხადეს.

აქციის დამთავრებისთანავე მერიის თანამშრომლები საქტო დარბაზში სპონტანურად შეიკრიბნენ. მათგან ათამდე მამაკაცი გაბმულად რეკავდა მობილური ტელეფონით და ნერვიულად სცემდა ბოლთას. იმდენად ნერვიულად, რომ ორი მათგანი უნებურად ერთმანეთს შეასკდა. "ღონისძიების" დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე იმავე დარბაზში ასეთ დიალოგს მოვკარით ყური: ვანო ზოდელავას მხარდამჭერები დარეჯან თომაძე და მანანა ნიკოლაიშვილი, ერთმანეთში ბჭობდნენ: პრესკონფერენცია ჩაეტარებინათ თუ ბრიფინგი. ყოფილი ლეიბორისტი, 71-ე ბაგა-ბაღის გამგე დარეჯან თომაძე, ბოლოს ასეთ დასკვნამდე მივიდა: **"ბრიფინგი ჩავატაროთ, თორემ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტები უამრავ შეკითხვას დაგვაყრიან."**

ბრიფინგს შემოუერთდა ორიოდე მრავალშვილიანი დედაც. მერიის თანამშრომლები ფეხზე წამოცვივდნენ და მათ ადგილები დაუთმეს. ჟურნალისტებს მხოლოდ მაშინ შემოგვთავაზეს სკამები, როცა ზოდელავას რამდენიმე მხარდამჭერს ღონისძიება მოსწყინდა და დარბაზი დატოვა.

ბრიფინგის ემოციურ განწყობილებას, ძირითადად, ყოფილი ლეიბორისტები (ვიქტორ მოსიძე, მანანა ნიკოლაიშვილი, დარეჯან თომაძე) ქმნიდნენ. დარბაზი ყიჟინითა და ტაშით ხვდებოდა გამომსვლელებს: **"ყველას უნდა ვანო ზოდელავას დაბინძურება, მაგრამ ეს ვერავინ შეძლო"** (დარეჯან თომაძე). **"ლეიბორისტების აქცია ჩვენი სამშობლოს დაქუცმაცებისკენ არის მიმართული"** (მანანა ნიკოლეიშვილი). **"ვინ გადაარჩინა კინომსახიობთა თეატრი? რა თქმა უნდა, ვანო ზოდელავამ. ახლა ყველა იტყვის, შენ შენსას მიერეკებიო. დიახ, მივერეკები და უკან არ დავიხევ"** (ქეთი დოლიძე).

მერიაში შეკრებილი საზოგადოება თავის თბილისელობაზე ამახვილებდა ყურადღებას (შეფარულად ნათელაშვილის დუშურ წარმომავლობას შეგვახსენებდა) და გაკვირვებას ვერ ფარავდა: **" ნათელაშვილს ვინ ჰკითხავს თბილისის მერის არჩევას?"** ქუჩაში გამოსული თბილისელები, პირიქით, ლეიბორისტების ლიდერს უჭერდნენ მხარს: **"დიახაც, უნდა გადადგეს ზოდელავა, მთელი თბილისი შეჭამა!"**

ლეიბორისტული პარტია, საქალაქო ორგანიზაციის მიერ დაყენებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოვლენების შემდგომ განვითარებაზე პასუხისმგებლობას საქართველოს პრეზიდენტს და მის მიერ დანიშნულ მერს აკისრებს.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფარჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ხესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია, ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჯაოშვილი.

# ხელისუფლებამ უნდა შეწყვიტოს სრულიად უპასუხისმგებლო პოლიტიკის გატარება

პირველი გვერდიდან

შერჩეული, რათა გაეკეთებინა თავხედურობითა და აგრესიულობით უპრეცედენტო განცხადება. ღიმილის მომგვრელია მისი ანალოგიები საქართველოსა და ერაყს, შევარდნაძესა და სადამ ჰუსეინს შორის. ხელისუფლებისა და მისი ხელმძღვანელის მიმართ ჩემი მკვეთრად ოპოზიციური დამოკიდებულების მიუხედავად, უნდა ვაღიარო, რომ შევარდნაძე ნამდვილად არ არის ჰუსეინი და არც საქართველოს ერაყთან შედარება შეიძლება.

დღეს ქართულ საზოგადოებაში არის მითქმა-მოთქმა - ხომ არ გახდება საქართველო რუსეთ-ამერიკას შორის გარიგების მსხვერპლი, ამერიკელები საქართველოს ხომ არ დათმობენ იმის საფასურად, რომ რუსეთმა ერაყზე დარტყმას მხარი დაუჭიროს. მსოფლიოში ძალთა ბალანსს რეალურად რომ შევხედოთ, დღეს ამერიკა იმდენად ძლიერია, რუსეთის პოზიციები კი იმდენადაა შესუსტებული, რომ ვაშინგტონს არ სჭირდება მოსკოვთან ამგვარ გარიგებებზე წასვლა. სასაცილოა ლაპარაკი მსოფლიოს გადანაწილების სქემებზე ამ ორ ქვეყანას შორის, იმიტომ, რომ რუსეთისათვის ბევრი სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხის გადაწყვეტა დღეს ამერიკაზეა დამოკიდებული.

მე მქონია გულახდილი საუბრები ბუშის ადმინისტრაციის ძალიან მაღალი რანგის წარმომადგენლებთან, მათ შორის, მთავრობის წევრებთან და მათთან საკმაოდ დაახლოებულ სენატორებთან. მათი ხედვიდან და მიდგომებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებ, მე ამერიკის მხრიდან რუსეთთან მსგავს გარიგებებზე წასვლას გამოვრიცხავ.

**- პანკისის დაბომბვას ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა ამერიკის ადმინისტრაციის მხრიდან, გავლენიანმა სენატორმა ბრაუნბეკმა კი რუსეთს საჯაროდ ბოდიშის მოხდა ურჩია. მიუხედავად ამისა, ამ ფონზე, უპრეცედენტოდ აგრესიული განცხადება გააკეთა თავად პრეზიდენტმა პუტინმა და არა დუმის რომელიმე წევრმა ან რომელიმე ურჩმა გენერალმა. დღეს მთელი პოლიტიკური სპექტრი საუბრობს იმაზე, რომ ჩვენ რუსეთისაგან საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრი დაგვიცავს. თუმცა, ახლანდელმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ დასავლეთის გამოხმაურებამ და თეთრი სახლის მიერ რუსეთის გაფრთხილებამ შედეგი ვერ გამოიღო. რისი იმედი გვაქვს დღეს?**


„ხელისუფლების ცვლილება კონსტიტუციური გზით უნდა მოხდეს".
ბესო გულაშვილის ფოტო

- გარწმუნებთ, რომ, საჯარო განცხადებების გარდა, რომელიც, თავისთავად, ძალიან მნიშვნელოვანია, საერთაშორისო საზოგადოებას და შეერთებული შტატების ადმინისტრაციას რუსეთზე ზემოქმედებისთვის სხვა ბერკეტებიც გააჩნიათ.

რუსეთი სარგებლობს იმ გარემოებით, რომ ხელისუფლება საქართველოში უკიდურესად არაპოპულარული და სუსტია. ამ მომენტს იმისთვის იყენებს, რომ მისი შეცვლა არაკონსტიტუციური მეთოდებით, რუსეთისთვის მისაღები და მომგებიანი ფორმით მოხდეს. ეს არის რუსეთის ხელმძღვანელობის მთავარი ამოცანა და, ბუნებრივია, არა - პანკისის პრობლემის გადაჭრა.

მე, როგორც ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, ვაცხადებ, რომ ხელისუფლება ამ ქვეყანაში ნამდვილად შესაცვლელია და ამ მოსაზრებას ალტერნატივა არ გააჩნია. მაგრამ ბევრად უფრო დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ეს ცვლილება კონსტიტუციური გზით უნდა მოხდეს, ის არჩევნების გზით ქართველებმა უნდა განახორციელონ და არა რუსეთმა, იარაღის თუ საიდუმლო ოპერაციების წყალობით.

რუსეთმა 11 წლის წინ ქართული ხელისუფლების და ოპოზიციის ორმაგი უპასუხისმგებლობა უკვე გამოიყენა. არ მინდა, ჩვენ ისევ გავიმეოროთ ის საბედისწერო შეცდომა, რომელსაც ამჯერად, შესაძლოა, კიდევ უფრო დამანგრეველი შედეგები მოჰყვეს.

**- თვითონ ქვეყნის ხელისუფლებამ რა უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ წინ აღუდგეს საქართველოში რუსეთის გეგმების განხორციელებას?**

- პირველ ყოვლისა, უნდა შეწყვიტოს სრულიად უპასუხისმგებლო პოლიტიკის გატარება. ყველას უნდა ჰქონდეს იმის მყარი რწმენა, რომ საქართველოში პოლიტიკური ცვლილებების მიღწევა პოლიტიკური გზებით არის შესაძლებელი, რომ შეიძლება ხელისუფლების შეცვლა არჩევნების გზით და არა ისე, როგორც ეს მოხდა ადგილობრივი არჩევნების დროს, როცა წაგებული ხელისუფლება საშუალებას არ აძლევს თბილისის საკრებულოს, შეიკრიბოს. ეს უკვე ყოველგვარ ზღვარს სცილდება.

ხელისუფლებამ უნდა დასაჯოს თავისი, თუნდაც უმაღლესი სახელისუფლებო პირები, რომლებმაც ბოლო არჩევნების დროს კრიმინალური ქმედებები ჩაიდინეს; უნდა შეწყვიტოს ის უბინძურესი პოლიტიკა, რომლის მიზანია რელიგიური თუ ეთნიკური თემებით სპეკულირება და ამ ნიადაგზე საზოგადოებაში დამატებითი დაპირისპირების გაღვივება.

ხელისუფლებამ მთელი კონცენტრაცია უნდა მოახდინოს იმაზე, რომ როგორმე მოაგვაროს ელემენტარული სოციალური პრობლემები. რაც მთავარია, უნდა შეწყდეს ის წარმოუდგენელი, დანაშაულებრივი ქმედებები, როგორიც არის, მაგალითად, გაურკვეველ პირობებში და გაურკვეველი გარანტიებით რუსეთისათვის "თბილგაზის" ჩუქება.

ეს არის იმ საკითხების ძალიან მოკლე ჩამონათვალი, რომლებიც ხელისუფლებამ უნდა მოაგვაროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანაში პროცესები საბედისწეროდ განვითარდება.

მე ვგეგმავ, ჩავატარო კონსულტაციები სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფებთან, რათა შევეცადოთ, ერთობლივი პოზიცია ჩამოვაყალიბოთ იმ საკითხებზე, პოლიტიკური ურთიერთობის იმ წესებზე, რომლებიც, ერთი მხრივ, დემოკრატიული განვითარების მყარ გარანტიებს ქმნის და, მეორე მხრივ, იცავს ქვეყნის სუვერენიტეტსა და მთლიანობას.

# საქართველოს პარლამენტი მთელ მსოფლიოში აგზავნის სიგნალს - "SOS!"

პირველი გვერდიდან

ბევრი დეპუტატი პუტინის აგრესიულ ტონს რუსეთის საშინაო პოლიტიკის ბუნებრივ გაგრძელებად აღიქვამს და ვარაუდობს: რადგან მოსკოვი ჩრდილოეთ კავკასიაში, თავად ვერ ამყარებს წესრიგს, სურს, ეს საქართველოს დაშინებით და მისი ხელით გააკეთოს.

**"მიამიტობაა იმის თქმა, თითქოს ეს შევარდნაძის წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა. პუტინის განცხადება, უპირველესად, რუსეთის საშინაო პოლიტიკისთვის არის გამიზნული. ეს სახელმწიფო, თავისი არსით, დამპყრობელი, გაფართოებისკენ მსწრაფი ქვეყანაა. სწორედ ამით ინარჩუნებს ის შიდა სტაბილურობას. საქართველოს მიმართ გამოვლენილი აგრესიით ადგილობრივ მოსახლეობას უქმნიან ილუზიას, რომ იმპერია კვლავ არსებობს. რაც უფრო ხშირად დაბომბავს საქართველოს, ამით კრემლი უფრო მტკიცედ დაარწმუნებს თანამოქალაქეებს, რომ რუსეთი ისევ ზესახელმწიფოა და შეუძლია, სამხრეთ კავკასიაში ამერიკის გავლენის გავრცელებას სათანადო პასუხი გასცეს",** - აღნიშნავს ვასილ მაღლაფერიძე. "გაერთიანებული დემოკრატების" წარმომადგენელს სასაცილოდ არ ჰყოფნის ის გარემოება, რომ თავის გამოსვლაში ვლადიმირ პუტინი საერთაშორისო სამართლის ნორმებს იშველიებდა: **"ცნობილ არაკშიც მგელმა კრავი ლამის გაერო-ს წესდებაზე დაყრდნობით შეჭამა, მაგრამ ეს სულაც არ არის არგუმენტი კრავის გასამტყუნებლად",** - დასძენს მაღლაფერიძე.

რუსეთის მხრიდან ღიად გამოხატულ მუქარასთან დაკავშირებით, საკმაოდ საინტერესო და ანგარიშგასაწევ მოსაზრებას გამოთქვამს კობა ამირხანაშვილიც: **"რუსეთს რომ არ ჰქონდეს პოლიტიკური დასაყრდენი საქართველოს ხელისუფლებაში, კერძოდ კი, პარლამენტში, პუტინი ასეთ მძაფრ განცხადებას არ გააკეთებდა. მან იცის, რომ საქართველოში გარკვეული ძალები მის "ინიციატივას" მოიწონებენ და მხარს დაუჭერენ. რუსეთს უნდა, საქართველოს ხელისუფლებაში ის ძალები მოვიდნენ, რომლებიც "გაამართლებენ" მის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიტაცებას, აგრეთვე, ჩვენს ქვეყანაში მისი სამხედრო ბაზების ყოფნას".**

გუშინდელ სხდომაზე თითქმის ყველა ფრაქციის წარმომადგენელმა "მკერდით დაიცვა მშობლიური ხელისუფლება". დეპუტატების თქმით, ახლა, როდესაც ქვეყანას საგარეო აგრესიის საფრთხე დაემუქრა, ხელისუფლების ძველ ცოდვებზე და შეცდომებზე ლაპარაკის დრო არ არის და პრეზიდენტ შევარდნაძესთან ანგარიშსწორების მცდელობა მტრის წისქვილზე დაასხამს წყალს. მეტიც - ასეთ რთულ სიტუაციაში ბევრი პარლამენტარი საშველად ისევ საქართველოს პრეზიდენტს უხმობს. ოპოზიცია ("ნაციონალების" გამოკლებით) შევარდნაძეს "დროებით ზავს" სთავაზობს.

შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის აუცილებელ პირობად საკანონმდებლო ორგანოში თითქმის ერთხმად ასახელებენ პუტინისა და შევარდნაძის შეხვედრას, თანაც, რაც შეიძლება, მალე. ამასთან, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე საუბრობს თავის რუს კოლეგებთან მჭიდრო კონტაქტების აუცილებლობაზეც. გუშინ დილით იგი უკვე ესაუბრა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს გენადი სელეზნიოვს და ვიცე-სპიკერ ლიუბოვ სლისკას, აგრეთვე - ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარეს სერგეი მირონოვს.

**"ეს უკანასკნელი საქართველოში ჩამოსვლას აპირებს და მზად არის, აქტიური კონსულტაციები გამართოს ჩვენი პარლამენტის ხელმძღვანელობასთან. ალბათ, შეიქმნება ერთობლივი კომისია, რომელიც ორივე მხარის პრეტენზიებს შეისწავლის",** - აცხადებს ბურჯანაძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერისგან განსხვავებით, მტრის აგრესიისგან თავდაცვის მამაპაპურ მეთოდს უჭერს მხარს დეპუტატი მარინა მოლოდინი. მისი აზრით, სახელისუფლებო სტრუქტურების სისუსტის გათვალისწინებით, მთის მოსახლეობას უნდა დაურიგდეს აღრიცხული იარაღი, რათა, აუცილებლობის შემთხვევაში, მან თვითონ დაიცვას საკუთარი ოჯახი, თემი თუ სოფელი.

ამ მოსაზრებას თედო პაატაშვილიც იზიარებს: **"არძინბა დღემდე ამაყად აცხადებს - თუ საჭირო გახდება, მრავალათასიანი სახალხო ლაშქრის გამოყვანა შემიძლიაო. რატომ არ შეიძლება, ეს მეთოდი ჩვენც გამოვიყენოთ, მით უმეტეს, როცა ოფიციალურ ძალოვან სტრუქტურებს, დაფინანსების არარსებობის გამო, "ბეტეერებში" და ტანკებში ჩასასხმელი ბენზინიც კი არა აქვთ".**

ბევრისგან განსხვავებით, რუსების რისხვის თავიდან აცილება და მშვიდობიანი გზით მდგომარეობის გამოსწორება ვახტანგ რჩეულიშვილს სულ იოლ საქმედ მიაჩნია. მისი აზრით, პანკისის ხეობაში მყოფ ჩეჩენ მებრძოლებს უნდა მოველაპარაკოთ იმის შესახებ, რომ განიარაღების შემთხვევაში, მათ რუსებს კი არ გადავცემთ, არამედ მესამე ქვეყანაში (ან ქვეყნებში) თავისუფალი გასვლის საშუალებას მივცემთ და ამით პრობლემაც გადაიჭრება.

თუმცა, გუშინდელი დიდი სჯა-ბაასის დროს მაინც თვალშისაცემი იყო, რომ პარლამენტარებს საკუთარი პანაცეისა თავად არ სჯეროდათ. დეპუტატები არც მალავდნენ, რომ რუსეთის აგრესიისგან თავდაცვისა და მისი პრევენციის თითქმის ერთადერთი შანსი მსოფლიო თანამეგობრობის მხარდაჭერაში მდგომარეობს. "სხვისი მოიმედეობის" განწყობა ნათლად აისახა დღის ბოლოს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ მიმართვაში, რომლის ადრესატებიც არიან: გაერო, ეუთო, ევროსაბჭო, ევროკავშირი, ევროპარლამენტი, ანტიტერორისტულ კოალიციაში შემავალი საქართველოს მეგობარი ქვეყნები, მსოფლიოს პარლამენტები...

აღნიშნულ მიმართვაში პრეზიდენტ პუტინის განცხადება შეფასებულია, როგორც **"ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით ფაქტობრივი ანექსიის მცდელობა".**

**"საქართველო მიმართავს საერთაშორისო თანამეგობრობას, რომ მის სუვერენიტეტს სერიოზული საფრთხე ემუქრება და სთხოვს მათ, მიიღონ ქმედითი ზომები და აღმოუჩინონ დახმარება, რათა არ დაუშვან რუსეთის მხრიდან მორიგი აგრესიის მცდელობა და მოვლენების ტრაგიკული განვითარება",** - მთელ მსოფლიოში აგზავნის სიგნალ "SOS"-ს საქართველოს პარლამენტი.

# გუშინ საგარეო უწყებაში სპეცდავალებას ელოდებოდნენ

პირველი გვერდიდან

გუშინ საგარეო საქმეთა სამინისტროს არც ერთ წარმომადგენელს არ დაუკონკრეტებია, თუ რას ნიშნავს "დამატებითი ღონისძიებები" და როდის დაიწყებენ მათ განხორციელებას.

რაც შეეხება ელჩებთან შეხვედრას, იგი დახურულ კარს მიღმა გაიმართა. საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან საუბრის შემდეგ, ელჩების უმრავლესობამ თავი აარიდა ოფიციალურ კომენტარს. ჟურნალისტებს მხოლოდ საბერძნეთის, ისრაელის, საფრანგეთისა და აზერბაიჯანის ელჩები გაესაუბრნენ. ყველამ ერთხმად გამოხატა შეშფოთება რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის უკიდურესად დაძაბვის გამო და მხარი დაუჭირა საქართველოს. ელჩებმა იმედი გამოთქვეს, რომ **"კონფლიქტი დიპლომატიური გზებით მოგვარდება".**

ელჩების სიტყვიერ თანადგომას გუშინ მეგობარი ქვეყნების ოფიციალური განცხადებები არ მოჰყოლია. საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის დავით აფციაურის თქმით, რუსეთის პრეზიდენტის განცხადება **"იმდენად მწვავე და თავისებური იყო",** რომ მის ანალიზს გარკვეული დრო დასჭირდება. **"ვფიქრობ, რუსეთის პრეზიდენტის განცხადებას ევროკავშირის წევრი ქვეყნების ადეკვატური რეაქცია უახლოეს დღეებში (შესაძლოა, უახლოეს საათებში) მოჰყვება",** – განაცხადა მან და იქვე დასძინა, რომ გუშინდელი შეხვედრის მთავარი მიზანი ელჩებისთვის ქართული მხარის პირველი კომენტარების გაცნობა იყო. აფციაურის თქმით, **"პუტინის განცხადების გამო ისინი ძალიან შეშფოთებულები არიან".**


დავით აფციაური და კახა სიხარულიძე კომენტარებს აკეთებენ.
ლევან ხერხეულიძის ფოტო

გუშინ საგარეო უწყებაში რუსეთის ელჩსაც ელოდებოდნენ, თუმცა, საღამოს ცხრა საათისთვის ვლადიმირ გუდეევი ჯერაც არ იყო მისული სამინისტროში. დავით აფციაურის თქმით, **"რუსეთის პრეზიდენტის განცხადებასთან დაკავშირებით, ქართული მხარე აპირებს, გუდევს საქართველოს მთავრობის ოფიციალურ პოზიცია გააცნოს".**

თავად საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი გუშინ ნიუ-იორკში ჩავიდა. იგი გაერო-ს გენერალური ასამბლეის სხდომაში იღებს მონაწილეობას. როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, იგი საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნების წარმომადგენლებს ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს გააცნობს. საგულისხმოა, რომ მან ასეთი დავალება უშიშროების საბჭოს სხდომის დასრულებისთანავე მიიღო. მენაღარიშვილი, ალბათ, თავის რუს კოლეგასაც შეხვდება. მანვე ასამბლეის სხდომაზე გამოსვლის დროს, განმარტებები უნდა გააკეთოს იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ ვერ ხერხდება საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ნორმალიზება.

# რუსი ექსპერტები საქართველო-რუსეთის დაპირისპირებაზე

პირველი გვერდიდან

მგონია საუბარი რაღაც გაცვლაზე. თბილისისადმი წაყენებული მოსკოვის ულტიმატუმი არ ნიშნავს იმას, რომ პუტინს საქართველოს დაჩოქება სურს. პუტინმა, უბრალოდ, ხელსაყრელი მომენტი იპოვა, რადგანაც მას აქვს მომენტის კოლოსალური გრძნობა. ამასთან ერთად რუსეთის პრეზიდენტს ძლიერ უმართლებს, იგი ყოველთვის საჭირო მომენტში საჭირო ადგილას აღმოჩნდება ხოლმე. ჩეჩნეთში იმ ვერტმფრენის ჩამოგდებამ, რომელსაც სამხედროები „მფრინავ კურსკს" უწოდებენ, ითუმყალეს მოვლენებმა, გაუგებარი წამრომავლობის პარტიზანების გაჩენამ, დააჩქარა პუტინის ასეთი მკაცრი პოზიცია საქართველოსადმი, სადაც დღეს დანამდვილებით იმყოფებიან საერთაშორისო ტერორისტები.

მე სერიოზულად მაშფოთებს ის, რომ პუტინმა საჯაროდ, ტელეკამერების წინ მთელი თავისი "კეისი გადმოალაგა" - თანაც უნაკლოდ, არაფერი შეშლია! ეს არ იყო ადრინდელი კომედია. ამიტომ, ღმერთმა ნუ ქნას, რუსეთის შეიარაღებული ძალების რაიმე მცდელობას მიეცეს მწვანე გზა პანკისში. თუკი იქ რომელიმე ქოხი დაინგრევა, ან თუნდაც ერთი მწყემსი დაიღუპება, საქართველოს მოსახლეობის მიერ ეს ფაქტი აღქმული იქნება, როგორც რუსეთის მხრიდან ომის დაწყება. წარმოვიდგინოთ, რა მდგომარეობაში ჩავარდებიან რუსეთის სამხედრო დასახლებების რუსი ეროვნების მოქალაქენი საქართველოში. გამორიცხული არ იქნება არანაირი პროვოკაცია, მათ შორის, სამხედრო ბაზების შტურმიც. ასე რომ, შეშფოთება რეალურია.

პირადად მე მაშინებს აფხაზეთის საკითხიც. როგორ მოიქცევიან აფხაზები, ოსები - ეს ის საკითხებია, რაზეც მთელი სერიოზულობით ღირს დაფიქრება. ამიტომ მიმაჩნია, რომ შევარდნაძისა და პუტინის კონტაქტი გარდაუვალია. იმედი მაქვს, აშშ-ს ადმინისტრაცია დააჯერებს ედუარდ შევარდნაძეს, რომ პუტინთან დღეს ყველაზე აქტიური თანამშრომლობაა საჭირო, პირველ რიგში გელაევისა და სხვა ტერორისტების საკითხში. საქართველოს მონაწილეობა ამ ოპერაციაში ხელს შეუწყობდა რუსეთთან ურთიერთობის გამოსწორებას.

მინდა, ჩემი თბილისელი მეგობრებისა და კოლეგების ყურადღება მივაქციო იმას, რომ პუტინი არ აპირებს შევარდნაძის რეჟიმის შეცვლას - საქართველო ერაყი არ არის. მაგრამ სიტუაცია შეიძლება მალე უმართავი გახდეს და იმ წითელ ხაზს გადასცდეს, რომლის იქითაც კატასტროფაა.

მე არ ვიზიარებ ვაშინგტონ-მოსკოვ-თბილისს შორის "დიდი თამაშის" ვერსიას. პუტინს დღეს ეს თეატრი ხელს არ აძლევს და ამერიკელებიც ჯერჯერობით ვერ გამორკვეულან სხვა პრობლემებიდან.

## „ვლადიმირ პუტინმა ქართულ ოპოზიციას იდეური პლატფორმა გამოაცალა!"

**ოლეგ კუსოვი**, რადიო „სვობოდას" მოსკოვის ბიუროს მთავარი რედაქტორი, გადაცემა „კავკასიური ქრონიკების" წამყვანი.

- თავისი განცხადებით ვლადიმირ პუტინმა აჩვენა, რომ საქართველოსადმი კეთილგანწყობილ პოზიციას იკავებს და ედუარდ შევარდნაძის თანამოაზრეა. მთავარია არა ის, თუ რა თქვა პრეზიდენტმა, არამედ ის, თუ რა გამომდინარეობს მისი მრისხანე გამოსვლიდან. პუტინი საქართველოს სამხედრო აგრესიით დაემუქრა, ამით კი, ნებსით თუ უნებლიეთ, შევარდნაძე „ერის მამად" აქცია, რომელსაც შოთა რუსთაველის მამაც მოყმესავით დიდი სახელმწიფოს მხრიდან აგრესიის თავიდან აცილება მოუწევს. ასეთ სიტუაციაში კი საქართველოს ყველა პოლიტიკური ძალა ვალდებულია, შევარდნაძის ირგვლივ გაერთიანდეს. დღეიდან გარედან აგრესიის წინაშე, ოპოზიციის მხრიდან შევარდნაძეზე ნებისმიერი თავდასხმა, უკვე გამყიდველობად შეფასდება. ამგვარად, ვლადიმირ პუტინმა ქართულ ოპოზიციას გამოაცალა იდეური პლატფორმა. ამიტომ მიმაჩნია, რომ ამით შევარდნაძის შანსები მხოლოდ იზრდება და მოცემულ შეთმხვევაში მისი იმიჯმეიკერის როლს თავი ბრწყინვალედ გაართვა რუსეთის პრეზიდენტმა. კრემლს რომ დღეს სინამდვილეში სურდეს საქართველოს დანგრევა, იგი პირიქით, საქართველოს ოპოზიციას აჰყვებოდა. დღევანდელ საქართველოში შევარდნაძის როლი უზარმაზარია, უიმისოდ ქვეყნის შიდა პროცესები შეიძლება უმართავიც გახდეს – და ეს მშვენივრად ესმით კრემლშიც. რატომ აჰყვა პუტინი შევარდნაძეს, ამაზე ღირს თავის მტვრევა. შეიძლება მას დასავლეთის გულის მოგება სურს, რომლისთვისაც საქართველოს ბედი სულერთი არასოდეს ყოფილა. მაგრამ მე მაინც მგონია, რომ დასავლეთს ხელს არ აძლევს საქართველოს დაშლა – კავკასიაში კიდევ ერთ ცხელ წერტილს რუსეთი უკვე ველარ გაუმკლავდება.

პუტინს საქართველო კიდევ იმისთვისაც სჭირდება, რომ არჩევნებამდე დარჩენილ დროში წიხლისსაცემი ობიექტი მიუგდოს ხოლმე საკუთარ ელექტორატს, რომელსაც თავი უნდა მოაწონოს. 2002 წლის არჩევნების ზღურბლზე პუტინს ჩეჩნეთი ჰქონდა, მაგრამ მისი პიარრესურსი დღეს მთლიანად ამოიწურა. ახლა არსებობს დასუსტებული საქართველო. რუსეთს საკუთარი იმპერიული თვითშემეცნებისათვის ჰაერივით სჭირდება ქვეყანა, რომელსაც უმტკივნეულოდ დაბომბავდა და არა მხოლოდ სიტყვიერად.

## „ბუშის ადმინისტრაცია დღეს იზიარებს ტერორიზმთან ბრძოლაში კრემლის მიზნებსა და პოზიციას"

**კოსტანტინ კოსაჩოვი**, რუსეთის პარლამენტის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ფრაქცია „ოტეჩესტვო ვსია როსსია".

- დღეს უკვე ცხადი გახდა, რომ ყველაფერი საქართველოს ხელისუფლებაზეა დამოკიდებული. როგორც კი შევარდნაძე და მისი გარემოცვა საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში რუსეთთან აქტიური თანამშრომლობის სერიოზულ განაცხადს გააკეთებს, ყველა პრობლემა მოიხსნება და სამხედრო ხასიათის აქციებისათვის, პოლიტიკური გამწვავებისათვის საფუძველი აღარ დარჩება. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთის ინტერესებში დღეს არ შედის საქართველოსთან მდგომარეობის გართულება - ეს არ არის რუსეთის სალი პოლიტიკური ძალების თვითმიზანი და სულაც არ გვინდა საქართველოს ჩაყენება ასეთ უხერხულ მდგომარეობაში. ჩვენთვის დღეს საერთაშორისო ტერორიზმის პრობლემა რეალურია, საშიშია და ამიტომ იძულებულნი ვართ, როგორმე გადავწყვიტოთ იგი.

გასაზიარებელია თბილისის მცდელობანი, როცა მან პანკისში ჯარები შეიყვანა. მაგრამ მოდით, გულახდილად ვაღიაროთ, რომ საქართველო დამოუკიდებლად ამ პრობლემას ვერ მოერევა, მით უფრო, რომ ჩეჩნეთი ჩვენი შიდა საკითხია. საქმე ის არის, რომ პანკისში საქართველოს ძალებით ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარება მსოფლიოს თვალის ასახვევი აქციაა, მოჩვენებითი სპექტაკლია. რუსეთი ითხოვდა და ითხოვს პირველ რიგში საზღვრის ჩაკეტვას. ჯერ კიდევ 1999 წლის შემოდგომაზე ვთხოვდით საქართველოს ხელისუფლებას ამ საკითხში თანადგომასა და მხარდაჭერას. პასუხად ცივი უარი და უნდობლობა მივიღეთ.

იმ პერიოდში თბილისისაგან მხარდაჭერა რომ გვქონოდა, ჩეჩნეთში ანტიტერორისტული ოპერაცია სულ სხვა სცენარით წავიდოდა.შევარდნაძის ასეთმა პოზიციამ შედეგად მოიტანა ის, რომ საზღვრები მოირღვა და რუსეთიდან გარეკილი ბოევიკები აქეთ-იქით დადიან. ეს არ შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს. ამიტომ დღეს უკვე ჩვენი მთავარი მიზანია, თბილისის ხელშეწყობით, საიმედოდ ჩავკეტოთ ეს საზღვარი და ორივე მხრიდან გავანადგუროთ ბანდფორმირებები.

ამ პროცესში ბუშის ადმინისტრაციას არავითარი როლის თამაში არ შეუძლია, რადგანაც ამერიკაში ანგარიშს უწევენ, რომ პანკისის პრობლემა რუსეთ-საქართველოს გასარჩევია. და მეორეც, აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ბუშის ადმინისტრაცია დღეს იზიარებს ტერორიზმთან ბრძოლაში კრემლის პოზიციასა და ამ ბრძოლაში კრემლის მიზნებს.

## „პანკისის ხეობა ისეთივე იდუმალებითაა მოცული, როგორც საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება"...

**გლებ პავლოვსკი** – „ეფექტური პოლიტიკის ფონდის" ხელმძღვანელი.

-რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების დღევანდელი პრობლემა ის არის, რომ საქართველო დღეს სუვერენული სახელმწიფოა, რომ პანკისი მისი გასაჭირია და რომ არც რუსეთია მზად, დამოუკიდებლად გადაჭრას საერთაშორისო ტერორიზმის პრობლემა. ამიტომ აქ ჩნდება საკითხის შეთანხმებისა და ერთობლივი მოქმედებების დრამატული პრობლემა. თბილისი თუ საკუთარი ძალებით განდევნის ტერორისტებს, ანუ რუსეთში შემორეკავს - ეს ვარიანტი კრემლს დღეს ხელს არ აძლევს და აქაც ერთობლივი დაგეგმარებაა საჭირო.

იმ ფაქტმა, რომ ჩეჩნეთის დაბომბვებმა რეალურ შედეგებამდე არ მიგვიყვანა, უნდა გვაფიქრებინოს, რომ ლაპარაკი დღეიდან ჩვენს შორის კომპლექსური ღონისძიებების დაგეგმვაზე უნდა წარიმართოს. პირადად ჩემთვის პანკისის ხეობა ისეთივე იდუმალებითაა მოცული, როგორც საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება. ამ წყვდიადის გაფანტვა მხოლოდ და მხოლოდ ქართულ საზოგადოებას შეუძლია და რუსეთი ამაში არ უნდა ჩაერიოს. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ თანამედროვე ქართული საზოგადოება დღეს სხვადასხვა ადამიანების გაურკვეველი გუნდია, რომელიც ქვეყნის სხვადასხვა რესურსებს აკონტროლებს. ამიტომ ასეთ პირობებში გაუგებარია, ვისთან უნდა აწარმოოს რუსეთმა მოლაპარაკებები. აქედან ჩნდება ჩვენი ლოგიკური სურვილი, მივიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილებები და დავამყაროთ წესრიგი. შევარდნაძის ფიგურაც ჩემთვის ასევე დახურული თემაა. ყოველ შემთხვევაში, მან თავი წარმოაჩინა, როგორც სუსტმა და საკუთარ თავში ნაკლებად დარწმუნებულმა ლიდერმა. დღეს საქართველო ერთიანი სახელმწიფო აღარ არის, მაგრამ იგი, ჯერ კიდევ არსებობს, როგორც მხოლოდ პოლიტიკური პროექტი.

პანკისის გამო ჩვენს ურთიერთობებში დათბობა აუცილებლად იქნება, მაგრამ ორი სახელმწიფოს ურთიერთობების საბოლოო გამოსწორებისათვის საქართველოში აუცილებელია საკუთარ ქვეყანაზე გულშემატკივარი, ზოგადნაციონალური მოთამაშის მოსვლა.

# სემეკი ჯონდი ბაღათურიას სამართალში მიცემას მოითხოვს

სოფიკო ოხანაშვილი

*გუშინ ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია (სემეკი) გამოეპასუხა თბილისის საკრებულოს ყოფილი წევრის, ჯონდი ბაღათურიას, ბრალდებებს. ორი დღის წინ ბაღათურიამ სემეკს "ეი-ი-ეს თელასის" ლობირებაში დასდო ბრალი.* ***"ბაღათურია თავისი სიტყვების დამტკიცებას თუ ვერ შეძლებს, მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას მოვითხოვთ"****, - განაცხადა სემეკის სამოქალაქო უფლებების დაცვის დეპარტამენტის დირექტორმა პაატა ვარდოსანიძემ. მისი ვარაუდით, ბაღათურიას უკან კონტროლის პალატა დგას.* ***"ეს ის კლანია, ვისაც სემეკის ხელში ჩაგდება უნდა",*** *- აღნიშნა პაატა ვარდოსანიძემ.*

სემეკში არ იზიარებენ ჯონდი ბაღათურიას მოსაზრებას, რომ ელექტროენერგიის ტარიფში "ეი-ი-ესის" წილი დაუსაბუთებლად გაიზარდა. კერძოდ, საუბარია ტარიფში, 238 მილიონი ლარის ჭარბი ინვესტიციების გარდა, დამატებითი 150 მილიონი ლარის ასახვაზე. ბაღათურიამ ტარიფის მომატება უკანონოდ მიიჩნია და სემეკის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

**"ტარიფის მომატება მოხდა კანონმდებლობისა და ხელშეკრულების პირობების თანახმად. ყველაფერი ზუსტ გაანგარიშებას ეყრდნობა, ამიტომ ჩვენ ვერ გადავუხვევთ კანონმდებლობას",** - ასე ახსნა ტარიფში შეტანილი შესწორება ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის მთავარმა იურისტმა ნია ტუსკიამ. მისი თქმით, ხელშეკრულების თანახმად, პირველი ორი წლის განმავლობაში კომპანიის მიერ მოზიდული ნებისმიერი თანხა ინვესტიციად ითვლება; ჭარბი ინვესტიცია კი ტარიფში უნდა აისახოს. 1999-2000 წლებში ჭარბმა ინვესტიციამ 238, 27 მილიონი ლარი შეადგინა. კონტრაქტის თანახმად, ეს თანხა კომპანიას ოთხი წლის განმავლობაში უნდა ამოეღო. **"ეს რომ ასე მომხდარიყო, ტარიფი მართლა კატასტროფულად გაიზრდებოდა, მაგრამ მოლაპარაკებებითა და ურთიერთდათმობებით მივაღწიეთ იმას, რომ ტარიფი 23 თეთრის ნაცვლად 13,7 თეთრამდე გაზრდილიყო,"** - აღნიშნეს სემეკში.

# საუდის არაბეთი ერაყთან ოფიციალურ ეკონომიკურ კავშირებს ამყარებს

თორნიკე შარაშენიძე

*სენსაციური განცხადება გააკეთა საუდის არაბეთმა. ქვეყნის მთავრობამ დაადასტურა, რომ იგი აპირებს ბიზნესის წამოწყებას ბაღდადში, ქალაქში, რომლის წინააღმდეგაც აშშ სამხედრო დარტყმის განხორციელებას გეგმავს. არაბების გეგმა ითვალისწინებს ერაყის დედაქალაქში ბაზრობის გახსნას, სადაც მათი საქონლის გამოფენა-გაყიდვა იწარმოებს. ეს პირველი საქმიანი ურთიერთობა იქნება ორ ქვეყანას შორის 1991 წლის ომის შემდეგ. როგორც არაბეთის წამყვანი გაზეთი "აშარქ ალ-ალსათი" იუწყება, ბაზრობის გახსნა ნოემბრის პირველი რიცხვებისთვისაა გათვალისწინებული.*

**"ჩვენ უკვე 45 არაბული ფირმისგან მივიღეთ განაცხადი ამ გამოფენა-გაყიდვაში მონაწილეობის მიღების თაობაზე და იმედი გვაქვს, რომ ნოემბრამდე დაინტერესებულ ფირმათა რაოდენობა 70-მდე გაიზრდება,"** - აცხადებენ საუდის არაბეთის მთავრობაში. როგორც ირკვევა, დაინტერესებულ ფირმებს შორის ცნობილი სახელები ფიგურირებენ. კერძოდ, მათ შორის უკვე არიან სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი ბენზოქიმიური მრეწველობის გიგანტი "საბიქი" და არაბეთის უმსხვილესი კერძო კომპანია "ოლაიანი."

არაბეთში ასეთი გეგმის არსებობის შესახებ ინფორმაციამ თავდაპირველად ბაღდადიდან გაჟონა. ერაყის საინფორმაციო საშუალებები იუწყებოდნენ, რომ მოძმე არაბული ქვეყანა აპირებდა, მათთან გასაყიდად შეეტანა სამედიცინო აპარატურა, საკვები, ტანსაცმელი და ელექტრომოწყობილობა. ცხადია, ამ ცნობებმა თავიდანვე დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მთელ მსოფლიოში, ახლა კი ლამის სკანდალში გადაიზარდა, როცა ეს ყოველივე საუდის არაბეთის ხელისუფლებამ დაადასტურა.

გაეროს სანქციების მიხედვით, ერაყთან ყოველგვარი ვაჭრობა აკრძალულია. დასაშვებია მხოლოდ ამ ქვეყნიდან ნავთობის გარკვეული ოდენობის ექსპორტი და მის სანაცვლოდ, იმავე გაეროს მეთვალყურეობით, სამედიცინო მედიკამენტებისა და საკვების შეტანა.

მაგრამ, როგორც დამოუკიდებელი წყაროები ირწმუნებიან, საუდის არაბეთის ფირმებმა უკვე დიდი ხანია, დაამყარეს კავშირი ერაყთან და სერიოზულ ბიზნესსაც ეწევიან. მიმდინარე წლის განმავლობაში არაბული ფირმების მიერ ერაყთან საქმიანი ურთიერთობებიდან მიღებული მოგება 68 მილიონი დოლარით ფასდება. კავშირები ერაყთან არაბეთის გაერთიანებული საემიროებისა და იორდანიის მეშვეობით მყარდება, თუმცა, საუდელ ბიზნესმენებს იმედი აქვთ, რომ ორ ქვეყანას შორის საზღვარი (იგი 1991 წლის შემდეგ დაკეტილია) მალე გაიხსნება და ვაჭრობა ახალი ტემპებით გაჩაღდება.

საუდის არაბეთის ასეთი უპრეცედენტოდ თამამი ნაბიჯი კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ქვეყანა არანაირად არ იწონებს ამერიკის მიერ ერაყზე თავდასხმის გეგმებს და რომ ვაშინგტონთან არაბთა შეხმატკბილებული ურთიერთობა ნელ-ნელა წარსულს ბარდება. საუდეთი, რომელიც რეგიონში აშშ-ს უპირველეს მოკავშირედ ითვლებოდა, თანდათანობით მისი უპირველესი ოპონენტი ხდება.

ამ ვითარებაში ამერიკას აშკარად მეტი სიფრთხილე და დიპლომატიურობა მართებს. არაბები ამ რამდენიმე ხნის წინ ძალიან აღაშფოთა 11 სექტემბერს დაღუპულთა ახლობლების მიერ შეტანილმა სარჩელმა, რომლის მიხედვითაც დაზარალებულთა ნათესავები არაბეთისგან ერთ ტრილიონ დოლარს ითხოვენ. საუდეთს ყელში ამოუვიდა მისი მოქალაქეების გამუდმებული დაკავშირება 11 სექტემბრის მოვლენებთან და იქამდეც კი მივიდა, რომ ამერიკულ საქონელს ბოიკოტი გამოუცხადა.

მოკლედ, 1991 წლის შემდეგ ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა. მაშინ საუდეთმა აშშ-ს ერაყის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებებში თავისი ბაზების გამოყენების უფლება მისცა. ახლა კი...

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 7 - 13 სექტემბრის მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6421 | 0.6282 | 0.0054 |
| US$ | 1.5572 | | 0.9784 | 0.0083 |
| €uro | 1.5909 | 1.022 | | 0.0085 |
| ¥en | 186.58 | 119.85 | 117.23 | |

2002 წლის 13 სექტემბრიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.1353 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.3983 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.4568 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1829 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.3246 ლარი |
| იაპონური იენი | 10 | 0.1822 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0689 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4448 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3860 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.0967 ლარი |

# პარლამენტი "დემოკრატების" მიერ წარმოდგენილ კანონპროექტს "მოქალაქეების" ვარიანტთან შეაჯერებს


ლევან ჩრდილელი


მიხეილ მაჭავარიანი

ლევან ხერხეულიძის ფოტოები

მაია ურუშაძე

*პურის წარმოებაზე შემოღებულ ახალ გადასახადებთან დაკავშირებით პარლამენტში დაგეგმილი სხდომა ეკონომიკური პროფილის ერთადერთი შეხვედრა აღმოჩნდა, რომელიც გუშინ მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების გამო არ გადაიდო. პურის ბიზნესის დაბეგვრის ახალი ვარიანტები კომიტეტს განსახილველად "გაერთიანებულმა დემოკრატებმა", "ნაციონალებმა" და "მოქალაქეთა კავშირმა" წარუდგინეს.*

**"45 წლის კაცი ვარ, ჩემს ქალაქში პური ვერ უნდა ვაცხო? გვინდა, პატიოსანი ხალხი ვიყოთ და ყველა გადასახადი პირნათლად გადავიხადოთ, ცოტა თქვენც შეგვიწყვეთ ხელი!"** – აღშფოთებას ვერ მალავდნენ არსებული დაბეგვრის მექანიზმით უკმაყოფილო მცირე მეწარმეები.

საქმე ისაა, რომ პირველი აგვისტოდან საქართველოში პურის დაბეგვრის ახალი მექანიზმი ამოქმედდა, რომლის მიხედვითაც პურის მცხობელებს ფიქსირებული გადასახადის გადახდა დაკავებული ფართის შესაბამისად დაეკისრათ. იმ შემთხვევაში, თუ მეწარმე წარადგენდა ცნობას, რომ საქმიანობას ლეგალური ფქვილით აწარმოებდა, გადასახადი შეუმცირდებოდა. გადაწყვეტილება არალეგალური ფქვილის წინააღმდეგ ბრძოლით იყო მოტივირებული, თუმცა, მისი მიღების შემდეგ მცირე მეწარმეები სრულიად დაუცველნი აღმოჩნდნენ. ამან "მეწარმეთა კავშირისა" და "პურის მცხობელთა გილდიის" აღშფოთება გამოიწვია. მათ პროტესტს "გაერთიანებულმა დემოკრატებმაც" დაუჭირეს მხარი. შედეგად, აგვისტოს ცხელ დღეებში ამ საკითხების დამუშავება და ათი სექტემბრისთვის ახალი, მცირე მეწარმეთათვისაც მისაღები კანონპროექტის მომზადება გადაწყდა.

ახალი გადასახადის დაწესება საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდის სურვილით იყო განპირობებული, თუმცა, როგორც ფინანსთა მინისტრის მოადგილე ლევან ჩრდილელი აცხადებს, **"ახალი მექანიზმის ეფექტურობის შეფასება ჯერ ნაადრევია, რადგან ორიოდე დღე გავიდა, რაც დეკლარაციის შევსებას ვთხოვთ მეწარმეებს. დრო გვჭირდება, რომ ვნახოთ, თუ რა შემოსავლები შემოვა. ისე, აგვისტოს თვის მიხედვით მაინც ძნელი იქნება შეფასება, რადგან აგვისტო – მკვდარი სეზონია."**

გუშინდელ სხდომაზე ყველა თანხმდებოდა იმაში, რომ კანონპროექტის ვარიანტის შერჩევისას მთავარი არალეგალური ფქვილის წინააღმდეგ ბრძოლის ფაქტორი უნდა ყოფილიყო. თუმცა, არალეგალური ფქვილის შემოტანის აღმკვეთი ეფექტური მექანიზმების შექმნის პრეტენზია ყველა ვარიანტს ჰქონდა. "მოქალაქეთა კავშირის" ვარიანტის ინტერესებს ვიტალი ხაზარაძე იცავდა, რომლის მიერ წარდგენილი კანონპროექტის მიხედვით, მეწარმეები ნებაყოფლობით აირჩევდნენ ახალ საგადასახადო მექანიზმს, სადაც ერთ კვადრატულ მეტრზე 20 ლარით ნაკლები გადასახადი იქნებოდა დაწესებული.

მეწარმეთა ყურადღება ყველაზე მეტად "დემოკრატების" პროექტმა დაიმსახურა, სადაც საუბარი შეღავათიანი – 7-პროცენტიანი დამატებითი ღირებულების გადასახადის დაწესებას ეხებოდა.

**"ეს პროექტი სამი პრინციპით იყო მოტივირებული: კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლით; ყველა მეწარმის თანაბარ პირობებში ჩაყენებითა და გადამხდელსა და გადასახადების ამკრეფს შორის გარიგების ფაქტორის მოშლით. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ჩვენი ვარიანტი ყველაზე მისაღებია, თუმცა, არა ვარ წინააღმდეგი, შეჯერება მოხდეს "მოქალაქეების" ვარიანტთან. რაც შეეხება მოსაზრებას, რომ ფიქსირებული გადასახადი გარიგების მოტივებს აღმოფხვრის, სწორად არ მიმაჩნია, რადგან გარიგების მექანიზმები მაინც იარსებებს, უბრალოდ, მისი ფორმები შეიცვლება,"** – აცხადებს "დემოკრატი" მიხეილ მაჭავარიანი.

შეღავათიანი დაბეგვრის მექანიზმს მხარი პარლამენტარმა ზურაბ ცქიტიშვილმაც დაუჭირა. **"თუ გვინდა, პურის ფასი არ გაიზარდოს, შეღავათიანი დაბეგვრის მექანიზმი უნდა მივიღოთ, რადგან ეს კონტრაბანდული ფქვილის წინააღმდეგ ბრძოლის ერთადერთი საშუალებაა,"** – განაცხადა მან.

საბოლოოდ, კომიტეტმა გადაწყვიტა, "დემოკრატებისა" და "მოქალაქეების" ვარიანტები ერთმანეთთან შეაჯეროს და ფქვილის იმპორტი დამატებითი ღირებულების გადასახადისგან საერთოდ გაათავისუფლოს. მას შემდეგ კი, რაც ფქვილი წისქვილებიდან გამოვა, 7-პროცენტიანი დღგ-ით დაბეგროს.

**"მე შორს ვარ იმ ილუზიისგან, რომ ამით ერთბაშად ყველა გადასახადი შევა ბიუჯეტში. თუ ფქვილი ლეგალურად გაქვს შეძენილი, გადასახადს ნაკლებს იხდი – ამ ფაქტორმა კონტრაბანდული ფქვილის გასაღება უნდა შეამციროს. ხორბალი, რომელიც ლეგალურად შემოდის, უნდა გავათავისუფლოთ გადასახადისგან. ეს ქართული წისქვილკომბინატების მუშაობასაც შეუწყობს ხელს. შემდეგ კი, როცა ის უკვე დაიფქვება და წისქვილიდან გამოვა, წახალისების მექანიზმებით დაიბეგრება. რაც შეეხება ფიქსირებული გადასახადის პრიორიტეტებს: არც ერთი პროექტი არ არსებობს, რომელიც გარიგებას გამორიცხავს,"** - განუცხადა "24 საათს" პარლამენტის გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარემ დავით სალარიძემ.

# სტატისტიკის დეპარტამენტი ყველაზე მეტად კორუმპირებულ დარგებს ასახელებს

გვანცა კვინიკაძე

*ქართველი სტატისტიკოსები კორუფციასთან ბრძოლის მთავარ ამოცანად მიიჩნევენ ქვეყანაში ჩრდილოვანი ეკონომიკის დაძლევას, რომლის მასშტაბებიც საქართველოში, მათივე შეფასებით, დაახლოებით, 33 პროცენტს შეადგენს. ეკონომიკის ცალკეულ დარგებში აღურიცხაობის წილი გაცილებით მაღალია; თუმცა, ამ გასაშუალოებული 33 პროცენტითაც საქართველო არა მხოლოდ განვითარებულ, არამედ დსთ-ს ქვეყნებსაც კი მნიშვნელოვნად ჩამორჩება. გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე სტატისტიკის დეპარტამენტმა, მასმედიასთან ერთად, მის მიერ განხორციელებული ანტიკორუფციული ღონისძიებების თაობაზე მოუთხრო აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს. დეპარტამენტის აზრით, იგი თავის ამოცანას, რომელიც ჩრდილოვანი ეკონომიკის გავრცელების მიმართულებებისა და მასშტაბების დადგენაში გამოიხატება და რითაც სხვა სახელმწიფო უწყებებმა ამ მოვლენასთან ბრძოლისას უნდა იხელმძღვანელონ, წარმატებით ასრულებს.*

სტატისტიკის დეპარტამენტმა ეკონომიკის ცალკეულ დარგებში ჩრდილოვანი წილის შეფასების შედეგები და მეთოდოლოგია გააცნო პრესკონფერენციაზე მოწვეულ უშიშროების, შინაგან საქმეთა, თავდაცვის, ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროებისა და ანტიკორუფციული ბიუროს წარმომადგენლებს. დეპარტამენტის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ საქართველოში რეალიზებული ბენზინის მოცულობა 3,1-ჯერ აღემატება ბენზინგასამართი სადგურების მიერ ოფიციალურად წარმოდგენილ მაჩვენებლებს; სამჯერ აჭარბებს პურის ცხობის ფაქტობრივი მაჩვენებელი დეკლარირებულს; მშენებლობის პროდუქციისა და განათლების დაწესებულებების კომერციული მომსახურების რეალური მოცულობა ორ-ორჯერ, ხოლო რესტორნების რეალური შემოსავლები – 3.7-ჯერ აღემატება ოფიციალურ მონაცემებს. კიდევ უფრო მძიმე სიტუაციაა სამედიცინო მომსახურების სფეროში, სადაც ფაქტობრივი მაჩვენებლები დეკლარირებულზე 4.2-ჯერ ნაკლებია. ბაზრობებზე ინდივიდუალურ მოვაჭრეთა 40 პროცენტი სახელმწიფო აღრიცხვის გარეთ არის მოქცეული. წარმოდგენილი საგანგაშო სურათის უფრო მეტი თვალსაჩინოებისთვის, სტატისტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ დავით კბილაძემ რამდენიმე მაგალითი მოიყვანა. კერძოდ, ოფიციალური მონაცემებით, თბილისის რესტორნების დღიური შემოსავალი მხოლოდ 185 ლარით, ხიზილალას მოხმარება კი – სამი კილოგრამით განისაზღვრება. ასევე სერიოზული სხვაობაა ერთ სულ მოსახლეზე პურის დეკლარირებული (100 გრამი) და რეალური (400 გრამზე მეტი) მოხმარების მაჩვენებლებს შორის.

სტატისტიკოსთა მიერ ამა თუ იმ დარგის "ჩრდილოვანების" დადგენისთვის გამოყენებულმა მეთოდებმა განსაკუთრებით დააინტერესა შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის დეპარტამენტის წარმომადგენელი. კახა ფხაკაძემ სტატისტიკის დეპარტამენტს ინფორმაციის გაცვლა და თანამშრომლობა შესთავაზა, რაზეც თანხმობა მიიღო.

სტატისტიკის დეპარტამენტის გამოკვლევებით, მეწარმეების მიერ საკუთარი საქმიანობის რეალური მოცულობის დაფარვის მიზეზებად დასახელდა უკვე გაცვეთილი "კორუფციის მაღალი დონე" და "გადასახადების მაღალი განაკვეთები". რეალური ინფორმაციის დაფარვის საწინააღმდეგო ახალ საშუალებას წარმოადგენს სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ პარლამენტისთვის წარდგენილი პროექტი, რომელიც მსგავსი დარღვევისთვის ითვალისწინებს ადმინისტრაციულ სამართალ-დარღვევათა კოდექსში ამჟამად არსებული საჯარიმო სანქციების (150-300 ლარი) თითქმის ათჯერ გამკაცრებას.

სამწუხაროდ, ეს სიტუაცია, რომელიც წლების განმავლობაში არ იცვლება, ქვეყნის ეკონომიკაში ჩრდილოვანი სექტორის გაფართოების მიზეზი ხდება. ბოლო წლების ოფიციალური დინამიკაც საქართველოში მდგომარეობის გაუმჯობესების ნაცვლად, მის გაუარესებაზე მეტყველებს. ამ მხრივ, საქართველო "ლიდერობს" არა მარტო განვითარებულ, არამედ – მასავით გარდამავალი ეკონომიკის მქონე დსთ-ს ქვეყნებშიც. თუ განვითარებულ ქვეყნებში ჩრდილოვანი სექტორის წილი ეკონომიკაში 7-10 პროცენტს არ აღემატება, განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 30-35 პროცენტს აღწევს. საქართველო თავისი 33 პროცენტით დსთ-ს ქვეყნებსაც ჩამორჩება, სადაც ეკონომიკის "დაჩრდილვა" 20 პროცენტის ფარგლებშია.

# რუსთავის მეტალურგიულს ინკოგნიტო "იტალიელები" ყიდულობენ

მაია მოსიაშვილი

*რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში მიმდინარე თვის ბოლოს, შვიდწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ, პირველი პროდუქციის გამოშვებას გეგმავენ. კომბინატის გენერალურმა დირექტორმა ნოდარ ღვამბერიამ "24 საათს" განუცხადა, რომ სამი თვის წინ ქარხანამ ხელშეკრულება გააფორმა იტალიურ ფირმა "არეს იმპორტ-ექსპორტთან", რომელსაც შემოაქვს მილნამზადი და მიაქვს გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქცია - მილები.*

იტალიელებმა ვოლგოგრადის ქარხანა "კრასნი ოკტიაბრსკში" შეიძინეს 3600 ტონა მილნამზადი. მათ დღემდე, დაახლოებით, მილიონ 300 ათასამდე დოლარი დახარჯეს. ნოდარ ღვამბერიძის თქმით, "არესს" პროდუქცია მთლიანად მიაქვს.

**- შეგიძლიათ, უფრო დაწვრილებით გვითხრათ ფირმა "არესის" შესახებ?**

- "არესი" დიდი იტალიური საფინანსო ჯგუფის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ეს ჯგუფი აპირებს ჩვენი ქარხნის შესყიდვას.

**- რა ჯგუფია ეს?**

- ჯერჯერობით თავს შევიკავებ მისი სახელწოდების დასახელებისაგან. დავარქვათ მას "არესი". ეს ჯგუფი გვეუბნება, დაგვანახეთ, რომ ქარხანა მუშა მდგომარეობაშია და მე დიდი ინვესტიციებით შემოვდივარო. ეს არის, დაახლოებით, 150 მილიონი დოლარი.

**- გავრცელებული ინფორმაციით, თქვენ ადრე აღნიშნეთ, რომ იტალიური კომპანია, რომელიც რუსთავის მეტალურგიულ კომბინატთან თანამშრომლობს, "ლუჩინია".**

- არა, მე ეს არ მითქვამს. არ არის საჭირო ამის ხელახლა გამეორება, რადგან მათ ძალიან დიდი პრობლემები შეექმნათ ჩვენი განცხადებების გამო.

დაახლოებით ორი თვის წინ, "24 საათთან" ინტერვიუში მეტალურგიული კომბინატის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ჟორდანიამ განაცხადა, რომ "ლუჩინიმ", რომელიც მსოფლიო რეიტინგით ამ სფეროში მომუშავე კომპანიების ათეულში მერვე ადგილზეა და უძლიერეს ფინანსურ ჯგუფად ითვლება, უარი განაცხადა კომბინატთან თანამშრომლობაზე, რადგან ქართველმა ჩინოვნიკებმა მას დიდი პრობლემები გაუჩინეს. "ლუჩინი" წავიდა, - თქვა მაშინ ჟორდანიამ.

კომბინატის მესვეურები დღეს აცხადებენ, რომ მათი პარტნიორია "არესი", რომლის პრეზიდენტიც იტალიელი ანჟელა კორნა გახლავთ. ისინი იმასაც მალავენ, რომ "არესი" "ლუჩინის" შვილობილი კომპანიაა და ქალბატონი კორნა ბატონ ლუჩინის პირადი წარმომადგენლის სტატუსით ჩამოვიდა საქართველოში.

არ არის გამორიცხული, რომ ბოლო დღეებში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის უკიდურესმა დაძაბვამ თვის ბოლოსთვის დაგეგმილი ქარხნის გაშვება გადადოს ან სულაც ჩაშალოს. ეჭვის საფუძველს იძლევა ის, რომ მილნამზადი საქართველოში რუსეთიდან შემოდის. გარდა ამისა, ქარხნის ამუშავებისათვის საჭირო ბუნებრივი აირის მომწოდებელი "საქგაზი", ანუ "იტერა" გახლავთ. უახლოეს დღეებში იტალიელები "საქგაზს" გაზის საფასურის 90 პროცენტს წინსწრებით გადაუხდიან. ნოდარ ღვამბერია თითქმის დარწმუნებულია, რომ პოლიტიკური სიტუაციის დაძაბვა ეკონომიკურ ურთიერთობებზე არ იმოქმედებს და მათ გეგმებს ხელს არ შეუშლის. მისივე განცხადებით, კომბინატის ერთადერთი პრობლემა წარმოების სრულად ამუშავებისათვის საჭირო სპეციალისტების ნაკლებობაა.

# იტალიაში თხუთმეტი პაკისტანელი დააპატიმრეს




სიცილიის პოლიციამ პაკისტანის 15 მოქალაქის დაპატიმრების შესახებ გაავრცელა ინფორმაცია. სამართალდამცავთა განცხადებით, დაკავებულები ტერაქტების ორგანიზების მცდელობაში არიან ეჭვმიტანილები. ვარაუდობენ, რომ პაკისტანელი მოქალაქეები "ალ ქაიდას" წევრები არიან.

როგორც ცნობილი გახდა, პაკისტანელები ჯერ კიდევ აგვისტოს თვეში, სატვირთო გემზე, იტალიის ტერიტორიულ წყლებში, სიცილიასთან ახლოს სანაპიროს დაცვის პოლიციამ დააკავა. მათ ინფორმაცია საეჭვო პირების შესახებ იტალიის სპეცსამსახურებისგან მიიღეს. პაკისტანელებს ყალბი პასპორტები და დაშიფრული შეტყობინებები აღმოაჩნდათ. მათი დაკითხვების დროს პოლიციას გაუჩნდა ეჭვი, რომ დაკავებულები, შესაძლოა, ტერორისტული ორგანიზაციის წევრები ყოფილიყვნენ. ეჭვმიტანილების აღიარების თანახმად, ისინი მაროკოში ავიდნენ გემზე და ლიბიისკენ მიეშურებოდნენ. გემი, რომელსაც ხუთი წლის წინ შეეცვალა სახელწოდება, ტონგას სახელმწიფოს დროშის ქვეშ დაცურავს და რუმინეთში მცხოვრებ ბერძენ პიროვნებას ეკუთვნის. იტალიის სამართალდამცავი ორგანოების განცხადებით, დაკავებული პაკისტანელები უახლოეს დღეებში სასამართლოს წინაშე წარსდგებიან.

იტალია ერთ-ერთი ევროპული ქვეყანაა, რომელსაც "ალ ქაიდას" ლიდერები 11 სექტემბრის ტერაქტის ორგანიზებისათვის აქტიურად იყენებდნენ. ერთი წლის განმავლობაში იტალიაში "ალ ქაიდას" 30-ზე მეტი წევრი დააკავეს.

# ნელსონ მანდელა აშშ-ს ადმინისტრაციას დაუპირისპირდა

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ყოფილმა პრეზიდენტმა ნელსონ მანდელამ აშშ-ს პრეზიდენტს მოუწოდა, არ დაიწყოს სამხედრო კამპანია ერაყის წინააღმდეგ. მისი თქმით, ბუში აშშ-ს იარაღის მწარმოებელთა და ნავთობკომპანიების სასარგებლოდ მოქმედებს. გარდა ამისა, მან ბუშის გარემოცვის ზოგიერთ წევრს, მათ შორის, ვიცე-პრეზიდენტ ჩეინის, "დინოზავრები" უწოდა.

ავღანეთთან დაკავშირებით მანდელამ განაცხადა, რომ სსრკ-ავღანეთის ომის დროს ამერიკელთა მიერ მოჯაჰედებისა და, მათ შორის, ბინ ლადენის, მხარდაჭერამ ავღანეთის სათავეში თალიბების მოსვლას შეუწყო ხელი. **"თუ თვალს გადავავლებთ ამ საკითხებს, მივალთ დასკვნამდე, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოში მშვიდობას უქმნის საფრთხეს,"** - განცხადა 84 წლის მანდელამ. მისი თქმით, ჯერჯერობით არ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ ერაყს მასობრივი განადგურების იარაღი გააჩნია. **"თუმცა, ჩვენ ვიცით, რომ მასობრივი განადგურების იარაღი აქვს ისრაელს. რატომღაც არავის სურს ამის გახსენება,"** - აღნიშნა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ყოფილმა პრეზიდენტმა. მისი თქმით, ის ვაშინგტონის ადმინისტრაციაში მხოლოდ კოლინ პაუელს სცემს პატივს. მანდელამ ისიც გაიხსენა, რომ აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი, თავის დროზე, მანდელას ციხიდან გათავისუფლების წინააღმდეგ გამოვიდა. **"ჩეინის არ სურს, ბუში ახალ ერას მიეკუთვნებოდეს,"** - დასძინა ნელსონ მანდელამ.




# გაერო-ს გენერალური ასამბლეა ერაყის ბედს გადაწყვეტს

გუშინ ნიუ-იორკში გაერო-ს გენერალური ასამბლეის სხდომა გაიხსნა. გენერალურმა ასამბლეამ ერაყის, ისრაელ-პალესტინის და ავღანეთის საკითხებზე უნდა იმსჯელოს და შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღოს.

სხდომა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა გახსნა. მან 11 სექტემბრის შემდეგ დაწყებული ანტიტერორისტული კამპანიის და საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხის შესახებ ისაუბრა. კოფი ანანის განცხადებით, ყველა ქვეყანას აქვს უფლება, პასუხი გასცეს თავდამსხმელს, თუმცა, სხვა სახელმწიფოში შეჭრა მხოლოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნებართვით უნდა მოხდეს.

გენერალური მდივნის განცხადებით, აშშ-მა ერაყის წინააღმდეგ დამოუკიდებლად არ უნდა იმოქმედოს და ეს გადაწყვეტილება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციით უნდა იყოს გამყარებული.

აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა თავის გამოსვლაში ერაყის რეჟიმს ბრალი დასდო მასობრივი განადგურების იარაღის და შორი მანძილის რადიუსის ბირთვული რაკეტების დამზადებაში, გაერო-ს რეზოლუციებისა და ადამიანის უფლებების დარღვევაში. ბუშმა გენერალურ



ასამბლეას მოუწოდა, მიიღონ ეფექტური გადაწყვეტილება, რაც ერაყის მიმართ წაყენებული სამართლიანი მოთხოვნების რეალიზაციას შეუწყობს ხელს. მისი განცხადებით, სიტუაციიდან გამოსვლის ორი გზა არსებობს. ერაყმა ან უნდა შეასრულოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოთხოვნები და რეზოლუციები და ამით თავიდან აირიდოს კონფრონტაცია, ან ერაყში რეჟიმი უნდა შეიცვალოს. **"აშშ-ს ადმინისტრაციას სურს, რომ გაერო-ს რეზოლუციები სრულდებოდეს და ეს ორგანიზაცია ქმედითუნარიანი იყოს,"** - განაცხადა ბუშმა. აშშ-ს პრეზიდენტს არ დაუკონკრეტებია, აპირებს თუ არა სამხედრო დარტყმების განხორციელებას ერაყის წინააღმდეგ. გენერალური ასამბლეა მუშაობას დღესაც გააგრძელებს.

ასამბლეის წინაშე ბუშის გამოსვლამდე ერთი საათით ადრე, ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნაჯი საბრიმ განაცხადა, რომ ერაყი კვლავ იმედოვნებს აშშ-ს შეტევის თავიდან აცილებას. **"მაგრამ თუ დაგვარტყამენ, ჩვენ თავდასაცავად გამოვიყენებთ ჩვენს ხელთ არსებულ ყველა საშუალებას, სამზარეულოს დანებს, ჯოხებს და ქვებსაც კი,"** - განაცხადა ნაჯი საბრიმ. **"ჩვენ ამ სიონისტებს ჩვენი ქვეყნის დაპყრობის უფლებას არ მივცემთ,"** - დასძინა მან.

# არაფატი ახალ მთავრობას ადგენს

ოთხშაბათს პალესტინის მინისტრთა კაბინეტი სრული შემადგენლობით გადადგა. ექსპერტთა აზრით, ამ ნაბიჯით კაბინეტის წევრებმა პალესტინის პარლამენტისგან უნდობლობის ვოტუმის გამოცხადებას აარიდეს თავი. პალესტინის საკანონმდებლო ორგანოს ზოგიერთმა წევრმა ავტონომიის მინისტრებს არაკომპეტენტურობასა და მექრთამეობაში დასდო ბრალი. როგორც პალესტინის, ასევე ისრაელის სახელისუფლებო წრეებში პალესტინის პოლიტიკაში ახალი ერის დადგომის შესახებ საუბრობენ.

ამჟამად არაფატს ახალი მთავრობის დაკომპლექტებისთვის ორკვირიანი ვადა აქვს. ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, ამ მოვლენებმა, შესაძლოა, იასირ არაფატის ძალაუფლება სერიოზულად დაასუსტოს, რადგან ამ დრომდე ავტონომიის ხელმძღვანელს პარლამენტის ყველა გადაწყვეტილების იგნორირება შეეძლო. ამჟამად პალესტინელმა კანონმდებლებმა არაფატს საპასუხო დარტყმა მიაყენეს. მათ მზადყოფნას, მთავრობისათვის უნდობლობის ვოტუმი გამოეტანათ, პალესტინის მოსახლეობის უმრავლესობამ მხარდაჭერა გამოუცხადა. არაფატს ბევრი ადანაშაულებს იმაში, რომ მან იცოდა მინისტრების არაკომპეტენტურობისა და მექრთამეობის ფაქტების შესახებ, მაგრამ ამის წინააღმდეგ არავითარ ღონისძიებას არ მიმართავდა.

პალესტინის ავტონომიაში 20 იანვარს საყოველთაო არჩევნების ჩატარებაა დაგეგმილი. ცხადია, საარჩევნო კამპანიის მსვლელობის დროს პალესტინის პარლამენტის წევრები შეეცდებიან, დაარწმუნონ მოსახლეობა, რომ ისინი ხალხის ინტერესებს ემსახურებიან. ამავე დროს,მათი მიზანია დაარწმუნონ ამერიკელები და ებრაელები, რომ ავტონომიის ხელისუფლებას ქვეყნის შიგნით რეფორმების განხორციელება დამოუკიდებლად შეუძლია და ამ პროცესში საერთაშორისო თანამეგობრობის ჩარევა საჭიროებას არ წარმოადგენს.

რაც შეეხება იასირ არაფატს, მას ჯერ კიდევ აქვს შანსი კიდევ ერთხელ გახდეს პალესტინის ავტონომიის თავმჯდომარე. ექსპერტების მტკიცებით, თუ 20 იანვარს არჩევნები შედგება, იასირ არაფატის გამარჯვებას წინ ვერაფერი დაუდგება. პალესტინელთა უმრავლესობისათვის იასირ არაფატი კვლავ ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სიმბოლოდ აღიქმება.

# გაურიგდა თუ არა მოსკოვი ვაშინგტონს

## მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები პუტინის მუქარის შესახებ

პირველი გვერდიდან

კერძოდ, პანკისის ხეობაში, ტერორისტთა ბაზებზე სამხედრო დარტყმების დეტალური გეგმა.საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობას მიიღებენ ჩეჩნეთში დისლოცირებული 42-ე მოტომსროლელი დივიზია, ითუმ-ყალეს რაიონში ბაზირებული სასაზღვრო ჯარების ნაწილები, რუსეთის მთავარი დამრტყმელი ძალა კი რუსეთის გენშტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს (დპს) სპეცდანიშნულების ნაწილები იქნებიან. სწორედ ის ელიტარული ქვედანაყოფები, რომელთაც ამ რამდენიმე ხნის წინ რუსეთის პრეზიდენტისგან უამრავი ჯილდოები და მადლობები გადაეცათ. სააგენტო "ნტვ.რუ," რუსეთის გენშტაბზე დაყრდნობით, ავრცელებს ინფორმაციას, რომ მთავარი სადაზვერვო სამმართველოს როსტოვის ბრიგადის ნაწილები უკვე საქართველოს საზღვართან არიან გადასროლილები. გენშტაბის გეგმის მიხედვით, ოპერაციას საფრონტო ავიაციის მოიერიშე თვითმფრინავები დაიწყებენ, რომლებიც უმაღლესი სიზუსტის იარაღით იქნებიან აღჭურვილები.

საგულისხმოა, რომ, ესოდენ მრისხანე ინფორმაციის შემდეგ, სააგენტო "ნტვ.რუ" ავრცელებს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის საპასუხო განცხადებას, სადაც შევარდნაძე პუტინის მუქარას "ნაჩქარევსა და ობიექტურობას მოკლებულს" უწოდებს.ამასთან თვლის რომ, რომ საქართველოს მოსახლეობას პანიკის საფუძველი არ გააჩნია. შევარდნაძე მშვიდად ელოდება ოქტომბრის თვეში კიშინიოვში დსთ-ს სამიტს, სადაც ის **"აუცილებლად შეხვდება ვლადიმირ პუტინს და საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში დაგროვილ პრობლემებს განიხილავს."**

ვიდრე შევარდნაძე კიშინიოვში რუსეთის პრეზიდენტს შეხვდება და ორ ქვეყანას შორის არსებული პრობლემების მოგვარებას დაიწყებს, რუსული მასმედია უკვე ავრცელებს რუსი პოლიტიკოსების კომენტარებს საქართველოსადმი პუტინის მუქარასთან დაკავშირებით.

**"პრეზიდენტი შევარდნაძე უკვე დიდი ხანია, ვერ აკონტროლებს ვითარებას არა მარტო პანკისის ხეობაში, არამედ საქართველოს სხვა ნაწილებშიც – აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, აჭარაში და მისთვის იმის მოთხოვნა, რომ საკუთარ სახლში წესრიგი დაამყაროს, ცოტა არ იყოს, უცნაურია,"** - განაცხადა რუსეთის მემარჯვენე ძალთა გაერთიანების ლიდერმა ბორის ნემცოვმა. მისი თქმით, საქართველოს პრობლემა და ტკივილი ის არის, რომ არ ჰყავს ქმედუნარიანი ლიდერი, რომელსაც ქვეყანაში წესრიგის დამყარება შეეძლება.

პრეზიდენტ პუტინის მუქარის გაჟღერებისთანავე აქტიურად ამოქმედდა რუსეთის ფედერაციის დიპლომატიური უწყება. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ივანოვმა იმავე დღეს წერილი გაუგზავნა გაერო-ს გენერალურ მდივანს და უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს და მათ პრეზიდენტ პუტინის გამოსვლის სრული ტექსტი მიაწოდა. **"რუსეთი მტკიცედ უჭერს მხარს, რომ საქართველომ ტერორიზმთან ბრძოლაში ნაკისრი ვალდებულებები შეასრულოს. ყოველი სახელმწიფო მოვალეა, ებრძოლოს ამ ბოროტებას და ტერორისტები არ დაუშვას საკუთარ ტერიტორიაზე,"** - განაცხადა იგორ ივანოვმა.

პუტინის მკვეთრმა განცხადებამ და მის მიერ მიცემულმა დავალებებმა რუსეთის ძალოვანი და დიპლომატიური უწყებების მიმართ, რუსეთის ფედერაციის საბჭოს დეპუტატთა დიდი მხრდაჭერა დაიმსახურა. რადიოსადგურმა "ეხო მოსკვიმ" პირდაპირ ეთერში გადასცა ფედერაციის საბჭოს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ვიქტორ ოზეროვის განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ ფედერაციის საბჭო მზად არის, პანკისის ხეობაში რუსეთის შეიარაღებული ძალების ამოქმედების თაობაზე პრეზიდენტის ინიციატივას მხარი დაუჭიროს. **"ერთადერთი, რაც ჩვენ ამისათვის გვესაჭიროება, არის გაერო-ს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება. თუკი გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭო მხარს დაუჭერს რუსეთის ინიციატივას საქართველოში გამაგრებული ბანდფორმირებების განადგურების თაობაზე, მე ვფიქრობ, რომ ფედერაციის საბჭო ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს,"** - განაცხადა ოზეროვმა.

საქართველოსადმი წაყენებულ პუტინის ულტიმატუმსა და პრეზიდენტ შევარდნაძის მდგომარეობას საკმაოდ ცინიკურად გამოეხმაურა "გაზეტა.რუ." **"ვლადიმირ პუტინის ულტიმატუმმა საქართველოში ნამდვილი ალიაქოთი გამოიწვია. ედუარდ შევარდნაძემ, რომელსაც გვიან ღამემდე არ ეძინა, განაცხადა, რომ ხუთშაბათს თავად დაურეკავს რუსეთის პრეზიდენტს. შესაძლოა, სატელეფონო საუბარში ის დათანხმდეს პუტინის მოთხოვნას და პანკისის ხეობაში რუსეთის ჯარები შეუშვას,"** - ნათქვამია "გაზეტა.რუს" საიტზე. იმავე სტატიის მიხედვით, პუტინმა ულტიმატუმი საკმაოდ გააზრებულად წამოაყენა, დაამთხვია ნიუ-იორკში გაერო-ს ასამბლეის გახსნას და ამით საქართველოს ხელისუფლება გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა. **"ახლა აშშ, რომელიც საქართველოს მუდმივი მფარველია, ვერ დაიცავს საქართველოს. სწორედ ხუთშაბათს ჯორჯ ბუში გაერო-ს ასამბლეის წინაშე ერაყის საკითხზე პროგრამული სიტყვით გამოსვლას აპირებს, სადაც დანარჩენ ქვეყნებს სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის მხარდაჭერას სთხოვს. ამავე დროს, კოფი ანანის მაგიდაზე პუტინის გუშინდელი გამოსვლის სრული ტექსტი დევს... რუსეთის ხელისუფლების გადაკრული სიტყვა ნათელია: რუსეთი არ დაადებს ვეტოს ერაყის წინააღმდეგ ომს, თუ მას ნებას დართავენ, იომოს ჩეჩენი ბოევიკების წინააღმდეგ საქართველოში,"** - ნათქვამია სტატიაში.

იმავე გვერდზე "გაზეტა.რუმ" გამოაქვეყნა სტატია შემდეგი სათაურით: **"პუტინმა სადამ ჰუსეინი საქართველოში გაცვალა."** აღნიშნულ მასალაში შავით თეთრზე წერია: **"დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ შევარდნაძის შესაძლო აპელირებას საერთაშორისო თანამეგობრობასა და აშშ-ზე, დაიცვან საქართველო რუსეთისაგან, არ მოუსმენენ. პუტინის განცხადების უპრეცედენტო სტილი და შერჩეული დრო იმას მოწმობს, რომ რუსეთსა და აშშ-ს, ასევე, დიდ ბრიტანეთს, შორის შედგა გარიგება – ერაყი საქართველოს სანაცვლოდ."**

აშშ-რუსეთის შესაძლო გარიგებას შეეხო დიდი ბრიტანეთის გავლენიანი გაზეთი "გარდიანიც," რომლის 12 სექტემბრის გამოშვებაში ერაყში შეჭრაზე რუსეთის თანხმობის ორი ვარიანტია მოცემული. პირველის თანახმად, რუსეთი დათანხმდება ერაყში აშშ-ს შესაძლო შეჭრას იმ შემთხვევაში, თუ დასავლეთი პოსტ-ჰუსეინის პერიოდში ერაყში რუსეთის ეკონომიკურ ინტერესებს გაითვალისწინებს და მოსკოვს ამ ქვეყანაში განხორციელებულ ინვესტიციებს აუნაზღაურებს. მეორე ვარიანტის მიხედვით კი, შესაძლოა, დასავლეთმა რუსეთს საქართველოში და ჩეჩნეთში ჩეჩენი ბოევიკების წინააღმდეგ მოქმედების უფლება მისცეს.

ამ თემასთან დაკავშირებით, "ნიუ-იორკ თაიმსმა" 12 სექტემბერს დაბეჭდა სტატია - **"პუტინი საქართველოს სამხედრო თავდასხმით ემუქრება,"** სადაც აშშ-ს მდგომარეობას უხერხული უწოდა. **"რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთოების გაუარესებამ რთულ მდგომარეობაში ჩააყენა აშშ, რომელმაც, სწორედ ასეთი სახის ოპერაციების ჩასატარებლად, წელს საქართველოს არმიის მომზადებისა და აღჭურვის 64-მილიონიანი პროგრამის განხორციელება დაიწყო. რუსეთის სამხედრო აქცია საქართველოში უმცროსი ბუშის ადმინისტრაციას უხერხულ ვითარებაში ჩააგდებს, რადგან შესაძლო კონფლიქტში მონაწილე ქვეყნებს ის თავის მოკავშირეებად თვლის,"** - აღნიშნულია სტატიაში.

სააგენტო "როიტერის" მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში ნათქვამია, რომ მოსკოვს პანკისის ხეობაში სამხედრო ოპერაციის ჩატარებაზე, ერაყზე სამხედრო დარტყმების სანაცვლოდ, ვაშინგტონისგან თანხმობის მიღება სურს. ამ აზრს სააგენტო "როიტერი" რუს და ქართველ დამკვირვებელთა მოსაზრებებზე დაყრდნობით ავრცელებს.

კიდევ ერთი გაზეთი, რომელმაც პუტინის მუქარას დასავლეთსა და რუსეთს შორის ვაჭრობის კვალიფიკაცია მისცა, "კომერსანტ ბიზნეს დეილი" იყო. **"რუსეთი აშშ-ს სთავაზობს გარიგებას - ერაყი საქართველოს სანაცვლოდ. კრემლი არ ჩაერევა აშშ-ს გეგმებში ერაყის დაბომბვასთან დაკავშირებით, თეთრი სახლი კი თვალს დახუჭავს კრემლის გეგმებზე საქართველოში,"** - ნათქვამია გაზეთის პირველ გვერდზე, სადაც სტატიის ფონს 1995 წელს ტერაქტის შემდეგ მაისურის ამარა დარჩენილი შევარდნაძის ფოტო წარმოადგენს.

რაც შეეხება, ისეთ წამყვან სააგენტოებს, როგორებიც "ბი-ბი-სი" და "სი-ენ-ენ"-ია, ისინი მხოლოდ ფაქტის კონსტატაციით დაკმაყოფილდნენ და პუტინის მუქარის შესახებ მშრალი ინფორმაციები გაავრცელეს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოსადმი პუტინის ულტიმატუმის შესახებ დასავლეთის არც ერთ სახელმწიფოს ჯერ არანაირი განცხადება არ გაუკეთებია. შესაძლოა, აშშ-მა და ევროპამ, გაერო-ს ასამბლეასთან დაკავშირებით, ჯერჯერობით საქართველოსთვის ვერ მოიცალეს. თუმცა, ყველაფერი, ალბათ, ძალიან მალე გაირკვევა.

# თევდორაძეს თედო ისაკაძე ეხმარებოდა


ელენე თევდორაძე
ბესო გულაშვილის ფოტო

დალი კუპრავა

გუშინ ფრაქცია "დემოკრატებს" პარლამენტში, ილია ჭავჭავაძის სახელობის დარბაზში განათლების სისტემის ფინანსურ, და არა მხოლოდ, პრობლემებზე უნდა ემსჯელათ. პუტინის განცხადებამ სამუშაო განრიგი არია, განათლების მინისტრისთვის ველარ მოიცალეს და სხდომა გადაიდო.

"კარტოზიას კანდიდატურა ჟვანიას ეკუთვნის. მართალია, მე პირადად სიმპათიით არა ვარ განწყობილი მის მიმართ, მაგრამ ენა არ მომიტრიალდება მის უპატიოსნობაზე სალაპარაკოდ, თუმცა, სისტემა რა მდგომარეობაშია, ვხედავთ", – გამონახა ჩვენთან სასაუბროდ დრო ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ, ელენე თევდორაძემ.

მისი თქმით, მოვალეობიდან გამომდინარე, ხშირად უწევს მასწავლებლების თითქმის მარგინალურ ფენასთან კავშირი, რომლებიც მინისტრთან მიუღწევლობის გამო ჩივიან. "მინისტრი ვალდებულია თავის მასწავლებლებს მხოლოდ ყრილობებსა და ფორუმებზე არ შეხვდეს. ხშირად თედო ისაკაძის დახმარებით მიმიღწევია, რომ მასწავლებელს მასთან შეეღწია", - ამბობს თევდორაძე.

"დემოკრატების" აზრით მინისტრმა კანონი დაარღვია მაშინ, როცა თვითნებურად შეწყვიტა და არ დაამთავრა მასწავლებელთა ატესტაციის პროცესი. მართალია ატესტაცია სხვა მთავრობის დაწყებული იყო, "ახლა მისი თვისობრივი ავკარგიანობა მსჯელობის საგანი არ არის, მაგრამ კანონის დაცვა ყველას ევალება, მით უმეტეს – უწყების ხელმძღვანელს. მე ძალიან მომწონს მისი მუშაობა რეფორმის კონტექსტში, მაგრამ დღევანდელი მოვალეობებიც უნდა შეასრულოს და არც კანონი არ უნდა დაარღვიოს", - თქვა თევდორაძემ.

"ჩვენ თუ ამერიკული მოდელი გვაქვს, მაშინ აშშ-ში პრეზიდენტის წარდგენილ მთავრობას იღებს პოზიცია-ოპოზიცია. მთავრობას პრეზიდენტი ქმნის. ამდენად, მთელი მთავრობაა შევარდნაძის და არა მხოლოდ განათლების მინისტრია შევარდნაძის მინისტრი. კანონი მაშინ ირღვევა, როცა პრეზიდენტის წარდგენილ კანდიდატურას საპარლამენტო დაჯგუფებების ალტერნატივები სჯაბნიან", - გვითხრა განათლების მინისტრის მოადგილემ, ვლადიმერ სანაძემ. მისივე თქმით, ის ოთხმოცი მოწინააღმდეგე საპარლამენტო ხმა დღესაც მოწინააღმდეგედ რჩება.

# ცვლილებები, რომელსაც ელიან და რომლისაც ეშინიათ

მაკა ჭაიანი

პირველი ოქტომბრისთვის სოციალურ სფეროში დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი. უკვე მზად არის და საშემოდგომო სესიაზე განიხილება რვა ცვლილება მოქმედ კანონმდებლობაში, რომელიც სოციალური უზრუნველყოფის ერთიან სახელმწიფო ფონდსა და სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანიას გააერთიანებს. პარლამენტის დასტურს ელოდება პრეზიდენტის ბრძანებულებაც ამ ორი სამსახურის ბაზაზე ახალი, სოციალური დაზღვევის ფონდის ჩამოყალიბების შესახებ. პარალელურად, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიერ მომზადებულ სამ კანონპროექტზე იმსჯელებს. ეს გახლავთ საქართველოს კანონები სავალდებულო სოციალური დაზღვევის, სავალდებულო სადაზღვევო პენსიებისა და სავალდებულო სოციალური დაზღვევის სისტემაში ინდივიდუალური (პერსონიფიცირებული) აღრიცხვისა და ინდივიდუალური ანგარიშების შემოღების შესახებ.

ამ ცვლილებებს ვინ შიშით ელის, ვინ - იმედით. ეშინიათ მათ, ვისაც დაგეგმილი რეორგანიზაცია უმუშევრობით ემუქრება. წლის ბოლომდე შემცირებას არავის უპირებენ, თუმცა, შემდეგ ეს აუცილებლად მოხდება. საუბარია დღეს მომუშავე კადრების ათპროცენტიან ოპტიმიზაციაზე. ძირითადად, პარალელური სტრუქტურები "შეიფერთხება", ისინი კი, ვისაც ამ ინსტიტუტებში ვიწრო პროფესიული საქმიანობა უწევს, ადგილებს შეინარჩუნებენ. რეორგანიზაცია არ ითვალისწინებს კადრების კონკურსის წესით დანიშვნას ან, ძველების ნაცვლად, ახალი კადრების მოყვანას, არც შემცირების გზით გამოთავისუფლებული თანხების სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართვას. ამ ფულით რეგიონული სამსახურების მატერიალურ-ტექნიკური მხარის გაუმჯობესება და დარჩენილი თანამშრომლებისთვის ხელფასების მომატებაა ნავარაუდევი. სხვებთან ერთად, "შემცირება" ემუქრება მოქმედი ფონდისა და კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოებს. ახალ სამსახურს ორი ასეთი საბჭო, ბუნებრივია, არაფერში სჭირდება.

რაც უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, მოსალოდნელ ცვლილებებს პენსიონერები იმედით ელიან. ეს იმიტომ, რომ ამ რეორგანიზაციას საზოგადოებაში პენსიების მომატებას უკავშირებენ. ზემოთ ჩამოთვლილი კანონპროექტების დამტკიცების შემთხვევაში, ეს მართლაც მოსალოდნელია, მაგრამ არა იმ დოზით, როგორც ბევრი ფიქრობს. 2004 წლიდან საქართველოში პენსიები დიფერენცირებულად გაიცემა. 12 ან 14 ლარი - პენსიის საბაზისო ნაწილი, ყველა პენსიონერს დაენიშნება. მათ კი, ვინც ახალი კანონების ამოქმედების შემდეგ გავა პენსიაზე, საშუალება ეძლევა, ეს თანხა გაზარდოს. იმ სამუშაო სტაჟისა და ხელფასის გადაანგარიშებით, რომელიც პოტენციურ პენსიონერს ახალი წესების ამოქმედების წლებში დაუგროვდა, გამოიყვანება კონკრეტული პენსიის რაოდენობა და საბაზისო პენსიას ემატება. ამასთან, პენსიის გარკვეული ნაწილი იმ წლების გათვალისწინებითაც დაინიშნება, რომელიც ადამიანმა ახალი წესების ძალაში შესვლამდე გაატარა მუშაობაში.

ამ შემთხვევაში მოქმედებს ე.წ. ადრე მოპოვებულ უფლებათა კონვერსიის პრინციპი, რომლის მიხედვითაც ნამუშევარი წლები გარკვეულ კოეფიციენტზე გადაანგარიშდება. სავარაუდოდ, ეს იქნება ქვეყანაში არსებული საშუალო ხელფასის (როგორც ამბობენ, 100 ლარის) 30-33 პროცენტი. ეს თანხაც უკვე მოგროვებულ პენსიას დაემატება. სამწუხაროდ, ასეთი "ფუფუნებით" ვერ ისარგებლებენ ის ადამიანები, ვინც უკვე გასულია პენსიაში ან საპენსიო ასაკი ახალი წესების ამოქმედებამდე უწევს. გასული წლის ნამუშევარს მათ არავინ დაუთვლის. მათ მცირე პენსიას, რომელიც საბაზისო პენსიის ტოლი იქნება, მხოლოდ ინდექსირების შემთხვევაში - ინფლაციის, ფასებისა და ხელფასების ცვლილებების დროს შეიძლება მიემატოს რამე. თუმცა, ეს მექანიზმი ყველა პენსიონერის საბაზისო პენსიას შეეხება. ერთადერთი, რითაც შეიძლება ისინი ვანუგეშოთ, ის არის, რომ უახლოეს სამ წელიწადში ხელისუფლება საპენსიო დავალიანების გასტუმრებასაც გეგმავს. როგორ - ჯერ არ გაურკვევია.

# ეფენდი ნეჯდეთის ფეშქაში

ეთერ მამულაშვილი

საქართველოში ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით მყოფი, თურქეთის რესპუბლიკის განათლების მინისტრი, დოქტორი ნეჯდეთ თექინი დღეს პრეზიდენტ შევარდნაძეს ხვდება. დღესვე თექინი და მისი ქართველი კოლეგა, ალექსანდრე კარტოზია, ხელს მოაწერენ მემორანდუმს, რომელიც საქართველოსა და თურქეთის განათლების სფეროში ურთიერთობის გაფართოებას ითვალისწინებს. როგორც ბატონმა თექინმა აღნიშნა, მემორანდუმში, რომელიც 2003-2005 წლებზეა გათვლილი, ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტი სტუდენტებისა და პროფესორმასწავლებლების გაცვლითი პროგრამაა.

გუშინ თურქეთის განათლების მინისტრი მიიღო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ვახტანგ ყოლბაიამ. საუბარი შეეხო ორი ქვეყნის განათლების სფეროს და პარლამენტების ურთიერთობის გაღრმავებას. ნეჯდეთ თექინის განცხადებით, თურქეთი დაინტერესებულია საქართველოში მიმდინარე პროცესებით. მას იმედი აქვს, რომ უმოკლეს დროში საქართველო თავს დააღწევს კრიზისს. **"ჩვენს საკანონმდებლო ორგანოში შექმნილია საქართველოს პარლამენტთან თანამშრომლობის ჯგუფი და მასში გაწევრიანების სურვილი უკვე ბევრმა დეპუტატმა გამოთქვა",** - განაცხადა ნეჯდეთ თექინმა.

ვახტანგ ყოლბაიას თქმით, საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მემორანდუმს, რომელსაც დღეს მოეწერება ხელი.

გუშინვე ნეჯდეთ თექინი შეხვდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს როინ მეტრეველს. თექინმა ისაუბრა თურქეთის განათლების სისტემის სტრუქტურაზე. მან აღნიშნა, რომ თურქეთის განათლების სამინისტროს პრეროგატივა მხოლოდ საშუალო განათლებაა, ხოლო უმაღლეს სასწავლებლებს უმაღლესი განათლების საბჭო მეთვალყურეობს.

თურქეთის განათლების მინისტრმა გამოთქვა სურვილი, რომ უნივერსიტეტის თურქოლოგიის კათედრასთან ერთად გამოიცეს ახალი ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ლექსიკონები. გამოცემის ხარჯებს მთლიანად თურქული მხარე იკისრებს.

საღამოს თურქეთის საელჩოში ნეჯდეთ თექინი გაეცნო იმ თურქ სტუდენტებს, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტში სწავლობენ.

# განათლებაზე ზრუნვა თურქ ბიზნესმენებს ეამაყებათ

ეკატერინე ბახუტაშვილი

თურქეთის შავი ზღვის უნივერსიტეტის მიწვევით, თბილისის და ბათუმის სკოლების ექვსი დირექტორი, აგრეთვე, იმერეთის განათლების ოლქის ორი წარმომადგენელი 12 დღის განმავლობაში თურქეთში იმყოფებოდნენ. მიზანი ამ ქვეყნის სკოლების გაცნობა იყო.

**"არაჩვეულებრივი სკოლები დავათვალიერეთ. ვაღიარებ, რომ არ მეგონა, თურქეთი ასე წინ თუ იყო წასული. სკოლებს კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აქვთ, საუკეთესო სპორტული მოედნები, რათა ბავშვები ჯანმრთელები გაიზარდონ.**

**ისინი დიდ ყურადღებას აქცევენ ერის გამრავლებას და ჩვენ, ქართველებს, ერთი ან ორი შვილის ყოლის გამო, შენიშვნებს გვეუბნებოდნენ",** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას თურქეთიდან დაბრუნებულმა 24-ე სკოლის დირექტორმა ლია იოსელიანმა.

ამ ქვეყნის განათლების სისტემა ბავშვზეა ორიენტირებული და მასწავლებელს მოსწავლის ცოდნის მიხედვით აფასებენ. **"თურქეთში სკოლებს დიდ დახმარებას უწევენ ბიზნესმენები. ისინი საკუთარი ხელებით და თანხებით აშენებენ სკოლებს, მიუხედავად იმისა, რომ აქედან არავითარ მოგებას არ მიიღებენ.**

**შემდგომაც არ აკლებენ ყურადღებას. ბავშვების განათლებაზე ზრუნვა თურქ ბიზნესმენებს ძალიან ეამაყებათ. საქართველოდან ჩასულები ერთ-ერთ მათგანსაც შევხვდით, რომელმაც განაცხადა, რომ მას სურს, მისმა ერმა კარგი განათლება მიიღოს. გული მტკივა ხოლმე, როცა გავიგონებ, საქართველოში მომავალი თაობა მომსახურების სფეროსათვის უნდა გავზარდოთო. ჩვენში ხომ დიდი ინტელექტუალური პოტენციალია?1"** – დასძინა იოსელიანმა.



# პანკისში პროვოკაციებია მოსალოდნელი

სოფიკო ჩხაიძე

პუტინის განცხადებას, საქართველოს ტერიტორიების სავარაუდო დაბომბვის შესახებ, შესაძლოა პანკისის ხეობაში პროვოკაციები მოჰყვეს, თვლის შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი. მინისტრი არ აკონკრეტებს, რა სახის პროვოკაციები აქვს მხედველობაში. სამაგიეროდ, მათი თავიდან აცილების მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებზე საუბრობს. – **“პროვოკაციების თავიდან ასაცილებლად გაძლიერებულია სტრატეგიული ობიექტების დაცვა, პატრულირება. ამ შემთხვევაში ჩვენი უმთავრესი მიზანია სიმშვიდის შენარჩუნება, ყველა ზომის მიღება საიმისოდ, რომ პრობლემები არ შეიქმნას. რაც შეეხება პანკისს, იქ ანტიკრიმინალური ოპერაცია გაგრძელდება”,** – განუცხადა თელავში შინაგანი ჯარების იუბილეზე ჩასულმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ჟურნალისტებს.

შინაგანი ჯარის 11 წლისთავის იუბილეს თელავის თეატრი მასპინძლობდა. ერეკლე მეორის კარის თეატრის ფუძეზე აგებულ ამ შენობაში დღემდე ტრიალებს საქართველოს უდიადესი და უმამაცესი მხედართმთავრის სული, - მიმართა ჯარისკაცებსა და მათ ხელმძღვანელობას სპეციალურად შინაგანი ჯარების იუბილეზე ჩასულმა ფოთის ეპარქიის ეპისკოპოსმა მეუფე გრიგოლმა და ერეკლეს ბრძოლისუნარიანობა უსურვა მათ. მანამდე ეპისკოპოსმა შინაგანი ჯარის სარდლობასთან ერთად, ჯოყოლოს ფაქტობრივად დახურულ ეკლესიაში წირვა-ლოცვა ჩაატარა.



საიუბილეო სვლა თელავში.

იური ლობოდინის ფოტო

თელავის თეატრში ჩატარებული საზეიმო კონცერტის მთავარი მონაწილეები შინაგანი ჯარების ხალხური ცეკვისა და ვოკალური ანსამბლები იყვნენ. ჯარების სარდლის გიორგი შერვაშიძის თქმით, **“ამასაც თავისებური დატვირთვა აქვს -- ყველამ იცოდეს, რომ ჩვენ, სამხედროებს, იარაღის გამოყენების გარდა, სხვაც ბევრი შეგვიძლია”.**

რაც შეეხება შინაგანი ჯარების ძირითად ფუნქციას, შერვაშიძე გვარწმუნებს, რომ ამ თერთმეტი წლის მანძილზე შინაგან ჯარებში ბევრი რამ წინ წავიდა და შეიცვალა.

**“ჩვენ ყველაფერი ნოლიდან დავიწყეთ, შეიარაღება შევიძინეთ, ტექნიკა შევინარჩუნეთ, პირადი შემადგენლობა დღითი-დღე იხვეწება, იხვეწება სწავლების მეთოდიკა. სამაჩაბლო იყო, აფხაზეთი, მაისის მოვლენები თუ სხვადასხვა კრიმინალურ დაჯგუფებებთან ბრძოლა, შინაგან ჯარს ყველაფერში აქვს მონაწილეობა მიღებული”.**

გიორგი შერვაშიძე შეურაცხყოფად აღიქვამს რუსი პოლიტიკოსების მხრიდან პანკისის ანტიკრიმინალური ოპერაციის სპექტაკლად მონათვლას და ამბობს, **”თუ ეს სპექტაკლია, მაშინ გაგრძელებაა იმ დიდი სპექტაკლისა, რომელიც ჩეჩნეთის ტერიტორიაზე დაიწყო და დღემდე მიმდინარეობს. ის სპექტაკლი რომ არ ყოფილიყო, არც ჩვენ მოგვიწევდა პანკისში ანტიკრიმინალური ოპერაციის ჩატარება”.**

ჩეჩნეთის პრობლემის მოუგვარებლობა კობა ნარჩემაშვილმაც გაიხსენა - **„აკონტროლებს კი რუსეთი ჩეჩნეთის მაღალმთიან რეგიონებს? უკვე მერვე წელია, ვერ აკონტროლებს. მაშინ რატომ უკვირთ, თუ ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ იმ თითო-ოროლა შეიარაღებულ კაცს, რომელიც, შესაძლოა, საქართველოს ტერიტორიაზე მოძრაობდეს. მე გადაჭრით ვერ ვიტყვი, რომ საქართველოში არც ერთი შეიარაღებული ჩეჩენი არ არის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საქართველო ტერორიზმის ბუდეა,”** — ამბობს კობა ნარჩემაშვილი.

# ანტიკრიმინალური ოპერაციისას პირველი ჩეჩენი დააკავეს

თამარ კაციტაძე

რუსეთი პანკისის ხეობაში დაწყებული ანტიკრიმინალური ოპერაციით უკმაყოფილოა და, რადგან ქართველ სამართალდამცველებს ხეობაში ჩეჩენი ბოევიკების წინააღმდეგ რადიკალური ზომები ჯერაც არ მიუღიათ, საქართველოს დაბომბვით ემუქრება. თითქოს ამ ბრალდების უარსაყოფად, გუშინ, პანკისის ხეობაში განლაგებულმა შინაგანმა ჯარმა პირველი შეიარაღებული ჩეჩენი დააკავა საზღვრის უკანონო დარღვევისთვის დაპატიმრებულ 13 ჩეჩენს თუ გამოვრიცხავთ, დღემდე დაკავებული ცხრა კრიმინალიდან ჩეჩენი ეროვნების არც ერთი არ ყოფილა.

„მაკაროვის” სისტემის მაყუჩიანი პისტოლეტის ტარებისათვის დაკავებულ ისა ისაევს, პირადობის დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტი არ აღმოაჩნდა, მაგრამ, როგორც თავად ირწმუნება, იგი ჩეჩენია და საქართველოში ლტოლვილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტითაც სარგებლობს. როგორც ახმეტის რაიონის პროკურორმა ზურაბ ზურაბაშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ისაევს სამართალდამცველებისთვის ლტოლვილის საბუთი არ წარმოუდგენია და ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა დაკავებული პიროვნების ვინაობის გასარკვევად. უკვე დადგენილია, რომ ისაევი გროზნოს მკვიდრია. ვარაუდობენ, რომ იგი ერთ-ერთი იმ ბოევიკთაგანია, რომლებიც, თითო-ოროლა, ჯერ კიდევ შემორჩნენ პანკისის ხეობას. ისა ისაევის დაკავება დუისის საგუშაგოსთან ჩვეულებრივი პროფილაქტიკური ღონისძიების მიმდინარეობისას მოხდა. მანქანა, რომელშიც რამდენიმე ჩეჩენი ლტოლვილი იჯდა, შინაგანი ჯარის ჯარისკაცებმა გააჩერეს და გაჩხრიკეს. ჩეჩენთაგან იარაღი მხოლოდ ერთს – ისაევს აღმოაჩნდა. ჩვენი ინფორმაციით, მის დაკავებას მცირე ინციდენტიც მოჰყვა.ისაევთან ერთად მყოფნი ჩხრეკაზე უარს ამბობდნენ და ამის გამო შელაპარაკებაც მოუხდათ ჯარისკაცებთან, მაგრამ უთანხმოება მალევე ჩაცხრა და უიარაღო ჩეჩნები თავიანთ გზას გაუყვნენ. თუმცა, ისა ისაევის დაკავებამ რამდენადმე აღაშფოთა 50-ოდე ჩეჩენი ლტოლვილი. ისინი დაჟინებითაც კი ითხოვდნენ მის გათავისუფლებას. მიზეზად ისაევის ინვალიდობას ასახელებდნენ -- ცალი ფეხი თავის ქვეყანაში, დაბომბვის დროს დაკარგაო. უკმაყოფილო ლტოლვილების დაშლა იოლად მოხერხდა, ისაევი კი თელავის პოლიციის წინასწარი დაკავების საკანში გადაიყვანეს.

# შეტაკება პოლიციასა და კრიმინალებს შორის სისხლისღვრით დასრულდა

ინგა ალავიძე

გუშინ, ჩოხატაურისა და ოზურგეთის პოლიციასა და ჩოხატაურში მოქმედ კრიმინალურ დაჯგუფებას შორის შეტაკება მოხდა. პოლიციას, რომელმაც ძებნილთა დასაკავებლად სპეცოპერაცია მოაწყო, ძმებმა მიხეილ და ბიძინა მდინარაძეებმა და მათმა მეგობარმა ზურაბ სვანიძემ შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს.

სამართალდამცველთა განცხადებით, არსებობდა ოპერატიული ინფორმაცია, რომ ძებნილი ძმები ტყეში იმალებოდნენ. სანისლის მთაზე დაბანაკებული ჯგუფის წევრები პოლიციამ ალყაში მოაქცია და მათ იარაღის დაყრა და დანებება შესთავაზა. თუმცა, კრიმინალებმა კანონდამცველებს საპასუხოდ ცეცხლი გაუხსნეს და ხელყუმბარის აფეთქებითაც დაემუქრნენ.

პოლიციის საპასუხო სროლისას ადგილზევე გარდაიცვალა ბიძინა მდინარაძე და ზურაბ სვანიძე, ხოლო მიხეილ მდინარაძე მძიმედ დაიჭრა და ჩოხატაურის საავადმყოფოშია მოთავსებული.

პოლიციამ სანისლის მთაზე, კრიმინალთა სამალავიდან ამოიღო “აკმ”-ის და “აკ-47”-ის სისტემის ავტომატები, 4 მჭიდითა და 101 ვაზნით, “ფ-1” ტიპის ხელყუმბარები, დანები, 2 ნიღაბი და თოკები.

ოზურგეთელ ძმებ მდინარაძეებს პოლიცია თანასოფლელების, მამა-შვილ ჭელიძეების განზრახ სხეულის მძიმე დაზიანებისთვის, იარაღის უკანონო შენახვა-ტარებისთვის, ყაჩაღობისა და გაუპატიურების მცდელობისთვის ეძებდა.

მიხეილ მდინარაძის მძიმე ბრალდებებს კიდევ ერთი, პოლიციელის სიცოცხლის ხელყოფისა და იარაღის უკანონო შეძენა-ტარების ბრალდებაც დაემატა.

# პატიმრებმა პროტესტის ნიშნად ხარაკირი გაიკეთეს

სულ ცოტა ხნის წინათ, კანონდამცველების მიერ დაპატიმრებულმა ცნობილმა გორელმა კრიმინალმა სტეფანე გეორქევმა, რომელიც გორის რაიონში ჩადენილ 50-მდე ძარცვა-ყაჩაღობაშია ბრალდებული, გუშინ ორთაჭალის ციხეში, პროტესტის ნიშნად, კოვზით "ხარაკირი" გაიკეთა. სტეფანე გეორქევს კიდევ ორმა პატიმარმა - ვახტანგ ქრისტესაშვილმა და ივანე ჭილლაძემ - მიბაძა. ივანე ჭილლაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა და იგი ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, ხოლო დანარჩენი ორი პატიმრის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

პატიმრებმა პროტესტი მათთვის წაყენებულ ბრალდებებსა და გორში დანიშნულ სასამართლო პროცესსა და ეტაპირებას გამოუცხადეს. ბრალდებულთა გამოჯანმრთელებისთანავე, გორში გეორქევის ჯგუფის სასამართლო პროცესი დაიწყება.

# რუსეთის პროკურატურამ ბერეზოვსკი-პატარკაციშვილს ახალი ბრალდება წაუყენა

ინგა ალავიძე

მას შემდეგ, რაც რუსმა კანონდამცველებმა ორი ცნობილი ოლიგარქის ექსტრადიციაზე ინგლისელი და ქართველი კოლეგებისგან უარი მიიღეს, რუსეთის გენერალური პროკურორი დაიმუქრა, რომ ბორის ბერეზოვსკის და მის საქმიან პარტნიორებს ახალ, სერიოზულ ბრალდებებს წაუყენებდა და ამ სკანდალურ საქმეს, ბოლოს და ბოლოს, წერტილსაც დაუსვამდა.

გუშინწინ რუსეთის გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ ვლადიმირ კოლესნიკოვმა პრესკონფერენცია გამართა და ახალი ბრალდება წაუყენა ბორის ბერეზოვსკის და მის მოადგილეს, ბადრი პატარკაციშვილს.

პროკურატურამ ორი ოლიგარქი “ჟიგულის” მარკის 2 ათასზე მეტი ავტომანქანის მოპარვასა და მათი რეალიზაციიდან შემოსული ფულის-60 მილიარდი არადენომინირებული მანეთის მითვისებაში დაადანაშაულა.

გენერალ კოლესნიკოვის ინფორმაციით, რუსეთის სამართალდამცველი სტრუქტურების თანამშრომლებისგან დაკომპლექტებული საგამოძიებო ჯგუფი, რომელსაც თავად ხელმძღვანელობდა, ვითომდა სხვადასხვა გახმაურებული საქმეების გამოსაძიებლად, ერთი თვის წინ ჩავიდა სამარის რაიონში. პროკურატურის რეალური დაინტერესების შესახებ მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც“ავტოვაზში” შევიდა რუსეთის პროკურატურიდან და ФСБ –დან სამარასა და ტოლიატში გაგზავნილი დამატებითი ჯგუფი და იქ დოკუმენტური რევიზია ჩაატარა. აღმოჩნდა, რომ პროკურატურა იძიებდა თაღლითური გზით დიდი ოდენობით ფულის მითვისების ფაქტზე აღძრულ საქმეს.

ორი დღის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე კოლესნიკოვმა განაცხადა, რომ 1994-95 წლებში მოპარულია 60 მილიარდი - 2033 მანქანის რეალიზაციისგან მიღებული თანხა. უშუალოდ სამარის გუბერნატორის კონსტანტინე ტიტოვის დახმარებით, სამარის ოლქის ადმინისტრაციამ “ავტოვაზიდან” დასახელებული თანხა მოხსნა, რომელიც შემდეგ კომერციული სტრუქტურის – “ლოგოვაზის” – ანგარიშზე აღმოჩნდა.

გენერალური პროკურორის მოადგილის განცხადებით, პროკურატურისთვის ცნობილია მოპარული 60 მილიარდის შემდგომი ბედიც:



ბორის ბერეზოვსკი



ბადრი პატარკაციშვილი

ბერეზოვსკიმ მოსკოვის მახლობლად 7 მილიარდ 500 ათას მანეთად შეისყიდა სამი ფეშენებელური კოტეჯი. ერთი კოტეჯის მფლობელი გახდა “ლოგოვაზის” ყოფილი გენერალური დირექტორი ალექსანდრ კრასნენკერი, მეორე კოტეჯი საკუთრებაში გადაეცა ბერეზოვსკისთან დაახლოებულ კომპანიის ერთ-ერთ თანამშრომელს, ხოლო მესამე კოტეჯი დღემდე “ლოგოვაზის” ბალანსზეა და, სავარაუდოდ, იგი თავად ბერეზოვსკის ეკუთვნის.

ბორის ბერეზოვსკიმ 1 მილიარდ 500 ათასად მოსკოვის სიახლოვეს, პრესტიჟულ სააგარაკო რაიონში, აგარაკი შეუძინა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს, ტიხონოვს. გენერალ კოლესნიკოვის მონაცემებით, ამ აგარაკზე ახლა ბორის ბერეზოვსკის ერთ-ერთი ქალიშვილი ცხოვრობს.

ბერეზოვსკიმ მოპარული 60 მილიარდიდან 5 მილიარდ ასი ათას მანეთად სანკტ-პეტერბურგში “ლოგოვაზის” ოფისისთვის შენობა შეიძინა; 9 მილიარდ 82 ათასად მოიპოვა ტელეკომპანია „OPT“ –ს აქციები; მილიარდ 456 ათასად კი „TB-6“-ის აქციების მფლობელი გახდა; 3 მილიარდი გადაიხადა ჟურნალ “ოგონიოკში”.

რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილის თქმით, გაგრძელდება გამოძიება, თუ სად დააბანდეს მოპარული ფულის დანარჩენი ნაწილი ბერეზოვსკიმ და მისმა პარტნიორებმა. გამოძიებას ძალიან სერიოზული კითხვები გაუჩნდა სამარის გუბერნატორისადმიც, რომელსაც საგამოძიებო ჯგუფის წევრები უახლოეს დღეებში დაკითხავენ. ტიტოვი, სავარაუდოდ, ბერეზოვსკის ფინანსურ მაქინაციებში ეხმარებოდა და ამის სანაცვლოდ სოლიდურ თანხას იღებდა.

რუსეთის პროკურატურა ბერეზოვსკისა და მისი პარტნიორების თაღლითური მოღვაწეობის შესახებ კიდევ 20 საქმეს იძიებს.

რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილეს შემართება არ აკლია. კოლესნიკოვის გაცხადებით, **“პროკურატურამ საქმეების ძიება, ფაქტობრივად, თავიდან დაიწყო. ამ საქმეებს დიდი სასამართლო პერსპექტივა აქვს. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ ბერეზოვსკისა და მისი პარტნიორების მძიმე დანაშაულობათა დასამტკიცებლად, ვერ შეგვაჩერებენ ვერც ქილერები და ვერც სხვა ვინმე. ბერეზოვსკი ქვეყნის მტერია,”**- იმუქრება გენერალი კოლესნიკოვი.

კოლესნიკოვის მუქარას ინგლისიდან სასწრაფოდ გამოეხმაურა ცნობილი ოლიგარქი. **“რუსეთის გენერალური პროკურატურა პუტინის შეკვეთას ასრულებს, იმ პრეზიდენტისას, რომელიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე იტყუება. ველოდები, როდის მოახერხებენ მტკიცებულების წარმოდგენას, რათა ჩემი ინგლისიდან ეტაპირება მოახდინონ, ჩამოვალ მოსკოვში და ყველას დავანახებ, თუ ვინ არის ქვეყნის მტერი”,** – ასეთი პასუხი გასცა ინგლისიდან რუს სამართალდამცველთა ბრალდებებს ბორის ბერეზოვსკიმ.

რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ, ბორის ბერეზოვსკისთან ერთად, ფინანსურ მაქინაციებში დაადანაშაულა თბილისელი ბადრი პატარკაციშვილიც. კოლესნიკოვის ინფორმაციით, რუსეთის პროკურატურამ საქართველოს პროკურატურას ბადრი პატარკაციშვილის დაკავება-გადაცემის შესახებ შუამდგომლობა უკვე გაუგზავნა. კოლესნიკოვმა პრესკონფერენციის ტრიბუნიდნ განაცხადა: **“ბრიტანეთისა და საქართველოს სამართალდამცველ სტრუქტურებს კიდევ ერთხელ ვთხოვ, რომ გადმოგვცენ ბერეზოვსკი და “ლოგოვაზში” მისი პირველი მოადგილე ბადრი პატარკაციშვილი. მე დავაკვალიანებ ქართველ სამართალდამცველებს, პატარკაციშვილი საქართველოს პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის, მრჩევლად მუშაობს,”** –კოლესნიკოვის ამ განცხადებას გაკვირვებით შეხვდა საქართველოს გენერალური პროკურატურა. გენერალური პროკურორი ნუგზარ გაბრიჩიძე აცხადებს, რომ ცნობილი ქართველი ბიზნესმენის და მეცენატის, ბადრი პატარკაციშვილის, რუსეთში ექსტრადიციის საფუძველი არ არსებობს. “პატარკაციშვილი საქართველოს მოქალაქეა და თუ რამე დანაშაული აქვს ჩადენილი, აქ უნდა გასამართლდეს ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. თუმცა, პროკურატურას ბადრი პატარკაციშვილის დაკავებისა და მისი გასამართლების საფუძველი არ გააჩნია,” – აცხადებს ნუგზარ გაბრიჩიძე.

ერთი სიტყვით, მოსკოვში, ბორის ბერეზოვსკისა და ბადრი პატარკაციშვილის ცნობილი კომპანიის -“ლოგოვაზის” საეჭვო ფინანსური საქმიანობის თაობაზე ახალი სკანდალი ატყდა.

# სატყუარები გატაცებულ უცხოელთა საქმეებში

თამარ კაციტაძე

საქართველოში გატაცებული უცხოელი ბიზნესმენების ასავალ-დასავალი კვლავ უცნობია. პრეზიდენტის მიერ თითოეული გატაცებულის დაბრუნებაზე დათქმული რამდენიმედღიანი ვადა თვეების შემდეგაც შეუსრულებელია. სამართალდამცველები კი ქვეყნის პირველი პირის რისხვის ასაცილებლად პერიოდულად ახალ-ახალ ლეგენდებს იგონებენ. ამასობაში პროკურატურამ საგამოძიებო საქმიანობები ამოწურა და ოპერატიული სამსახურებიდან ახალ ინფორმაციას ელოდება, მაგრამ ინფორმაცია ჯერჯერობით არ ჩანს...

დღევანდელი მონაცემებით, პირველ ივნისს გაუჩინარებული გერმანელი ბიზნესმენის კლაუს დროეგეს საქმე ასე გამოიყურება: თავდაპირველად, დროეგეს გაქრობასთან დაკავშირებით, გამოძიება რამდენიმე ვერსიაზე მუშაობდა, მაგრამ ბოლო დროს თბილისის პროკურატურა ორ ვერსიას მიიჩნევს პრიორიტეტულად. კვლავ ძალაში რჩება ვერსია დროეგეს საქართველოდან გაქცევის შესახებ, რასაც სამართალდამცველები ნავთობის ბიზნესთან მისი საეჭვო კავშირით ხსნიან. მართალია, გერმანელი ბიზნესმენის მიერ საქართველოს საზღვარის გადაკვეთა ოფიციალურად არ დაფიქსირებულა, მაგრამ, ერთ-ერთი ვერსიით, მან აზერბაიჯანში ან საბერძნეთში მოახერხა გაპარვა.

მეორე ვერსიით, დროეგე გაიტაცეს ან მოკლეს. ამ ვერსიას გაუჩინარებული გერმანელის ოფისში აღმოჩენილი სისხლის ლაქებით ამყარებენ. თბილისის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმეც სწორედ განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა.

იმისათვის, რომ დადგინდეს დროეგეს გაუჩინარების ზუსტი მიზეზი, სხვა საგამოძიებო მოქმედებების პარალელულად, ოფისში აღმოჩენილ სისხლზე ექსპერტიზა დაინიშნა. სხვათა შორის, გერმანელი კანონდამცველების მიერ გამოგზავნილი ინფორმაციით, დაკარგულ ბიზნესმენს სწორედ მეორე ჯგუფის სისხლი ჰქონდა, რაც ოფისში აღმოჩენილი სისხლის ჯგუფს დაემთხვა. მაგრამ ექსპერტიზის მონაცემები დროეგეს ახლობლების მიერ დასახელებული სისხლის კომპონენტების შესაბამისი არ აღმოჩნდა. მორიგი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა შახნაზაროვის და დაბიჩავას სისხლზე დაინიშნა. შეგახსენებთ, რომ გერმანელი ბიზნესმენი გაუჩინარების ღამეს სახლში სწორედ აღნიშნულმა პირებმა მიაცილეს. სამხილის არარსებობის გამო, ისინი ჯერჯერობით დანაშაულში ეჭვმიტანილებადაც არ არიან ცნობილნი. მართალია, გამოძიება არ გამორიცხავდა, რომ ოფისში აღმოჩენილი სისხლი სწორედ “გამცილებლებს’’ ეკუთვნოდა, მაგრამ ეს ვარაუდი გამოირიცხა. ამ დღეებში გამოძიებამ ექსპერტიზის პასუხი მიიღო, რითიც საბოლოოდ დამტკიცდა, რომ ოფისში აღმოჩენილი სისხლი შახნაზაროვს და დაბიჩავას არ ეკუთვნით.

ამის შემდეგ გამოძიებამ გერმანიის საელჩოს ოფიციალურად მიმართა და გაუჩინარებული უცხოელის სისხლის კომპონენტების ზუსტი მონაცემების გამოგზავნა სთხოვა, რათა კიდევ ერთხელ ჩატარდეს ექსპერტიზა და საბოლოოდ გამოირიცხოს, რომ სისხლი დროეგეს ნამდვილად არ ეკუთვნის. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო აპარატის უფროსის ლორდი ლებანიძის განცხადებით: **“არ არის გამორიცხული, გერმანიაში არსებული ოფიციალური ინფორმაცია დროეგეს სისხლის კომპონენტების შესახებ არ დაემთხვეს დაკარგულის ახლობლების მიერ მოწოდებულ მონაცემებს. მაგრამ, გაურკვეველი მიზეზით, გერმანელები ინფორმაციის გადმოცემაზე ჯერჯერობით თავს იკავებენ”.**

არადა, თუ დროეგეს სისხლზე ჩატარებულმა კიდევ ერთმა ანალიზმა დაადასტურა, რომ ოფისში აღმოჩენილი სისხლი ნამდვილად დროეგეს ეკუთვნის, მაშინ გამოძიება ერთადერთ, მკვლელობის ვერსიაზე გააგრძელებს მუშაობას.

ცოტა ხნის წინ პროკურატურამ უცხოელი ბიზნესმენის ფინანსური დოკუმენტაციის შესწავლაც დაასრულა. ქართველ სამართალდამცველებს იმედი ჰქონდათ, რომ დოკუმენტებით შეძლებდნენ იმ პიროვნების ვინაობის დადგენას, ვისთანაც დროეგეს საეჭვო კავშირები ჰქონდა.

ერთი სიტყვით, ქალაქის პროკურატურამ მის კომპეტენციაში არსებული ყველა შესაძლებლობა ამოწურა... პოლიციას კი, თუ დავუჯერებთ, გერმანელის გამტაცებლების შესახებ უამრავი ოპერატიული ინფორმაცია გააჩნია, მაგრამ...

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, პოლიცია, რეალური დამნაშავეების დადგენისა რა მოგახსენოთ, მაგრამ პრეზიდენტის თვალში ქულების ჩაწერას კი ნამდვილად ცდილობს. ამისათვის ისინი არც გამოცდილებას იშურებენ და არც ფანტაზიას. ამ ეტაპზე ჩვენთვის ერთი მაგალითი გახდა ცნობილი. თურმე, ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა პოლიციელმა, რომელსაც ქვეყნის პირველი პირის წყალობა ნამდვილად სჭირდება, მიზნის მისაღწევად ახლობელი ქალის გამოყენება სცადა. სანდო წყაროს ინფორმაციით, პოლიციისგან დარიგებული ქალბატონი თავგამოდებით ამტკიცებდა, გაუჩინარებიდან რამდენიმე დღეში დროეგე პირადად ჩემს ბინაში მოვიდაო. თურმე ნუ იტყვით და, ამ ქალის მეზობლად დროეგეს ახლობელი გერმანელი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. უცხოელ ბიზნესმენს კი, რომელსაც უკვე მთელი საქართველო ეძებდა, ახლობლებისთვის რაღაც დოკუმენტების გადაცემა მოუნდომებია, მაგრამ ცოლ-ქმარი სახლში არ დახვედრია და ამიტომ საიდუმლო დოკუმენტები მეზობლებისთვის გადასაცემად ქართველი ქალისთვის დაუტოვებია. ვერ გეტყვით, რატომ არ შეუსრულა ქალბატონმა დროეგეს თხოვნა, მაგრამ ფაქტია, გერმანელებისთვის დატოვებული დოკუმენტები, რომელიც ნათქვამის ნივთმტკიცებად სჭირდებოდათ, უცხოელების ნაცვლად, ქართული პოლიციის ხელში აღმოჩნდა.

მაგრამ, მიუხედავად დიდი მცდელობისა, პოლიციას ამჯერად არ გაუმართლა. რეპეტიციაგავლილი ქალბატონი მაღალჩინოსანი პოლიციელის კაბინეტშივე დაბნეულა და დადგმული სცენაც ჩაიშალა.

საქმის გახსნის ანალოგიური მცდელობა პოლიციას პიტერ შოუს საქმეზეც ჰქონია. კანონდამცველებმა ვაკეში ერთ-ერთ პიროვნებას ცეცხლსასროლი იარაღი ძალით ჩაუდეს. როგორც მოგვიანებით გაირკვა, იარაღის უკანონო ტარებისათვის დაპატიმრებულ პიროვნებას პიტერ შოუს გატაცების ბრალდებისთვის ამზადებდნენ. ამ შემთხვევაში უდანაშაულო პიროვნება პოლიციის მიერვე გადაღებულმა კადრებმა იხსნა, სადაც თურმე აშკარად ჩანს, თუ როგორ “უდებენ” სამართალდამცველები დაკავებულს იარაღს.

ერთი სიტყვით, გატაცებული უცხოელების დასაკავებლად პოლიცია მუშაობს. რამდენად ეფექტურად, სხვა საკითხია, მაგრამ ეტყობა, კანონდამცველთა ასეთი თავგამოდებით ქვეყანაში ვიღაც კმაყოფილია.

# "ეს ყველაფერი წააგავს მოზარდ მაყურებელთა თეატრისთვის დაწერილ პიესას, რომელიც, ალბათ, არ განხორციელდება"


კობა ლიკლიკაძე


ლია ჯერვალიძე


შალვა ფიჩხაძე


ალექსანდრე რონდელი


გია ნოდია


არჩილ გეგეშიძე

გოგიტა ბუხაიძის ფოტოები

პირველი გვერდიდან

**"ეს ყველაფერი წააგავს მოზარდ მაყურებელთა თეატრისთვის დაწერილ პიესას, რომელიც, ალბათ, არ განხორციელდება"**

*რუსეთის პრეზიდენტის მიერ საქართველოს ხელისუფლებისათვის გამოცხადებულ ულტიმატუმზე და მის შედეგებზე სასაუბროდ "24 საათის" რედაქციაში მოვიწვიეთ მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის დირექტორი გია ნოდია, სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის პრეზიდენტი ალექსანდრე რონდელი, ამავე ფონდის ექსპერტი არჩილ გეგეშიძე, სახელმწიფო კანცელარიის საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების უფროსი შალვა ფიჩხაძე, ექსპერტები - ლია ჯერვალიძე და კობა ლიკლიკაძე რადიო "თავისუფლებიდან". მათ ესაუბრნენ "24 საათის" საერთაშორისო მიმომხილველები - შოთა უტიაშვილი და გიორგი ხელაშვილი.*

**- რითი შეიძლება აიხსნას პრეზიდენტ პუტინის გუშინდელი მკვეთრი განცხადება?**

**გია ნოდია**: პირველი, რაც აზრად მომდის, არის ის, რომ მსოფლიოს ყურადღება ერაყში მოსალოდნელი სამხედრო კამპანიითაა დაკავებული და რუსეთი მის საფარქვეშ გარკვეული ამოცანების გადაჭრას აპირებს. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ რუსეთი ცდილობს, დაამტკიცოს: თუ ამერიკას ერაყის დაბომბვა გაერო-ს მანდატის გარეშე შეუძლია, მაშინ რუსეთსაც უნდა ჰქონდეს ამის უფლება. თუ რუსეთმა ეს უფლება დაიმკვიდრა, მისი გამოყენება ამერიკასთან პოლიტიკური ვაჭრობის გამართვისათვის შეეძლება.

**არჩილ გეგეშიძე:** სავსებით ვეთანხმები ამ მოსაზრებას – ეს განცხადება სიმბოლურად დაუკავშირდა 11 სექტემბერს. გარდა ამისა, დღეს, 12 სექტემბერს გაერო-ში იხილება ამერიკის მიერ ერაყის წინააღმდეგ ომის ბედი და რუსეთი ცდილობს, ეს ფაქტორი თავისი ინტერესებისათვის გამოიყენოს.

**ლია ჯერვალიძე**: ამ მოქმედებით რუსეთი მიზნად ისახავდა პანკისის თემის კიდევ ერთხელ წინ წამოწევას და საქართველოსთან ურთიერთობაში მის გამოყენებას. ეს ხდება მას შემდეგ, რაც საქართველომ, ფაქტობრივად, პანკისის პრობლემის გადაჭრას მიჰყო ხელი.

**ალექსანდრე რონდელი**: ვფიქრობ, რუსეთს წინასწარ უკვე გამიზნული ჰქონდა საქართველოზე თავდასხმა. მოსკოვს ეს არ გამოუვიდა იმის გამო, რომ ქართული შეიარაღებული ფორმირებები პანკისში უფრო ადრე შევიდნენ. ამიტომ რუსებს ახლა ამის ფარულად გაკეთება უჭირთ და ცდილობენ, თავიანთი ოპერაცია გაახმაურონ და ამით ნიადაგი მოიმზადონ სამხედრო მოქმედებებისათვის.

**შალვა ფიჩხაძე**: პუტინის განცხადების პირველი მიზეზი ისაა, რომ 11 სექტემბერი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დღეა და მისი განცხადება სიმბოლური გამოდგა. ამ განცხადებით რუსეთმა გამოხატა თავისი პოზიცია, როგორც ანტიტერორისტული კოალიციის წევრმა და თავის სამიზნედ საქართველო აირჩია. მეორე მიზეზი, საფუძველი მაქვს ვიფიქრო, არის ის, რომ, პანკისში ანტიტერორისტული კამპანიის დაწყებით, საქართველომ სულ მცირე ხნით დაასწრო რუსეთს. მოსკოვს უკვე განზრახული ჰქონდა ოპერაციის განხორციელება. ეს კარგად ჩანს, თუ შევხედავთ, როდის დაიწყო ოპერაცია პანკისში და რა განაცხადა მანამდე სამი დღით ადრე რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა. მან, პრაქტიკულად, სამხედრო მზადყოფნა გამოაცხადა. ცხადია, რომ საქართველოს ანტიტერორისტულმა ოპერაციამ რუსეთს სერიოზული არგუმენტი გამოაცალა. ეს მისი გაღიზიანების მიზეზი გახდა. გარდა ამისა, პოლიტიკურ პროცესებში კარგად გარკვეული ხალხის აზრით, პუტინი ანტიქართული განცხადებით მიზნად ისახავდა თავისი შერყეული რეიტინგის გამოსწორებას, ანუ ეს იყო ქვეყნის საშინაო პოლიტიკაზე გათვლილი ნაბიჯი.

**კობა ლიკლიკაძე**: მეც ვიზიარებ ამ მოსაზრებას. პუტინს სურდა, დაებრუნებინა ინიციატივა, რომელიც პანკისში ქართულმა ოპერაციამ გამოაცალა ხელიდან. გარდა ამისა, პუტინის განცხადებას მნიშვნელობა შეიძლებოდა ჰქონოდა აფხაზებისა და ოსების მიერ ქართველების საწინააღმდეგო ოპერაციაში მონაწილეობის თვალსაზრისითაც. საერთოდ, პუტინის განცხადება დიდი ჩანაფიქრის ნაწილია.

**- რას წარმოადგენს ეს ჩანაფიქრი და რა მიზნებს შეიძლება ისახავდეს?**

**შალვა ფიჩხაძე:** მიზნების შესახებ ბევრი ვარაუდი შეიძლება, გამოითქვას. ეს დიდი გეგმის ერთი ნაწილია, რომელიც დაიწყო ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც 1999 წელს მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა პუტინმა საქართველოს ხელისუფლებას პირველად სთხოვა პანკისში რუსული ჯარის შეშვება. მას შემდეგ რუსეთის მხრიდან ზეწოლა კიდევ უფრო გაიზარდა. ამ კამპანიის საბოლოო მიზანი, პირდაპირ უნდა ითქვას, საქართველოს სათავეში რუსეთისადმი ლოიალურად განწყობილი ხელისუფლების მოყვანაა. ვფიქრობ, მათი მთელი მცდელობის კვინტესენციას სწორედ ეს წარმოადგენს. რუსებს თავიანთი მიზნების მისაღწევად ჯერ კიდევ აქვთ გარკვეული სამარქაფო სვლები.

**ალექსანდრე რონდელი:** ვეთანხმები ამ მოსაზრებას – რუსეთის საბოლოო მიზანი საქართველოს სათავეში მორჩილი ხელისუფლების მოყვანაა. მოსკოვის სასურველმა ხელისუფლებამ კრემლის ინტერესები უფრო უნდა გაითვალისწინოს, ვიდრე საქართველოს ეროვნული ინტერესები. თუ საშუალება მიეცათ, რუსი სამხედროები დაარტყამენ პანკისს ან სხვა რომელიმე ადგილს. ამით ისინი ხალხს შეაჩვევენ, რომ არაფრად აგდებენ საქართველოს ხელისუფლებას და მის სახელმწიფოებრიობას, რითაც ძირს გამოუთხრიან საქართველოს ხელისუფლებას. ისინი შექმნიან შთაბეჭდილებას, რომ ამ ხელისუფლების სათავეში დარჩენა აღარ შეიძლება, ამიტომ ან სხვა უნდა მოვიდეს, ან ძალით მოიყვანენ. ეს ყველაფერი წააგავს მოზარდ მაყურებელთა თეატრისთვის დაწერილ პიესას, რომელიც, ალბათ, არ განხორციელდება. მე მგონი, ახლა 30-იანი წლები აღარ არის, რომ მიუნხენის გარიგებები დაიდოს. ახლა დრო შეიცვალა, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ზოგიერთი სახელმწიფოს ხელმძღვანელი მაშინდელ პერსონაჟებს ბაძავს. რუსეთში ფართოდაა გავრცელებული აზრი, რომ საქართველოში ხელისუფლება ანტირუსულია, ხოლო მოსახლეობა - პრორუსული, რაც სხვა არაფერია, თუ არა სისულელე. ეს არის უაზრო პოლიტიკური თამაში, რომელსაც ნორმალური საერთაშორისო საზოგადოება არ მოითმენს.

**ლია ჯერვალიძე:** მაინც უნდა ითქვას, რომ პანკისი რეალური პრობლემაა საქართველოსთვის და მისი გადაწყვეტის გარეშე რუსეთს ჩვენს მიმართ პრეტენზიები არ გამოელევა. პანკისი იყო ხელოვნურად შექმნილი პრობლემა, რომელმაც ჩვენი სახელმწიფოებრიობა კიდევ ერთი კითხვის ნიშნის წინაშე დააყენა. რუსეთი არის ძალიან აგრესიული ქვეყანა და ჩვენ მასთან ინტერესების სერიოზული კონფლიქტი გვაქვს. სწორედ ამიტომ, საჭიროა, რომ რუსეთს არ ჰქონდეს ჩვენს წინააღმდეგ აგრესიული მოქმედების საბაბი. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ ორმაგი დანაშაული იქნება, თუ დანაშაულს ჩავიდენთ მუსლიმების წინაშე, რადგან ჩვენი მოსახლეობის მესამედს სწორედ ისინი შეადგენენ.

**არჩილ გეგეშიძე:** პანკისის პრობლემა ერთადერთი თემაა, რომელშიც რუსეთს შეუძლია, პრეტენზიები წამოგვიყენოს. ყველა სხვა საკითხში პრეტენზიები იქით გვაქვს წარსადგენი. რუსეთი იძულებულია, სხვა საკითხებში თავი დაიცვას. ამიტომაც რუსეთი ყოველნაირად ცდილობს, პანკისის საკითხი დღის წესრიგში მუდმივად დარჩეს. ჩვენი სამართალდამცველების პანკისში შესვლამ რუსეთის ბანქო გაჭრა, რაც მათ არ მოეწონათ და სცადეს ამ ბანქოს ხელახლა გათამაშება. ამისთვის მოიშველიეს საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები, რათა გაემწვავებინათ კრიტიკა საქართველოს მიმართ. რაც შეეხება პუტინის განცხადების უშუალო მიზანს, ეს უნდა იყოს დესტაბილიზაცია საქართველოში, რომლის შემადგენელი ნაწილიცაა ხელისუფლების დისკრედიტაცია. რუსეთის ჩანაფიქრით, საქართველოში ხელისუფლება ან ახლავე უნდა შეიცვალოს, ან მომავალ არჩევნებამდე მაქსიმალურად დასუსტებული მივიდეს. ისიც უნდა ითქვას, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან ჩეჩნეთის საკითხზე რუსეთის მისამართით კრიტიკა დიდი ხნის განმავლობაში მიწყნარებული იყო, მაგრამ ახლახან ხელახლა გაისმა. თანაც, რუსეთმა არ იცის, როგორ დაასრულოს კონფლიქტი ჩეჩნეთში, მით უმეტეს, ვერაფერს უხერხებს პარტიზანულ ომს. ამ ომს წარმართავენ ჩეჩენი პარტიზანები, რომელთაგან ყველა ტერორისტად ვერ ჩაითვლება. მათ შორის, ის ბოევიკებიც, ვინც საქართველოში მოქმედებენ. ზოგი მათგანი თავისუფლებისთვის მებრძოლია. აქ უკვე ცნებების ინტერპრეტაციასთან გვაქვს საქმე. ამიტომ პანკისის თემა რუსეთისთვის მომგებიანია, რადგან შეუძლიათ, მისი საშუალებით თავი იმართლონ. ეს როგორც შიდა, ისე საგარეო მოხმარების საკითხია, რადგან რუსეთშიც ახლოვდება არჩევნები. პუტინი ხელისუფლებაში ჩეჩნეთის კამპანიის ფონზე მოვიდა და საზოგადოება მისგან ამ ომის დასრულებას მოითხოვს. და კიდევ ერთი თარიღი – 18 სექტემბერს იწყება ენერგოდერეფნის სერიოზული კომპონენტის მშენებლობა. რუსეთი, საერთოდ, აღმოსავლეთ-დასავლეთის მარშრუტის წინააღმდეგია, რომელიც მის გავლენას ამცირებს როგორც კავკასიაში, ისე მთელ კასპიისპირეთში. თავისი აგრესიული განცხადებით პუტინი, ალბათ, უცხოელი ინვესტორების შეშინებასაც ისახავდა მიზნად.

**გია ნოდია:** ვეთანხმები მოსაზრებას, რომ პროგრამა-მაქსიმუმია, ერთის მხრივ, სასურველი ხელისუფლების მოყვანა საქართველოში და, მეორეს მხრივ, საქართველოდან დასავლეთის გაძევება. მაგრამ პროგრამა-მინიმუმი შეიძლება იყოს არსებული ხელისუფლების დაყოლიება ლოკალური ხასიათის დათმობებზე, რათა დასავლეთის აქტივობა რეგიონში შემცირდეს. პროგრამა-მაქსიმუმის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მსხვილმასშტაბიანი დესტაბილიზაციის ფონზე, როგორიც 1993 წელს არსებობდა. ასეთი დესტაბილიზაციის გამოწვევა მარტო პანკისის ოპერაციით შეუძლებელია. მათი გათვლა შეიძლება იყოს ის, რომ რუსეთის აგრესიით გაღიზიანებულმა საქართველომ მკვეთრი პოლიტიკური ნაბიჯები გადადგას, მაგალითად, მოითხოვოს საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზებისა და სამშვიდობო ნაწილების დაუყოვნებლივ გაყვანა, რასაც, შეიძლება, მოჰყვეს სერიოზული პროვოკაცია აფხაზეთში ან ჯავახეთში.

**კობა ლიკლიკაძე:** რუსეთის მოქმედებებში ახალს არაფერს უნდა ველოდოთ. ალბათ, დაბომბვებიც განმეორდება და ხელისუფლების შანტაჟირებაც. ბოლომდე ვერ დავეთანხმები მოსაზრებას, რომ რუსეთს ხელისუფლების შეცვლა სურს. შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს პუტინს შინაგანად სწამდეს, რომ შევარდნაძის რუსეთისაკენ შემობრუნება შეიძლება. მას იმედი აქვს, რომ შევარდნაძეს დააჩოქებს და იმ გადაწყვეტილებას მიაღებინებს, რაც მოსკოვს სურს. კონკრეტულად კი ის, რომ დაათმობინოს დერეფანი პანკისის ხეობაში და აბომბვინოს ეს ტერიტორია. რუსეთს არ სჯერა, რომ საქართველოს ხელისუფლება ბოლომდე პრინციპული იქნება ამ საკითხში. პუტინის განცხადება რუსეთისთვის იყო საბრძოლო დათვალიერება, რათა გაერკვია, თუ ვინ არის მისი მომხრე და ვინ - მოწინააღმდეგე საქართველოში. მომხრეები რუსეთს ხელისუფლებაშიც ეგულება – ამ მოსაზრების დამადასტურებელი რამდენიმე განცხადება უკვე გაისმა. ეს ყველაფერი პოლიტიკურ პროცესში გამოჩნდება.

**- რა რეაქციას შეიძლება ველოდოთ პუტინის განცხადებაზე ამერიკისგან?**

**შალვა ფიჩხაძე:** ეჭვი მეპარება, ამერიკელების მხრიდან განცხადება გაკეთდეს, რადგან არა მგონია, რომ პუტინის განცხადებას ამერიკამ განცხადებითვე უპასუხოს. ამერიკელებმა, შეიძლება, მხოლოდ კომენტარი გააკეთონ, ვთქვათ, სახელმწიფო დეპარტამენტის ან თეთრის სახლის წარმომადგენლის დონეზე. ამერიკელები განცხადებას გააკეთებენ ქმედების და არა განცხადების საპასუხოდ. მე მგონია, რომ აშშ კვლავაც დარჩება საქართველოს უსაფრთხოების გარანტად და ჩვენს შორის არსებული თანამშრომლობა, მათ შორის, სამხედრო-პოლიტიკურიც, შეიძლება, გაღრმავდეს კიდეც.

**გია ნოდია:** დღევანდელ მსოფლიოში მოლოტოვ-რიბენტროპის მსგავსი გარიგებები მე ნაკლებად წარმომიდგენია. ამგვარი გარიგების რბილი ფორმა დღეს იქნებოდა ყურადღების მოდუნება საქართველოს მიმართ მაშინ, როდესაც ყველა ერაყზე ფიქრობს. მაგრამ ის, რომ უცხო ქვეყნის პრეზიდენტებმა საქართველოთი ივაჭრონ, წარმოუდგენელია. აქ პრობლემა ის კი არ არის, დაგვიჭერს თუ არა მხარს შეერთებული შტატები და ევროპა, არამედ მთავარია, რაში გამოიხატება ეს მხარდაჭერა. სწორედ მხარდაჭერის დონე აჩვენებს რეალურად, თუ რამდენად წამგებიანი იქნება რუსეთისათვის მუქარის შესრულება და უფრო რადიკალური ნაბიჯების გადადგმა, ვიდრე დღემდე გადაიდგა.

**არჩილ გეგეშიძე:** იმისათვის, რომ მოვლენები მართლა ისე არ განვითარდეს, როგორც ეს პუტინის განცხადებაში დაფიქსირდა, ამერიკის მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია. ვფიქრობ, ამერიკასა და რუსეთს შორის არანაირ გარიგებაზე არ შეიძლება, იყოს საუბარი. ცოტა გადავუხვევ და ვიტყვი, რომ 11 სექტემბრის მერე, ერთი შეხედვით, ამერიკის საგარეო პოლიტიკაში მოხდა ცვლილება და ყველაფერი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას დაექვემდებარა. შესაძლოა, პირველ თვეებში ასეც იყო, მაგრამ შემდეგ კვლავ წამოიწია ძველმა, ტრადიციულმა გეოპოლიტიკურმა ინტერესებმა. ეს ინტერესები, სხვასთან ერთად, ნიშნავს სპარსეთის ყურეში გავლენას, სადაც ტრადიციული ბრძოლა მიმდინარეობს რუსეთსა და ამერიკას შორის. ის, რასაც ამერიკა ერაყის მიმართ გეგმავს, ვფიქრობ, ტრადიციული პოლიტიკის გაგრძელებაა. თუ ამერიკის ასეთი პოლიტიკა რუსეთის გავლენის შემცირებას ისახავს მიზნად, მაშინ, ბუნებრივია, ამერიკა საქართველოს არ გაწირავს. გლობალურად, ამერიკისთვის რუსეთის პრობლემა ისევ დგას, 11 სექტემბრის შემდგომი თანამშრომლობის მიუხედავად. და თუ ერაყის საკითხს ამ კონტექსტში განვიხილავთ, საქართველო არ შეიძლება იყოს გაცვლითი მონეტა. პირიქით, ამერიკა აქ არ დაუშვებს ისეთ ქმედებას, რაზეც პუტინის განცხადებაში იყო საუბარი. გუშინდელი განცხადებით - ზოგი ჭირი მარგებელიაო და - საქართველო საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა, როგორც რუსეთის აგრესიის მსხვერპლი. გარდა ამისა, პუტინის განცხადებამ საქართველოში საზოგადოებრივი აზრის გარკვეული კონსოლიდირება გამოიწვია, კრემლის აგრესიული ქმედებების წინააღმდეგ.

**ლია ჯერვალიძე:** ჩეჩნეთის პრობლემის მოგვარება რუსეთისათვის მიუღწეველი არ არის. უბრალოდ, რუსეთი არ მიდის მოლაპარაკებაზე იმ ძალებთან, ვისაც ჩეჩნეთში სტაბილურობის დამყარება შეუძლიათ. რუსეთს ხელს აძლევს ჩეჩნეთში არეულობის შენარჩუნება, რადგან მას ამით არეულობა საქართველოშიც შემოაქვს. ეს ყველაფერი გამომდინარეობს ეკონომიკურ ინტერესთა კონფლიქტიდან, საქართველოს ნატო-სთან და, პოტენციურად, ევროკავშირთან მეზობლობიდან. მე მგონია, რომ რუსეთს საქართველოში ხელისუფლების შეცვლა ხელსაც არ აძლევს და ვერც შეცვლის. რუსეთს, ისევე, როგორც ჩეჩნეთში, საქართველოშიც მხოლოდ არასტაბილურობა აძლევს ხელს. საქართველოში ხელისუფლების შეცვლამ, შეიძლება, საერთაშორისო პროექტები ვერ შეაფერხოს. ყოველ შემთხვევაში, რუსებს ამის გარანტიებს ვერავინ მისცემს. მით უმეტეს, თუ გაიყვანეს ბაქო-ერზერუმის გაზსადენი, მაშინ "ცისფერი ნაკადის" პროექტი, რომელმაც გაზი რუსეთიდან თურქეთში უნდა გადაიტანოს, უფუნქციოდ დარჩება. ამიტომ რუსეთს სულ 4-5 წელი რჩება იმისთვის, რომ ეს ყველაფერი ჩაშალოს.

**ალექსანდრე რონდელი:** ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ ნებისმიერი ქვეყნის, განსაკუთრებით, პატარა ქვეყნის, გადარჩენის წინაპირობა არის ერთიანობა. თუ თავმოყვარე ერი ხარ, იმის მერე, როცა თითს გიქნევენ, შენი ტერიტორიის ნაწილის ოკუპაციას ახდენენ და ამის მერე კიდევ ომის წამოწყებასაც გაბრალებენ, აუცილებლად უნდა გამოხატო პროტესტი. ხალხი ხმას რომ არ იღებს, ეს არის დიდი უთავმოყვარეობა. ჩვენ ვიცით, რომ რუსეთთან ურთიერთობაში ცამდე მართალნი ვართ და მაინც ვაპირებთ რუსეთთან საფეხბურთო მატჩზე დასწრებას და დროსტარებას. მე სტადიონზე არ წავალ. მოგება-წაგებას მნიშვნელობა არა აქვს. ვისაც თავმოყვარეობა აქვს, სტადიონზე არც უნდა წავიდეს. მეორე, როცა შენი ხელისუფლება აგრესიისთვის ემზადება, მაშინ, შეიძლება, განზე გადგე, მაგრამ როდესაც შენ გემუქრებიან აგრესიით და თითს გიქნევენ, შენ კი ამ დროს პოტენციურ აგრესორს მხარს უჭერ, ეს ნიშნავს, რომ თავმოყვარეობა დაკარგული გაქვს. ხელისუფლებას როგორც არ უნდა ვუპირისპირდებოდე, ახლა მაინც ერთად უნდა ვიყოთ. ჩემთვის გაუგებარია დღეს პოლიტიკური ძალების განზე დგომა ან ხელისუფლების კრიტიკა. თუ ხალხი ხმას ამოიღებს, ეს საერთაშორისო საზოგადოებისთვის სიგნალი იქნება. თუ ჩუმად ვიქნებით, მტყუანი გამოვალთ. რაც შეეხება ამერიკის პოზიციას – ამერიკა და რუსეთი სხვა თამაშს თამაშობენ, ჩვენ კი სხვა დონის ურთიერთობები გვაქვს. რა თქმა უნდა, ჩვენს გამო ერთმანეთს არ შეეჯახებიან, მაგრამ, ვფიქრობ, რომ თანამიმდევრული პოლიტიკა, რომელსაც ამერიკა საქართველოში ატარებს, გაგრძელდება და ეს სერიოზული სიგნალი იქნება ყველა ჩვენი მეზობლისთვის.

**კობა ლიკლიკაძე:** მინდა, გავიხსენო ფაქტი, რომელიც საქართველოში ყურადღების მიღმა დარჩა. დაახლოებით ოთხი თვის წინ, შტუტგარტში, ნატო-ს ორგანიზებულ სემინარებზე ამერიკელები გამოვიდნენ ინიციატივით, რომ "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამაში სხვა დონორებიც ჩართულიყვნენ და ორმხრივი პროგრამიდან ის ნატო-ს პროგრამად ქცეულიყო. ამერიკამ მოხერხებულად გამოიყენა ნატო-ში ახალი ქვეყნების გაწევრიანების ფაქტი და მოსთხოვა მათ აღჭურვის ფაზაში ჩართვა – საქართველოსთვის შეიარაღების მიწოდების სახით. ამჟამად გროვდება შეიარაღება საქართველოსთვის და აშკარაა, რომ "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამა ჩვენი უსაფრთხოების სერიოზული გარანტია ხდება. გავიხსენოთ დრო, როდესაც ელცინი საქართველოს ელოლიავებოდა და ამ დროს მისი გენერლები სოხუმის დაცემას ამზადებდნენ – ეს გაცილებით უფრო საშიში იყო საქართველოსათვის, ვიდრე პუტინის პირდაპირი მუქარა. მადლობელი უნდა ვიყოთ, რომ პუტინმა ნიღაბი ჩამოიხსნა. გავერთიანდებით თუ არა, ეს უფრო ხელისუფლებაზეა დამოკიდებული, ვიდრე ჩვენზე. ჩემთვის განსაკუთრებით გამაღიზიანებელი იყო არა იმდენად პოლიტიკოსებს შორის დაპირისპირება, რამდენადაც ზოგიერთი პოლიტიკოსის ნაფტალინიდან ამოღება და სცენაზე ხელახლა გამოჩენა. ამ პოლიტიკოსებმა დიდი წვლილი შეიტანეს კოდორისა და პანკისის პროვოკაციების მოწყობაში, რის გამოც რუსეთი გვედავება. იმ ხალხს, რომლებსაც პირდაპირი ბრალი მიუძღვით პანკისის პრობლემის გამწვავებაში, უნდა აეკრძალოთ მისი მოგვარების პროცესში მონაწილეობა.

**ალექსანდრე რონდელი:** ვფიქრობ, უფრო მეტია დამოკიდებული ხალხზე, ვიდრე ხელისუფლებაზე. ხელისუფლებას აქვს დიპლომატიური და არა - საომარი საშუალებები, რომლებსაც იგი მაქსიმალურად იყენებს. მოსახლეობის მიერ თავმოყვარეობის შენარჩუნება ძალზე მნიშვნელოვანია. ხალხმა პუტინის ამ განცხადებას მასობრივი პროტესტით უნდა უპასუხოს. თუ ხელისუფლება ასეთ მომენტში არ გრძნობს ხალხის მხარდაჭერას, ეს უკვე მარტო ხელისუფლების ბრალი არ უნდა იყოს. როდესაც გემუქრებიან, ერთად უნდა იდგე – ეს კანონია მგლებშიც და ადამიანებშიც. თუ ერს ეს არ შეუძლია, მის დამოუკიდებლობას აზრი ეკარგება. ფაქტობრივად, საქართველო ამპუტირებულია რუსეთის მიერ და ამ ვითარებაში რუსები კიდევ აქეთ გვედავებიან.

**ლია ჯერვალიძე:** მე არა ვარ ამ ხელისუფლების მეხოტბე, მაგრამ ვფიქრობ, რომ ხალხისათვის ყველაზე უარესი ხელისუფლებაც კი ვერ იქნება რუსეთზე დიდი მტერი. ამიტომ, რაც არ უნდა ცუდი იყოს, ამ ხელისუფლების გარშემო კონსოლიდირების გარდა, სხვა გამოსავალი არ გაგვაჩნია.

**- რა საპასუხო ნაბიჯები უნდა გადადგას საქართველოს ხელისუფლებამ?**

**შალვა ფიჩხაძე:** განაგრძოს თავისი კურსი. ძალიან პრიმიტიულად რომ ვთქვათ, რაკი რუსეთი ამ დონემდე გაღიზიანდა, ესე იგი, სწორად ვიქცევით. მგონია, რომ პანიკის და შიშის საფუძველი არ არსებობს. თუმცა, ჩემი აზრით, პუტინი ისეთი ადამიანია, რომ არ გაჩერდება. ამიტომაც მისგან ყველაფერს უნდა ველოდოთ - მათ შორის, პროვოკაციებს სამხედროების მონაწილეობით. თუნდაც ისეთს, როგორიც ახმეტის დაბომბვისას იყო ან კიდევ უარესს. არა მგონია, პუტინს რაიმე მუხრუჭები გააჩნდეს ამ თვალსაზრისით.

**გია ნოდია:** ხელისუფლებამ, ერთის მხრივ, უნდა დაიკავოს ცალსახა, მტკიცე და როგორც რუსეთისთვის, ისე ხალხისთვის გასაგები პოზიცია, რათა მოსკოვს არ მისცეს იმედი, რომ ზეწოლის შიშით დათმობაზე წავალთ. მეორეს მხრივ, რაიმე დაუფიქრებელი ნაბიჯიც არ უნდა გადადგას, რაც რუსეთის პროვოკაციაზე აყოლა იქნებოდა. შეიძლება რუსეთის მუქარა და გადადგმული ნაბიჯები არც იყოს ისეთი საშიში, როგორიც საქართველოს მიერ პროვოკაციის საპასუხოდ გაკეთებული ნაბიჯები. საქართველომ თავი უნდა წარმოაჩინოს, როგორც სუსტმა, მაგრამ ღირსებისა და გამოკვეთილი პოლიტიკის მქონე ქვეყანამ.

**- რა გავლენა შეიძლება იქონიოს რუსეთის ქმედებებმა საქართველოს საშინაო ვითარებაზე?**

**გია ნოდია:** ვფიქრობ, ასეთი ტიპის ზეწოლა უფრო ხალხის კონსოლიდაციას უწყობს ხელს. თუ რამე ისეთი მოხდება, რაც საქართველოს დამარცხებად აღიქმება და ეს საქართველოს ხელისუფლებას დაბრალდება, მაშინ ამას შეიძლება მოჰყვეს ხელისუფლებით უკმაყოფილების ზრდა. მაგრამ მდგომარეობის ესკალაციის პირობებში ნაკლებია იმის ალბათობა, რომ ხალხი ან პოლიტიკური ძალები წარმატებულად დაუპირისპირდებიან ხელისუფლებას.

**არჩილ გეგეშიძე:** ვფიქრობ, ბევრია დამოკიდებული ამერიკის პოზიციაზე. თუ ვაშინგტონი გვერდით დაგვიდგა, მაშინ რუსეთის ქმედებების გავლენა საქართველოს საშინაო პოლიტიკაზე დიდი არ იქნება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არაფერი უნდა ვიღონოთ და ამერიკის მხარდაჭერას დაველოდოთ. როგორც ითქვა, ხალხზე ბევრია დამოკიდებული, მაგრამ ბევრია დამოკიდებული ხელისუფლებაზეც. რუსეთი, ალბათ, სხვა სუსტი ადგილების გამოძებნასაც შეეცდება. მთელი ჩვენი ყურადღება მარტო პანკისისკენ არ უნდა მივმართოთ. თუ ამერიკის მხარდაჭერის გამო საქართველოში ცუდი არაფერი მოხდა, მაშინ ეს საეტაპო პერიოდი იქნება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში. თუ რუსეთმა ეს ბანქო დაკარგა, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ პროცესები ჩვენს სასარგებლოდ წავა.

**- რა შეიძლება იყოს ის სუსტი წერტილები, რომლის გამოყენებასაც რუსეთი შეეცდება?**

**ალექსანდრე რონდელი:** უპირველეს ყოვლისა, ესაა კოდორის ხეობა, რომელიც რუსეთისათვის ნამდვილ სამიზნეს წარმოადგენს.

**ლია ჯერვალიძე:** ჩემი აზრით, რუსეთი შეეცდება, ვითარება ყველგან დაძაბოს და მერე სიტუაცია თავის სასარგებლოდ იქ გამოიყენოს, სადაც ეს უფრო გაუადვილდება.

**კობა ლიკლიკაძე:** მიმაჩნია, რომ სამხედრო თვალსაზრისით მგრძნობიარე წერტილები საქართველოში ბევრია. მაგალითად, კოდორში აგრესიის საბაბი შეიძლება გახდეს არა ტერორისტების, არამედ თავდაცვის სამინისტროს რეგულარული ნაწილების ყოფნა. სამხრეთ ოსეთში საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული. ჯავახეთში რუსეთის 62-ე სამხედრო ბაზასთან მუდმივი მიტინგია მოთხოვნით, რომ რუსებმა ეს ბაზა არ დატოვონ. როგორც ხედავთ, ყველაფერი ერთად აირია.

**- როგორ ფიქრობთ, რამდენად კოორდინირებულია ეს ყველაფერი: კოდორი, პანკისი, სამხრეთ ოსეთი, პრორუსული ოპოზიციის შეტევა ხელისუფლებაზე?**

**ალექსანდრე რონდელი:** ასეც შეიძლება დავინახოთ და ისეც, მაგრამ ხშირად ხდება, რომ ერთის ახმაურებას სხვებიც აჰყვებიან ხოლმე. ჩვენ ხომ მრავალხმიანი სიმღერის მოყვარულნი ვართ. ახლაც, ერთმა რომ დაიმღერა, სხვებიც აჰყვნენ.

**ლია ჯერვალიძე:** როდესაც სიტუაცია იძაბება, ყველა ძალა, რომელიც მოგებას ელის, პარალელურად იწყებს მოქმედებას. არა მგონია, მათ შორის სატელეფონო საუბრები ყოფილიყო და არც კავშირი უნდა არსებობდეს. ყველა ძალა, ვისაც დესტაბილიზაცია ხელს აძლევს, ისედაც ერთად ამოქმედდება.

**არჩილ გეგეშიძე:** არ გამოვრიცხავ, რომ ფონის შექმნა ერთობლივი ქმედებების საშუალებებით მოხდა. რუსეთი ახლო საზღვარგარეთის ქვეყნებში ეყრდნობა სოვეტოფილურ ძალებს. არ გამოვრიცხავ, რომ ამგვარი ძალების გააქტიურება საქართველოში სწორედ რუსეთის პოლიტიკის შედეგია.

სიმფონიური ცენტრის
სევდიანი დღესასწაული
B2

ნაკრების მწვრთნელი დარწმუნებულია,
რომ ქართველებს დაამარცხებს
B7

შტანგას თბილისიდან
ვარშავაში მიაბორებენ
B7



# რატომ არის ასეთი ღარიბი ანტიკვარიატის ბაზარი?

ნინო ჭანიშვილი

1990-იან წლებში საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის მოულოდნელად უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნამ ბევრისათვის ერთადერთ გამოსავლად, წლების განმავლობაში ოჯახებში დაგროვებული ნივთების გაყიდვა აქცია. ხალხი ყველაფერს ყიდდა – დაწყებული ტექნიკით, დამთავრებული ანტიკვარიატით. ტექნიკა მუდმივად განახლების სტადიაშია, მალე ძველდება და ფასსაც მალევე კარგავს. რაც შეეხება ანტიკვარულ ნივთებს, მათზე ფასი და მოთხოვნა, სიძველესთან ერთად, პირიქით - მატულობს. ანტიკვარული ნივთების მქონეთ, თითქოს, დალხენილად უნდა ეცხოვრათ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა - მოქალაქეები საკუთარ ნივთებს ხშირად ჩალის ფასად ყიდდნენ.

1992-1993 წლებიდან თბილისში გაჩნდა ანტიკვარიატის ღია ბაზარი – ე.წ. მშრალი ხიდი, ოქროს ბირჟა (ვერეს პარკში), დილერები. ამ პერიოდში დილერობით ჩვენთან ნებისმიერი პროფესიის ადამიანები დაკავდნენ, რომელთაც თითქმის არანაირი ცოდნა არ გააჩნდათ ამ სფეროში სამოღვაწეოდ. დასავლეთში აუქციონები და კერძო კოლექციონერები მხოლოდ რეგისტრირებულ, შესაბამისი განათლების მქონე სერთიფიცირებულ და კვალიფიციურ არტ-დილერებთან თანამშრომლობენ. ჩვენთან კი მყიდველები მხოლოდ ერთადერთ მოთხოვნას უყენებდნენ დილერებს – დაბალ ფასში მიეწოდებინათ ანტიკვარიატი.

საინტერესოა, ვის ჰქონდა ანტიკვარიატის შეძენის საშუალება გაღარიბებულ ქვეყანაში?

იმ დროს საქართველოში ჩამოსვლა დაიწყეს უცხოელმა (უმეტესად რუსები და საბჭოეთიდან ემიგრირებული ებრაელები) გადამყიდველებმა. გაიხსნა სხვადასხვა რანგის უცხოური წარმომადგენლობები, რომელთა თანამშრომლები ქართველების ძირითადი მყიდველები გახდნენ. ჩამოსულები მალევე იგებდნენ, რომ ამ ქვეყანაში ოჯახებიდან საინტერესო და იშვიათი ნივთები გამოჰქონდათ გასაყიდად.

მართალია, მყიდველები გამოჩნდნენ, მაგრამ თავად მფლობელები, უმეტეს შემთხვევაში, საკუთარი ნივთების ღირებულებასა და წარმომავლობაში კარგად ვერ ერკვეოდნენ, რის გამოც მოტყუებულები რჩებოდნენ. ხალხს წარმოდგენა არ ჰქონდა ფასებზე (ან საიდან უნდა სცოდნოდათ), რისი გაყიდვა ღირდა იმ ეტაპზე და რისი – არა, ვისთვის მიემართათ რჩევისთვის. ჩამოსულებმა კი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობაც კარგად იცოდნენ, საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებიც და ფასებიც.



ანტიკვარიატის ერთ-ერთი სალონი თბილისში

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლები აქ შეძენილ ანტიკვარიატს, ძირითადად, თავიანთ ქვეყანაში ყიდდნენ. ზოგიერთს აუქციონებზე გაჰქონდა, რამდენიმემ სამშობლოში ანტიკვარული სალონიც გახსნა. მაშინდელი საერთაშორისო ფასები ანტიკვარიატზე სამჯერ და ოთხჯერ აღემატებოდა აქაურს. ის უცხოელები ვისაც აქ გახსნილ საერთაშორისო ორგანიზაციებში მაღალი რანგის თანამდებობები ეკავათ, ანტიკვარიატს, თავიანთი მშობლიური სახლების გასაწყობად ყიდულობდნენ.

ყოველი ეროვნების უცხოელი გარკვეული სახის ანტიკვარიატის შეძენით იყო დაინტერესებული. მაგალითად, გერმანელები ყიდულობდნენ მაისენის ფაიფურის ქარხნის ნაწარმს (XVIII-XIX საუკუნეები): ლარნაკებს, ჩაისა და სასადილო სერვიზებს სრული კომპლექტაციით (სასურველი იყო 24 კაცზე), სამშვენისებს, ჭაღებს, შანდლებს, ჩარჩოებს... და ყოველივე ეს დაუზიანებელი უნდა ყოფილიყო!

ფრანგები სევრისა და ვენსენის ფაიფურის ქარხნის ნაწარმს (XVIII-XIX საუკუნეები) დაეძებდნენ - სამშვენი ფიგურები, ფაიფურის, მარმარილოს ან ბრინჯაოსგან დამზადებული ნაპოლეონ ბონაპარტის ბიუსტები; ნებისმიერი წარმოების ცალობითი ფაიფურის თეფშები, რომლებზეც ნაპოლეონის პორტრეტები, მისი ცხოვრების ყოფითი ან ბატალური ეპიზოდებია ასახული.

ებრაელებს ებრაული ხელნაწერების შეძენა სურდათ.

თავშეკავებული ბრიტანელები სრულიად სხვა სფეროთი – სოც-არტით იყვნენ დაინტერესებულები.

რაც შეეხება ამერიკელებს, ვინაიდან მათი ქვეყანა შედარებით ახალგაზრდაა, ისინი უარს არაფერზე ამბობდნენ, მაგრამ უპირატესობას ფერად, ძვირფას ქვებს ანიჭებდნენ (ლალი, ზურმუხტი, ლურჯი საფირონი);

რუსები კი, XVIII-XX საუკუნის დასაწყისის დასავლეთ ევროპული სიძველეების გარდა, რუსული ფერწერით, ფაიფურითა და ბრინჯაოს ნაკეთობებით იყვნენ დაინტერესებული.

იყო ის, რაზეც უარს არავინ ამბობდა - ძველი რუსული ხატები, ძველებური ხელით ნაქსოვი ხალიჩები, დიდი ზომის ბრილიანტები, რუსული ვერცხლი, ვერცხლით მოპირკეთებული ბროლი და ძველი სინჯებით დადამღული ოქროს და მონინანქრებული ვერცხლის ნაკეთობები, და თუ ეს ნივთები საავტორო (ხლებნიკოვის, ზოტოვის, საზიკოვის, ძმები გრაჩოვების, ბოლინის, ოვჩინიკოვის, ფაბერჟეს...) ნამუშევარი იყო, მაშინ ნამდვილი "აუქციონი" იმართებოდა – ვინ მეტს შესთავაზებდა პატრონს!

საბოლოოდ, 1992-97 წლებში გასაყიდად გამოტანილი ანტიკვარიატის დიდი ნაწილი, სხვადასხვა გზებით, (დიპლომატიური, კანონიერი, უკანონო...) უცხოეთში გავიდა, რამაც საქართველოში ანტიკვარიატის ბაზარი, 1990-იანი წლების დასაწყისთან შედარებით, გაალატაკა. ამაში ადვილად დარწმუნდებით, თუ ერთ დროს სიძველეებით გადაჭედილ მშრალ ხიდს ეწვევით. თუმცა, დღეს ჯერ კიდევ შეგიძლიათ შეიძინოთ კარგ მდგომარეობაში შემონახული ძველი ავეჯი (ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული სირთულეების გამო უცხოელები ავეჯს იშვიათად ყიდულობდნენ), ძველი ვენისა და გერმანიის ფაიფურის ქარხნების ნაწარმი, XX საუკუნის ქართველ ფერმწერთა ნამუშევრები. მაგრამ სიძველეთა მოყვარულებს გაუჭირდებათ, იშოვონ სევრისა და მაისენის მანუფაქტურების მნიშვნელოვანი ნაწარმი, რუსი ოქროსა და ვერცხლის გამოჩენილი ოსტატების ნამუშევრები, ძველი ევროპული და რუსული ფერწერული ტილოები.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ დღესდღეობით 90-იან წლებთან შედარებით, ანტიკვარიატის ფასი მნიშვნელოვნად გაიზარდა, რამაც ჩამოსულ გადამყიდველთა ნაკადი შეამცირა.

ის, ვისაც დღეს ანტიკვარიატის გაყიდვა სურს, ისევ მძიმე მდგომარეობაშია –ძნელია აუქციონებზე მოხვედრა ან მყიდველის მოძებნა. როცა ხელისუფლებას არ აქვს მნიშვნელოვანი რარიტეტების შესყიდვის შნო, რომ აღარაფერი ვთქვათ შესყიდულის შენარჩუნებაზე, სახელმწიფომ მოგება გატანიდან მაინც უნდა ნახოს. ურიგო არ იქნებოდა, რომ თუნდაც კულტურის სამინისტროს გაეკეთებინა ორგანიზება მოქალაქეთა მიერ გასაყიდად გამიზნული ნივთების შესწავლისთვის და შეგროვებული და დახარისხებული მასალა სხვადასხვა აუქციონებისათვის შეეთავაზებინა.

და ბოლოს, კიდევ ერთი სირთულე, რაც საქართველოში ანტიკვარიატის ყიდვა-გაყიდვით დაინტერესებულ ადამიანებს დიდ პრობლემას უქმნის – ეს არის ნივთის ორიგინალობის დადგენა. არსებობს კატეგორია ნივთებისა (კერამიკული, მინისა და ხის ნაწარმი), რომელთა ატრიბუტირებისთვის სავსებით საკმარისია ვიზუალური შესწავლა-დათვალიერება. ასეთ დროს მყიდველი, შეიძლება, ექსპერტის ან გამოცდილი და პატიოსანი დილერის სიტყვიერ რჩევასაც ენდოს. მაგრამ არის ნივთები (ქაღალდი, საღებავი, ლითონი, ტილო) რომელთა უტყუარობის დადგენა ლაბორატორიული ანალიზის გარეშე შეუძლებელია. ასეთ დროს, როგორც წესი, მუზეუმს მიმართავენ ხოლმე. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში უკვე რამდენიმე წელია, ფუნქციონირებს ანტიკვარული სალონი "ხელოვნება", სადაც მოქალაქეთა მიერ წარდგენილ ნივთებზე საექსპერტო დასკვნებს გასცემენ. მიუხედავად იმისა, რომ მუზეუმს არანაირი ლაბორატორია არ გააჩნია, სალონის თანამშრომლები მაინც ნებისმიერ ნივთზე იძლევიან დასკვნას. აქვს თუ არა ამ დასკვნებს რეალური ძალა, თავად განსაჯეთ.

არსებობს შემთხვევები, როცა პატრონი ნივთის შეუსაბამოდ მაღალ ფასში გაყიდვას ცდილობს და ამ ნივთზე გაცემულ გაყალბებულ დოკუმენტაციას იმოწმებს. ამიტომ, მყიდველმა არ უნდა დაიზაროს და ნივთთან ერთად შეთავაზებული ყველა დოკუმენტი გადაამოწმოს. განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო ცნობილი რუსი ფერმწერებისა და ოსტატების ნამუშევრების შეძენისას. დასავლეთევროპელი გიგანტების ორიგინალებს კი აქ მაინც ვერ იშოვით.

# იტალიელი ფოტოგრაფი ქართველი კოლეგებისთვის

"ახლების" ვაკის ოფისში ფოტოგრაფებისთვის მასტერკლასი ჩატარდა

ანა კორძაია-სამადაშვილი

CIFA-ს მოწვევით, მრავალ სხვა საინტერესო ხელოვანთან ერთად, თბილისს იტალიელი ფოტოგრაფი, კლაუდიო გაიაჩიც ესტუმრა. მისი დახურული მასტერკლასის თემა სარეკლამო ფოტოგრაფიაა.

კარგი ფოტოგრაფების უკმარისობას საქართველო ნამდვილად არ უჩივის. შეიძლება გვაკლდეს აღჭურვილობა, ფული, ხელოვნების საერთაშორისო ასპარეზზე გატანის საშუალება, მაგრამ ქართველი ფოტოგრაფები "კონსერვის ქილებად" წოდებული აპარატებითაც შესანიშნავი ნამუშევრების შექმნას ახერხებენ. ინფორმაციული ვაკუუმის დროც წარსულს ჩაბარდა, ერთი ისაა, რომ ჩვენთან ბევრი ავტორი არ ჩამოდის, უცხოელ კოლეგებთან ურთიერთობა ფუფუნებად იქცა.

ამიტომ კლაუდიო გაიაჩისთან შეხვედრის პერსპექტივა თავისთავად საინტერესო იყო. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში ღონისძიების დაწყების სხვა დრო და ადგილი იყო მითითებული და ფოტოგრაფიის ტექნიკური მხარის სწავლება ჩვენს ფოტოხელოვანებს ნაკლებად აინტერესებდათ, მონაწილეთა გარკვეულმა რაოდენობამ, რაღაც მანქანებით, ყველაფერი დაადგინა. დათქმული დროიდან ოთხი საათის შემდეგ ვაკეში, ეკლესიის უკან, უკვე შეკრებილიყვნენ ქართველი ფოტოგრაფები – მათ შორის ირინა აბჟანდაძე, მირიან კილაძე, გია ჩხატარაშვილი – და ფოტოგრაფიის მოყვარულთა პატარა წრე. დროსთან დაკავშირებული გაუგებრობის გამო შენიშვნა სერიოზულად არავის მიუღია, კომენტარი ასეთი იყო: "კარგი, რა, თბილისში ვართ". ასევე უმალ ჩაიფარცხა უკმაყოფილო რეპლიკები იმის თაობაზე, რომ მასტერკლასზე, რომელიც, თავდაპირველი ვერსიის თანახმად, დახურული უნდა ყოფილიყო (რაც თავისთავად უცნაური ფაქტია), დასწრება თავისუფალი ყოფილა და მრავალმა ფოტოგრაფმა ამის შესახებ არაფერი იცოდა. მაგრამ ეგეც არაფერი. თავად ბატონი გაიაჩი უმალვე საქმეს შეუდგა. განათების თავისებურებების წარმოსაჩენად სცენაზე სააგენტო "ნატალის" მოდელი, კრისტი ყიფშიძე იქნა მიწვეული.



კლაუდიო გაიაჩი



კრისტი ყიფშიძე და კლაუდიო გაიაჩი

ბესო გულაშვილის ფოტოები

ის ჭეშმარიტება, რომ სამყაროს სილამაზე გადაარჩენს, კიდევ ერთხელ დადასტურდა: თუკი აუდიტორია მანამდე რაღაცას ბუზღუნებდა და ზოგი იმაშიც ვერ გარკვეულიყო, რატომ მიმდინარეობდა საუბარი იტალიურ და არა ინგლისურ ენაზე (მიუხედავად იმისა, რომ თარჯიმანი ქალბატონის მაღალი პროფესიონალიზმი ეჭვს ნამდვილად არ ბადებდა), კრისტის გამოსვლის შემდეგ მონაწილეები მონუსხულები შესცქეროდნენ სცენას - სიტუაცია უცებ განიმუხტა. იმის შემდეგ, რაც მოდელს, ხუთი წუთის განმავლობაში, სხვადასხვაგვარად ანათებდნენ, დარბაზში გულწრფელი შეძახილი გაისმა, გაგიკვირდებათ - ქალისა: "დედა, რა ლამაზია ჩვენი კრისტი!"

კლაუდიო გაიაჩი აუდიტორიას სარეკლამო სტუდიური ფოტოგრაფიის თავისებურებების შესახებ უამბობდა. ის, რომ მასტერკლასი არამარტო პროფესიონალებისათვის, არამედ ნებისმიერი ფოტოგრაფიის მოყვარულისთვისაც ხელმისაწვდომი იყო, ორგანიზატორების მხრიდან ნამდვილად შესანიშნავი ნაბიჯი გახლდათ - ბ-ნი გაიაჩი ჩინებულად, ნებისმიერისათვის გასაგებად გადმოსცემს ინფორმაციას, და ალბათ, შესანიშნავი ფოტოგრაფიცაა. თუმცა, მისი ხელოვნების შეფასებას კიდევ მოვასწრებთ – კლაუდიო გაიაჩის ფოტოგამოფენას დღეს, სასტუმრო "მარიოტში" ვიხილავთ. იმედია, სრულიად უადგილო განსაზღვრება "დახურული" არც ამ შემთხვევაში გაამართლებს.

## ზაალ სამადაშვილის სვეტი

### დეზი

შვიდი წლისა ვიყავი, ვიჯექი პაპისეული სახლის ჭრაჭუნა იატაკიან შუშაბანდში და პირდაღებული შევცქეროდი ტელევიზორს. ფეხის ხმა მომესმა კიბეზე. სულ ცხრა საფეხური ჰქონდა ჩვენს კიბეს. მერე კარი იყო, რომლის საკეტსაც მძიმე, დიდყუნწიან გასაღებს ვარგებდით. გაიჩხაკუნა საკეტმა, კარი გაიღო, დაიხურა და შემოვიდა მამა, რომელსაც დიდი, მოწნული კალათი ეჭირა ხელში. მამა დინჯად წამოვიდა ჩემკენ, ისე რომ პალტოც არ გაუხდია, გვერდით მომიჯდა და მითხრა, გინდა ახლა ფოკუსი გაჩვენოო. კალათას, რითაც სანოვაგე მოგვქონდა ხოლმე ბაზრიდან, მუქი ნაჭერი ჰქონდა გადაფარებული. ვიფიქრე, საბატიბუტე სიმინდი, ანდა უკეთესი - მოხალული მიწის თხილი იქნება ნაჭრის ქვეშ-მეთქი. მამამ კი ასწია ნაჭერი, ფოკუს-მოკუსო, დაიძახა და კალათის ძირზე რაღაც შავი გუნდისმაგვარი გამოჩნდა. ჩამოვხტი სკამიდან და კალათას მივუცუცქდი. გუნდა შეინძრა. ეე, ლეკვი-მეთქი? - ავხედე მამას. მან თავი დამიქნია და მხარზე ხელი წამკრა, მიდი, ამოიყვანეო... ჩავყავი ორივე ხელი, ამოვიყვანე და გულზე მივიხუტე. თბილი იყო, ცახცახებდა და არაფერი არ უჩანდა ერთი ციცქნა, სველი ცხვირის გარდა... გამოვიდა დედაც, ლეკვიო? - გაიოცა იმანაც.

შეიძლება მომეჩვენა, შეიძლება არა, პირველად მაშინ დავუნახე მამაჩემს ცრემლი, რომელიც ჩვენს თვალებში ამოკითხული სიხარულით იყო გამოწვეული ალბათ...

ლეკვს დეზი დავარქვით, ეს სახელი რქმევია დედამისსაც. თავიდან რძეს ვაჭმევდით საწოვარათი, მერე, ცოტათი რომ მოყოჩაღდა და თვალებიც აეხილა, წვრილად, ძალიან წვრილად დარჩილულ მოხარშულ ხორცს. გაბუთქუნდა, მოვარდისფრო ღიპი იატაკზე დასთრევდა ოთახებში სუნსულის დროს. ყველა კუთხე-კუნჭული აინტერესებდა, ყველაფერს სუნავდა. მამამ წიგნი იყიდა, სადაც უამრავი რამ ეწერა პუდელების შესახებ, მათ შორის ასეთი რამეც - პუდელები, რა თქმა უნდა, ადამიანები არ არიან, მაგრამ მთლად ძაღლებადაც ვერ ჩაითვლებიან თავიანთი გონიერების გამოო...

მოყვანიდან სამი თვის თავზე ავად გაგვიხდა. ჭამას უკლო, მოიწყინა და ეზოში გაშვებას აღარ გვთხოვდა. არადა, მას შემდეგ, რაც ბინა მთლიანად "აითვისა", ყველაზე მეტად ეზოსკენ მიუწევდა გული. მართალია, ხან გუნდად აფრენილი ბეღურების ფრთების ფათქუნი აფრთხობდა და ხან საიდანღაც შემოძურწული კატის აფხორვა, მაგრამ დღეში სამჯერ მაინც იქ უნდოდა ჩასვლა... ექიმთან მაშინ წავიყვანეთ, როცა გულისრევები დაეწყო და ერთი-ორჯერ სისხლზეც გავიდა. ჩვენი უბნის ვეტერინარული პუნქტი ისნის ბოლოს იყო, რკინიგზის რომელიღაც უსახელო ბაქნის გადმოღმა. ადრე მოგვიწია მისვლა, პუნქტი დაკეტილი დაგვხვდა. უჭმელები ვიყავით წამოსულები შინიდან და ბაქნის გვერდით მდებარე პატარა სასადილოში შევედით. ავიღეთ ლუდი მამასთვის, ჩემთვის ლიმონათი და მწვადი - სამივესთვის. ფანჯარასთან ახლოს დავსხედით, რომ ექიმის მოსვლა არ გამოგვპარვოდა. დეზიმ პირი არ დააკარა ხორცს, ვერც ჩვენ ვჭამეთ. ვწრუპეთ უხმოდ ლუდი და ლიმონათი, ვიდრე ექიმი არ გამოჩნდა.

ღმერთო, გადაგვირჩინე ჩვენი ლეკვი-მეთქი, პირველად მაშინ ვთქვი, თან, რა თქმა უნდა, ჩუმად, როცა ვეტერინარულ პუნქტში შევდგით ფეხი. ვეტერინარმა, შუახნის სახედაბიჟვინებულმა კაცმა, წვრილად მოაყოლა მამას დეზის ავადმყოფობის ამბავი, მერე თქვა, იციან ასე ძაღლებმაო და კუთხეში მიდგმულ მოგრძო მაგიდისკენ გაიშვირა ხელი, იქ დამისვითო. მაგიდას ჭუჭყიანი, ალაგ-ალაგ სისხლით დალაქავებული ზეწარი ჰქონდა გადაფარებული. ვეებერთელა ნემსი გაუკეთა ზურგში, კისერთან ახლოს. დეზის წინააღმდეგობა არ გაუწევია, ერთი ამოიწკმუტუნა საბრალოდ და უკანა ფეხები მოკეცა. მამამ ფული გადაიხადა და წამოვედით. დღეს თუ არა, ხვალ გამოკეთდებაო, არა, მამი? - ათჯერ მაინც დავსვი ეს შეკითხვა, სანამ შინ მივიდოდით...

არც იმ დღეს გამოკეთებულა და არც მეორე დღეს. მესამე დილას კი, შეძვრა საწოლის ქვეშ და დედასა და ჩემი ხვეწნა-მუდარის მიუხედავად, ცხვირიც არ გამოჰყო გარეთ. სამსახურიდან დაბრუნებულმა მამამაც რომ ვერ გამოიტყუა ვერაფრით, იძულებულები გავხდით საწოლი აგვეწია. შევძვერი, გამოვიყვანე, ავიტაცე ხელში, მივიყვანე ფანჯარასთან და დავუწყე მოყოლა, რა ხდებოდა ქუჩაში - როგორ წვიმდა, როგორ დაჰქროდნენ მანქანები, რა ფერის ქოლგები ეჭირათ ქალებს... ვრატრატებდი შეუსვენებლად, თან გულში ვიმეორებდი, - ღმერთო, გადაგვირჩინე ჩვენი ლეკვი... ღმერთო, გადაგვირჩინე ჩვენი ლეკვი-მეთქი...

ზემო ვერაზე, ვინმე გენასთან იმავე საღამოს წავედით. თანამშრომელს ეთქვა მამასთვის, მაგაზე მაგარი ვეტერინარი ქალაქში არ არისო. ტაქსი გავაჩერეთ. მამა წინ ჩაჯდა, მე და დეზი უკან მოვთავსდით. რუსთაველი რომ გავიარეთ და ბელინსკის აღმართს ავუყევით, დეზის გულისრევა დაეწყო. შემეშინდა, ვიფიქრე მძღოლი გაგვიბრაზდება, სალონს რომ დავუსვრით-მეთქი და ფანჯრის ჩამოწევა ვცადე - თავი რომ გადამეყოფინებინა. მამაც აწრიალდა უხერხულად, მობრუნდა და შეეცადა მომხმარებოდა. მძღოლმა კი - ეს გადააფარე სავარძელსო, მითხრა და გაზეთი გამომიწოდა. თან დეზის მიეფერა, რა კარგი ცუგა ხარო...

გენა ახალგაზრდა კაცი აღმოჩნდა, მამაჩემზე გაცილებით უმცროსი. ქართულად კარგად ლაპარაკობდა, მაგრამ ზოგიერთ სიტყვას სასაცილოდ წარმოთქვამდა. ძაღლის მაგივრად ძაგლს ამბობდა. ენტერიტიაო, გვითხრა, როცა გულდასმით გასინჯა. ნემსი იმანაც გაუკეთა, ოღონდ პატარა შპრიცით და თან ისე, რომ დეზის არც დაუწკმუტუნია და არც ფეხები ჩაკეცვია. აბების მთელი წყება ჩამოგვიწერა - ზოგი დილა-საღამოს უნდა ჩაგვეყლაპებინა, ზოგი დღეში ერთხელ...

აბებს მე და დედა ვაყლაპებდით. დედა პირს უღებდა და ყბებს უჭერდა, მე კი, რადგან პატარა ხელები მქონდა, ღრმად, რაც შეიძლება ღრმად ვუტენიდი ყელში პაწაწინა ბურთულებს (უკან რომ არ ამოეგდო ენით). მაინც არ ეტყობოდა გამომჯობინება. მართალია, საწოლის ქვეშ აღარ იმალებოდა, მაგრამ ახლა სამზარეულოში იწვა, მუცლით იატაკს გართხმული და მილულულ თვალებს ძალზე იშვიათად ახელდა. სამი თუ ოთხი დღე ასე იყო...

სამზარეულოდან გამოცოცებული და კუდაქიცინებული, მეოთხე თუ მეხუთე დილას დავინახე ქუსლებჩაკეცილი ფეხსაცმელების ფრატუნით სააბაზანოსკენ მიმავალმა. რა დავიყვირე არა, მაგრამ ჯელსომინოზე ხმამაღლა რომ დავიყვირე, ნამდვილად მახსოვს. ზრიალი დაიწყეს ფანჯრებმა. გამოვარდნენ დედაჩემი და მამაჩემი, დაინახეს რაც მაყვირებდა და მიცვივდნენ, დაუწყეს ფერება. დედა ტიროდა, მამა ცხვირზე ცხვირს უხახუნებდა დეზის და ამბობდა, - ცხვირი სველი აქვს, ახლა უკვე ნაღდად აღარაფერი მოუვაო...

აღარც არაფერი მოსვლია...

■ ■ ■

დეზის ავადმყოფობისა და გამოჯანმრთელების ისტორია ფრენკ კაპრას ფილმის, "ცხოვრება მშვენიერია"-ს ნახვის შემდეგ გამახსენდა. ამ ფილმში უფალი შეისმენს ადამიანების ვედრებას და მათ გადასარჩენად მეორე კლასის ანგელოზს, უფროსო კლარენსს გზავნის დედამიწაზე. წარმატების შემთხვევაში მას ფრთები გამოესხმება. როგორც უკვე მოგახსენეთ, მეც ვევედრებოდი ღმერთს ლეკვის გადარჩენას. ნეტავ თუ გამოგზავნა მან ჩვენთან ანგელოზი და თუ გამოგზავნა, ვინ იყო ის?.. ტაქსის მძღოლი, სავარძლის დასვრის გამო რომ არ გაგვიბრაზდა?.. სემიონოვკელი გენა, ზოგიერთ ქართულ სიტყვას სასაცილოდ რომ წარმოთქვამდა?.. ნეტავ თუ დაიმსახურა რომელიმე მათგანმა ფრთები პუდელის ლეკვის გადარჩენისთვის...

## კალენდარი

### 13 სექტემბერი



არნოლდ შონბერგი, ავტოპორტრეტი

"თუ ხელოვნებაა, ის ყველასთვის არ არის და თუ ყველასთვის არის, ე.ი. ის ხელოვნება არც არის" – ეს სიტყვები ეკუთვნის ავსტრიელ კომპოზიტორს, რომელმაც მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში უკლებლივ ყველა კომპოზიტორზე იქონია გავლენა. მუსიკოსები აღიარებდნენ: არნოლდ შონბერგი იმდენად გავლენიანია, რომ ან მას ბაძავ, ან დიდი ძალისხმევა გჭირდება, რომ მის გავლენას თავი დააღწიო.

შონბერგმა ვიოლინოზე დაკვრა რვა წლის ასაკში დაიწყო. მალევე თავისი პირველი ნაწარმოებებიც შექმნა. მისი პირველი ნამუშევრები საუკუნის დასაწყისშივე გამოჩნდა. სექსტეტს Verklarte Nacht ბრამსის, ვაგნერისა და ვოლფის გავლენა ეტყობოდა. თუმცა, თანდათან, კომპოზიტორმა გამოიმუშავა საკუთარი სტილი, რომელმაც ახალი საუკუნის დასაწყისში, მუსიკალურ სამყაროში რევოლუცია მოახდინა.

ერთი საინტერესო დეტალი: შონბერგს ეშინოდა ციფრი ცამეტისა. თუმცა, რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, ის 1874 წლის 13 სექტემბერს დაიბადა (გარდაიცვალა 1951 წლის 13 ივლისს).

# სიმფონიური ცენტრის სევდიანი დღესასწაული

"შემოდგომის თბილისი" 10 წლის იუბილეს ჯანსუღ კახიძის გარეშე აღნიშნავს

მადი სერებრიაკოვა



შემოდგომა თბილისის სიმფონიური მუსიკის ცენტრში, უკვე ათი წელია, ფესტივალით – "შემოდგომის თბილისი" – აღინიშნება. მოვლენა, რომელიც ყველაზე რთულ წლებშიც კი ხარისხისა და პრესტიჟის გარკვეულ დონეს ინრჩუნებდა, წელს განსაკუთრებული საფრთხის წინაშე დადგა. საფესტივალო მზადების პროცესში მისი დამფუძნებელი და წამყვანი დირიჟორი ჯანსუღ კახიძე გარდაიცვალა. მიუხედავად შემოქმედებითი თუ საორგანიზაციო კრიზისისა, სიმფონიური ცენტრი და თბილისის სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი ვახტანგ კახიძე 20 სექტემბრიდან დიდ მუსიკალურ დღესასწაულს გვპირდებიან, რომელსაც, ტრადიციულად, არც ინსტრუმენტული და საოპერო მუსიკის მსოფლიო ვარსკვლავები გამოაკლდებიან. იური ბაშმეტთან, ვიქტორ ტრეტიაკოვთან, ნატალია გუტმანთან, გარი ჰოფმანთან და სხვა უცხოელ ვარსკვლავებთან ერთად, თბილისის ფესტივალს გამოჩენილი თანამემამულეები: ელისო ვირსალაძე, ლადო ათანელი და ალექსანდრე კორსანტიაც ეწვევიან.

დაგეგმილი ფესტივალი შესახებ გუშინ სიმფონიურ ცენტრში ვახტანგ კახიძემ პრესკონფერენცია გამართა. როგორც აღინიშნა, მთავარი პრობლემა ფესტივალზე მოწვეული ვარსკვლავების მოზიდვა იყო, რომლებიც ჩვეულებრივ ჯანსუღ კახიძესთან აწარმოებდნენ მოლაპარაკებას. მაესტროს გარდაცვალების შემდეგ ვახტანგ კახიძე თვითონ დაუკავშირდა თითოეულ მათგანს – ამ უკანასკნელთ კი თავად გამოთქვეს ფესტივალზე ჩამოსვლის სურვილი. კონცერტებს ისინი ჯანსუღ კახიძის ხსოვნას მიუძღვნიან.

შემოდგომის ფესტივალს უკვე იუბილეების აღნიშვნის ტრადიციაც აქვს. 1997 წელს 5 წლის იუბილე საკმაოდ ფართოდ აღინიშნა: გამოვიდა სპეციალური კომპაქტ-დისკიც, რომელშიც 5 წლის მანძილზე შესრულებული საუკეთესო გამოსვლების ფრაგმენტები შევიდა. ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, წლევანდელი იუბილე "ვარსკვლავცვენითა" და მათი ყველაზე შთამბეჭდავი რეპერტუარით აღინიშნება: "ფესტივალი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მუსიკალური მოვლენა იქნება თბილისისათვის", – ამბობს ვახტანგ კახიძე.

ფესტივალის წლევანდელი პროგრამა საკმაოდ მრავალფეროვანია. გასულ წლებთან შედარებით გარკვეულ ცვლილებებსაც უნდა ველოდეთ. მაესტრო კახიძის ხსოვნის პატივისცემის ნიშნად, ორგანიზატორებმა ჯაზის საღამოს მოწყობა არაეთიკურად მიიჩნიეს. სიმფონიურ კონცერტებთან ერთად წარმოდგენილი იქნება საგუნდო და საოპერო კონცერტები, ასევე ფოლკლორული მუსიკის საღამო.

ფესტივალს ელისო ვირსალაძე გახსნის ბეთჰოვენის მესამე საფორტეპიანო კონცერტით. მომდევნო საღამოს შესრულდება ბეთჰოვენისავე მესამე სიმფონია და ფესტივალზე წარმოდგენილი ერთადერთი ქართველი კომპოზიტორის – თავად ვახტანგ კახიძისავე In Memoriam – რომელსაც იგი მამის ხსოვნას მიუძღვნის.

აღსანიშნავია იური ბაშმეტის მოსალოდნელი კონცერტი. ბაშმეტს თბილისში საკმაოდ კარგად იცნობენ. მისი წლევანდელი ვიზიტი კი ბრიტენის უცნობ კონცერტს დაუკავშირდება, რომელსაც იგი ვიქტორ ტრეტიაკოვთან და ელენე რევიჩთან ერთად შეასრულებს.

ამერიკელი ვიოლონჩელისტი გარი ჰოფმანიც უკვე ნამყოფია საქართველოში. იგი სამი წლის წინაც "შემოდგომის თბილისის" სტუმარი იყო. ჰაიდნის კონცერტების გარდა სიმფონიური ორკესტრი რაველის "ბოლეროსა" და "ესპანურ რაფსოდიასაც" დაუკრავს (ეს ნაწარმოები საქართველოში პირველად შესრულდება). პრემიერას შემოგვთავაზებს საქართველოს სახელმწიფო საგუნდო კაპელა და მუსიკალური ცენტრის ბიჭუნათა გუნდი - ისინი მოცარტის Missa brevis-ს შეასრულებენ. მოვისმენთ ორფის "კარმინა ბურანას", სტრავინსკის "კურთხეულ გაზაფხულსა" და "ფსალმუნთა სიმფონიასაც".

წელს გაზაფხულზე, სიმფონიურ ცენტრში, მოცარტის რექვიემიც შესრულდა. მიუხედავად მისი პოპულარობისა, ეს ნაწარმოები არცთუ ხშირად სრულდება. საგაზაფხულო პრემიერაზე რექვიემით ბევრმა ვერ ისიამოვნა, რადგან კონცერტზე დასწრება მხოლოდ განსაკუთრებული მოსაწვევებით იყო შესაძლებელი. ამ ფესტივალზე კი "რექვიემს" რიგითი მაყურებლისთვისაც გაიმეორებენ.

ალბათ, ქართველი მსმენელი განსაკუთრებით ალექსანდრე კორსანტიას კონცერტს ელის. პიანისტს დიდი ხანია, თბილისში არ დაუკრავს. წელს დაგეგმილი რეპერტუარი (ჩაიკოვსკის კონცერტი) მან 5 წლის წინ – ასევე "შემოდგომის თბილისის" საიუბილეო ფესტივალზე, ვახტანგ კახიძესთან ერთად, შეასრულა (მაშინ ჯანსუღ კახიძე ფესტივალს ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო).

5 ოქტომბერს დაგეგმილ ფოლკლორულ საღამოში მონაწილეობას მიიღებენ ხალხური გუნდები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან. შესაძლოა, კონცერტმა პოლიტიკური დატვირთვაც შეიძინოს, რადგან მასში აჭარული, ოსური და აფხაზური გუნდები იღებენ მონაწილეობას. როგორც გვითხრეს, კონცერტი ფანტასტიური შოუთი დაგვირგვინდება-ბოლო ნომერს ყველა გუნდი ერთად შეარულებს.

ფესტივალი 10 ოქტომბერს დაიხურება და ფინალური ღონისძიება ვერდის "მაკბეტის" პრემიერას დაეთმობა. "მაკბეტს" წინაისტორიაც აქვს. მისი საკონცერტო შესრულება ჯერ კიდევ ჯანსუღ კახიძემ დაგეგმა ოპერისა და ბალეტის თეატრში და მთავარი პარტიის შესრულება გამოჩენილ ქართველ ბარიტონს ლადო ათანელს მიანდო. ოპერის თეატრში სპექტაკლის პრემიერა დეკემბერშია დაგეგმილი, თუმცა,ლადო ათანელი მასში მონაწილეობას ვეღარ მიიღებს– თბილისში მისი ერთადერთი შესაძლო ვიზიტი მხოლოდ ოქტომბერში ხერხდება,ამიტომ იგი "მაკბეტის" ფრაგმენტებს "შემოდგომის თბილისზე" ოპერის თეატრის გუნდთან და ახალგაზრდა სოლისტთან – ირმა ბერძენიშვილთან ერთად შეასრულებს. სულ ცოტა ხნის წინ ქართველმა ბარიტონმა პლასიდო დომინგოსთან ერთად ჩაწერა მუსიკალური დისკი და ამჟამად მასთან ერთად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, საკონცერტო ტურნეში იმყოფება.

ამრიგად, სევდიანი განწყობის მიუხედავად, წლევანდელ ფესტივალზე მუსიკის დღესასწაული მაინც შედგება.

## ამბები

### ქართული მარიონეტების ევროპული ტურნე

რეზო გაბრიაძის მარიონეტების თეატრი ხანგრძლივი უცხოური საგასტროლო ტურნესათვის ემზადება. გასტროლები ინგლისში, ბელგიასა და საფრანგეთში 19 ოქტომბრიდან 20 აპრილამდე გაგრძელდება.

ინგლისში თეატრალური დასი ძველ სპექტაკლს - "სტალინგრადის ბრძოლას" უჩვენებს, ხოლო ბელგიასა და საფრანგეთში ახალ სპექტაკლს - "ჩემი გაზაფხულის შემოდგომას". ამ უკანასკნელის თბილისური პრემიერა 22 სექტემბერს აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის თეატრში გაიმართება. ეს სპექტაკლი რეზო გაბრიაძემ მარიონეტების თეატრში ჯერ კიდევ 80-ან წლებში დადგა და ამჟამად იგი მის განახლებულ ვარიანტს წარმოადგენს.

სპექტაკლის მხატვარი და მუსიკალური გამფორმებელი თავად რეჟისორია. სპექტაკლი წელს პირველად ამ ზაფხულს აჩვენეს შვეიცარიის ქალაქის, ლოზანას თეატრ "დიდ ლოზანაში".

### აფხაზეთის სახელმწიფო კაპელა მონაწილეობას მიიღებს ფესტივალში "მშვიდობა კავკასიას"

აფხაზეთის სახელმწიფო კაპელა მონაწილეობას მიიღებს 12-15 სექტემბერს ელისტაში გამართულ სამხრეთის რესპუბლიკებისა და რეგიონების მე-6 ფესტივალში "მშვიდობა კავკასიას".

ფესტივალის პროგრამით მოეწყობა მხატვართა ნამუშევრების გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იქნება აფხაზი მხატვრების: ნუგზარ ლოგუას, სერგეი ცვიჟბას და ვიტალი ჯენიას ნამუშევრები. მრგვალი მაგიდის მუშაობაში სახელწოდებით, "ჩრდილო კავკასია - კულტურის ფენომენი", მონაწილეობას მიიღებს აფხაზეთის ჰუმანიტაურული კვლევების ინსტიტუტის დირექტორი, ვასილ ავიძბა. 14 სექტემბერს ელისტაში გაიმართება ასოციაცია "ჩრდილოეთ კავკასიის" საკოორდინაციო საბჭოს (კულტურის განხრით) მორიგი სხდომაც, რომლის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს აფხაზეთის კულტურის მინისტრის მოადგილე, ნოდარ ფილია. **კავკას-პრესი**

### მოქანდაკეთა ბოიკოტი

ცნობილი მოქანდაკე, რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი ზურაბ წერეთელი არ მიიღებს მონაწილეობას იმპერატორი ალექსანდრე მეორის ძეგლის შესაქმნელად გამოცხადებულ კონკურსში. ამის მიზეზად მოქანდაკემ ჟურნალსტებს მოუცლელობა დაუსახელა. წერეთელი ამჟამად მუშაობს ონორე დე ბალზაკის ორ ძეგლზე, რომლებიც დაიდგმება ლა როშელსა და პარიზში; წერეთელი რომში ნიკოლოზ გოგოლის ძეგლის აღმართვასაც გეგმავს.

სარწმუნო წყაროს ცნობით, ალექსანდრე მეორის ძეგლის შესაქმნელად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს მიხეილ შემიაკინმა და ერნსტ ნეიზვესტნიმ. კონკურსი ალექსანდრე რუკავიშნიკოვსა და ვიაჩესლავ კლიკოვს შორის ჩატარდება.

### პაოლო იაშვილის იუბილეს გამოფენა მიეძღვნება

გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში პაოლო იაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიმართება. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება, პოეტის, მუზეუმში დაცული ლიტერატურული მასალები, მისი პორტრეტები, ნაწარმოებების ილუსტრაციები, წიგნები და პაოლო იაშვილის ოჯახის არქივიდან ამოღებული ხელნაწერები.

მუზეუმის დირექციის თქმით, პაოლო იაშვილთან დაკავშირებული მრავალი მასალა პოეტის ოჯახურ არქივში ინახება. მისი ოჯახი მზად არის, ეს მასალები გამოფენისთვის მუზეუმს დაუთმოს. მუზეუმში მოქმედი ლიტერატურული თეატრი გამოფენის დასრულების შემდეგ ლიტერატურულ სპექტაკლს გამართავს.

ლიტერატურის მუზეუმში პაოლო იაშვილისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოფენა 15 ოქტომბერს გაიმართება. მომავალში მუზეუმი გრიგოლ რობაქიძისა და ვაჟა-ფშაველას საარქივო მასალებსაც გამოფენს.

### ქართველი ბავშვები სპექტაკლებს ხუთ ენაზე წარმოადგენენ

თბილისის იტალიური სკოლის ბაზაზე საბავშვო თეატრი დაარსდება, სადაც პატარა მსახიობები სპექტაკლებს ხუთ ენაზე — ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ და ქართულ ენებზე წარმოადგენენ. თეატრის დაარსების იდეა რეჟისორ გოგი გაბელაიას ეკუთვნის. ახალ თეატრში მოსწავლეებს თბილისის სხვადასხვა სკოლებიდანაც მიიწვევენ და თეატრალური ინსტიტუტის სპეციალური პროგრამით, თეატრალურ ხელოვნებას შეასწავლიან.
ბავშვებს იქ უცხო ენისა და სასცენო მეტყველების გაკვეთილებსაც ჩაუტარებენ. როგორც ცნობილია, იტალიური სკოლის მოსწავლეები რამდენიმე წელია, რაც სპექტაკლებს იტალიურ ენაზე დგამენ და ყოველწლიურად იტალიის სხვადასხვა ქალაქებში მოგზაურობენ.
წლეულს საბავშვო დასმა გაბელაიას მიერ დადგმული სპექტაკლი „პინოქიო" იტალიის ხუთ ქალაქში წარადგინა. რეჟისორის თქმით, სპექტაკლმა დიდი მოწონება დაიმსახურა და პალერმოს მერის, ორლანდო ლეოლუკას მიწვევით, საბავშვო თეატრალური დასი იტალიაში მომავალ ზაფხულსაც გაემგზავრება. რეჟისორი გოგი გაბელაია მომავალი გასტროლებისთვის რამდენიმე სპექტაკლის დადგმას გეგმავს. **მედია-ნიუსი**

## საგამოფენო დარბაზები ☒

- ✓ **ეროვნული გალერეა**
ამერიკის საელჩოს მიერ მოწყობილი 11 სექტემბრის ტერაქტის ამსახველი ფოტოებისა და ქართველი მხატვრების ნამუშევართა გამოფენა.
- ✓ **თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
თანამედროვე ქართული გრაფიკა და ქანდაკება.
- ✓ **TMS**
თანამედროვე ქართველ მხატვართა გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა.
- ✓ **ქარვასლა**
ფრანგი ფოტოგრაფების ნამუშევრების გამოფენა.
- ✓ **სახანძრო ტექნიკური გამოფენის დარბაზი**
11 სექტემბრის ამსახველი ექსპონატების გამოფენა.

## კინოთეატრები ☒

- ✓ **ამირანი**

სტივენ სპილბერგის "ითი უცხო პლანეტელი"
დას: 13:00; 15:00; 20:00 სთ.; ფასი: 6-7 ლარი

ბრაიან დე პალმას "საბედისწერო ქალი",
ანტონიო ბანდერასის მონაწილეობით
დას: 17:00; 23:00 სთ; ფასი: 7-8 ლარი

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადახდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

# კვირის პროგრამა



## ორშაბათი 16.09

### რუსთავი - 2

16.09 07.00 მუსიკა 07.30 დრაკონთა მომთვინიერებელნი 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 ქალთა ქვეყანა 10.40 გურმანთა მეგზური 11.10 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "ოცნების კოშკები" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი 18.00, 21.00 კურიერი 18.20 სერიალი "ტალღის ქიმზე" 19.20 სასამართლო დარბაზი 19.50 სერიალი "ოცნების კოშკები" 22.00 "ხალხის პირისპირ" 22.50 კურიერი 00.05 მხ.ფილმი "ფრანგი მეკავშირე" მთ.როლებში ჯიმ ჰეკმანი, როი შაიდერი. 01.50 კურიერი. 02.00 კლასიკა.

### პირველი არხი

07.30 ალიონი 09.45 "დრო და ფული" 10.00 მხ. ფილმი "შეიძლება" 11.45 "მოდი ვიცეკვოთ" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი "რვაფეხა" 13.00 ნაშუადღევს 14.05 "პალიტრა" 14.30 "საქართველო და გარე სამყარო" 15.15 მხ. ფილმი "ორი ღამე კლეოპატრასთან ერთად" 16.25 "ტოპ-მოდელები" 16.45 სერიალი "ძილის წინ" 17.05 50-50 17.40 დოკ. ფილმი "გემრიელად მიირთვით, ბავშვებო" 18.00 "ვესტნიკი" 18.20 ბასტი-ბუბუ 18.40 "მრავალჟამიერ" 19.05 ვიდეოპატრული 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 სერიალი "რვაფეხა" 22.00 "დრო და ფული" 22.10 დოკ. სერიალი "ყველაზე, ყველაზე საკვირველი" 23.00 "დღის ბოლოს" 23.40 სერიალი "ძილის წინ" 00.00 მხ. ფილმი "ამელი მონმარტრიდან"

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი 20.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 21.00 დოკ. ფილმი "მოგზაურობა" 21.40 მიზანი 22.10 მხ. ფილმი "სამიზნე"

### ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი" 10.15 მულტფილმი 11.45 მუსიკალური კოლაჟი 12.30 მხ. ფილმი "ირმებზე მონადირე" 14.30 დოკ. ფილმი "თანამედროვე ევროპა" 15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 18.30 რუსული ენის გაკვეთილი 19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 ექსტრაორდინალური 20.30 მუსიკალური ტაიმ-აუტი 20.40 პირველი ნაბიჯები 21.30 "ტალანტები და თაყვანისმცემლები" 22.30, 00.15 ინდური კინოს მოყვარულებს. მხ. ფილმი "მსოფლიოს აღმოჩენა"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.15 აღსავალი 08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 19.40, 21.35, 00.25 მუსიკა 08.30 მხ.ფ. "შეინარჩუნო რწმენა" 10.20 მხ.ფ. "სიკვდილი წყალში" 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 13.10, 18.00 მულტფილმი 14.10 დოკუმენტური ფილმი 17.30 საგავშვო სერიალი "არაჩვეულებრივი არდადეგები" 18.45 ბუნების ფერები 19.30 ბურთი და მოედანი 20.00 მხ.ფ. "მზის დევნაში" 22.15 მხ.ფ. "მე აფრიკაზე ვოცნებობდი" 00.30 ღამის ფილმი

### პირველი სტერეო

07.00 კლიპ-მიქსი 07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა" 08.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა" 11.00 "მუსიკალური ათეული" გამეორებით 12.00 "მო" განმეორებით 13.30 "არასარეკლამო ათეული" განმეორებით 13.45 "ცენტრი" გამეორებით 14.45 მხ.ფილმი 17.00 "სწ.მედია" მხ.ფ. "დინოტოპია" 19.00 ქართული მუსიკა 19.30 "მო" 21.00 ევროპული ათეული 22.00 უცნობი 22.45 "პა-სეანსი" 23.00 მუსიკა 00.00 "ბრავო" მხ.ფ. "არც ერთი სიტყვა". მთ. როლებში მაიკლ დუგლასი, შონ ბინი 01.40 "ღამურა" მხ.ფ. "ყორანი - შურისძიების ფრთები" მთ. როლებში მარკ დაკასკოსი, მარკ გომესი 03.10 ნონ-სტოპი

### კავკასია

12.00 მხ.ფ. "ქუსლები" 13.40 მხ.ფ. "ლონდონელი ნაგაზები" 15.10 მხ.ფ. "თავში უქრის" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "მოჩვენება და ბნელეთი" 19.20 სპექტრი 21.00 მხ.ფ. "ღმერთების საიდუმლო"

### მეცხრე არხი

09.10 სად? რა? როდის? 10.00, 15.00 "დილა" 11.45 მხ. ფიმლი "კომანდო" 13.15 მხ. ფილმი "თბილისი ჩემი სახლია" 14.30, 17.15, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები" 14.45 მაცაცერა 16.45 დოკ. ფილმი "გ. ლაღიძე" 17.45 მულტფილმი "შეჰრაზადა" 51-ე სერია 18.15 საგავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" 51-ე სერია 18.45 ჟურნალი "საბჭოთა საქართველო" 19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" მე-6 სერია 20.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი" 21.10 მუს. დოკ. ფილმი "ეს სანახაობაა" 22.10 მხ.ფ. "ჩრდილში". მთ. როლებში მეთიუ მოდინი, ჯეიმს კაანი 23.45, 00.20 მუსიკა 00.40 მხ.ფ. "ლანსელოტი დროის გმირი" მთ. როლებში მარკ სინგერი, ჯონი სექსონი

### აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 Новости в воскресенье 09.50 ქართული მხატვრული ფილმი 11.10 დოკუმენტური ფილმი 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება 12.15 ფილმი-ზღაპარი "ჰაჩიპუჩი" 13.45 ისტორიული ფილმი "ბაუნტი" 16.15 მულტსერიალი 17.30 თრილერი "რეპორტაჟი" 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30 დოკუმენტური ფილმი 20.20 ქართული მხატვრული ფილმი 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 23.00 დოკუმენტური ფილმი 01.00 თრილერი "8 მილიმეტრი" 03.30 მელოდრამა "ქალბატონის პორტრეტი"

### VII არხი

09.00 ანონსი 09.05 ამინდის პროგნოზი 09.10 მოკლედ... პრესის მიმოხილვა 09.20 "აჩიკუდა" 09.50 მოკლედ... სპორტი 09.55 "სახლიდან გაუსვლელად" -აუდიო-ვიდეო-ტელე 10.25 მელოდია 11.00 ანიმაცია 11.15 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 11.45 "ოზიექტივი" 12.40 "ბრძოლა წესების გარეშე" 12.55 "სახლიდან გაუსვლელად" - ავეჯი 13.00 დისნეი და მისი მეგობრები 13.20 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა 14.00 სპორტი 14.05 მოკლედ... პრესის მიმოხილვა 18.10 პრესა 18.15 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 18.45 მელოდია 18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები 19.00 "აჩიკუდა" 19.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი 19.40 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 20.10 "ფაქტი, აზრი, კომენტარი" 20.20 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ევროპის ჩემპიონატის მიმოხილვა 21.00 "ლა-ლა-ლა" 21.45 მოკლედ... ასტროლოგიური პროგნოზი 21.50 "ბრძოლა წესების გარეშე" 22.10 მოკლედ... სპორტი 22.15 მოკლედ... პრესის მიმოხილვა 22.25 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა 23.00 "კინოკლუბი " - "ცვილის ფიგურების მუზეუმი" ა.შ.შ. 1991 წელი. საშინელებათა ჟანრის. რეჟისორი - ენტონი ჰიკოკსი. როლებში: ზაქ გალიგანი, ალექს გოდუნოვი. 00.40 პრესის მიმოხილვა 00.45 "სახლიდან გაუსვლელად" - ავეჯი 01.00 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი 01.10 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 01.40 "ზიორითმი" - ბრიტნი სპირსი 02.05 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости. 10.15 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ". 11.10 "ЛЮБОВЬ С ПРИВИЛЕГИЯМИ" 1-я с. 12.30 "Ералаш" 12.40 "ТВИНИСЫ" 13.15 Детектив "ИЗ ЛЮБВИ К ИСКУССТВУ" 15.00, 20.50 "ОСТАНОВКА ПО ТРЕБОВАНИЮ-2" 15.05 "Ералаш" 15.20 Человек и закон 16.15 "ВТОРОЙ БЕТХОВЕН" 18.00 "Большая стирка" 19.25 "С легким паром" 20.00 "Жди меня" 21.00 х.ф. "ФАТАЛИСТЫ" 1-я с. 22.00 Время. 22.40 "УБОЙНАЯ СИЛА: РОЛЬ ВТОРОГО ПЛАНА" 23.45 "ЗАТЕРЯННЫЙ МИР" 1-я с. 00.30 Док. Детектив "Шампанское для покойника" 01.00 Ночное "Время" 01.20 "СВИДЕТЕЛЬСТВО О БЕДНОСТИ"

### РТР

06.45 "Доброе утро, Россия". 09.45 х.ф."ОХОТНИКИ ЗА ПРИВИДЕНИЯМИ" 11.50 Вести. Дежурная часть. 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.20 ВЕСТИ. 12.20 Форт боярд. 13.20 В "Городке" 13.25 Вести недели 14.30 ВЕСТИ - МОСКВА. 15.20 ВЕСТИ - СПОРТ. 15.25 "Что хочет женщина". Ток-шоу. 16.25 Стань звездой. 17.20 Сериал "ПРОСТЫЕ ИСТИНЫ". 18.20 Вера, надежда, любовь. 19.20, 21.35 Местное время. ВЕСТИ-МОСКВА. 19.50 Сериал "ВОРОВКА. СЧАСТЬЕ НАПРОКАТ". 20.50 Спокойной ночи, малыши! 21.55 "КАМЕНСКАЯ-2" 23.05 "ЗАКОН". 00.35 Док.сериал "Оружие России.Стерегущие небо". 01.30 Синемания.

### НТВ

07.00 Утро на НТВ. 10.00 "Растительная жизнь". 10.35 "Вы будете смеяться". Юрий Гальцев. 11.00 "Сегодня утром" с Петром Марченко. 11.20 Погода на завтра. 11.25 "Намедни" 12.05 Криминал. 12.00 Сегодня. 13.05 х.ф."СВАДЕБНЫЙ ПЕРЕПОЛОХ" 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00 Сегодня. 15.05 "Криминальная Россия" 15.35 "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО" 16.40 Ток-шоу "Принцип "Домино". 18.05 Экстрем. шоу "Фактор страха" 19.05 "Внимание Розыск!" 20.00 Сегодня с Т.Митковой 20.35 Сериал "КЛЮЧИ ОТ СМЕРТИ" 5-я с. 21.45 "СЕЗОН ОХОТЫ" 1-я с. 23.00 "Сегодня вечером" 23.35 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 00.35 "КЛЮЧИ ОТ СМЕРТИ" 01.40 ГОРДОН

## სამშაბათი 17.09

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა 07.30 ჯუნგლების წიგნი 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 ქალთა ქვეყანა 10.40 გურმანთა მეგზური 11.10 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "ოცნების კოშკები" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 ქალთა ქვეყანა 18.00, 21.00 კურიერი 18.20 სერიალი "ტალღის ქიმზე" 19.15 პერეკროსტოკი 19.50 სერიალი "ოცნების კოშკები" 22.00 "ვის უნდა ოცი ათასი" 22.50 კურიერი 23.40 ჩემპიონთა ლიგა. "რომა"-"რეალი". 02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა. 02.50 კურიერი. 03.00 კლასიკა.

### პირველი არხი

07.30 ალიონი 09.45 "დრო და ფული" 10.00 "ზოოპარკი" 10.30 ჩოგბურთელ ქალთა თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 სერიალი "რვაფეხა" 13.00 ნაშუადღევს 14.05 ჩოგბურთელ ქალთა თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი 15.15 მხ. ფილმი "მსახიობები" 16.55 სერიალი "ძილის წინ" 17.15 შემეცნებითი ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" 17.40 დოკ. სერიალი "გემრიელად მიირთვით, ბავშვებო" 18.00 ვესტნიკი 18.20 ბასტი-ბუბუ 18.40 "და არს მუსიკა" 19.05 "ვიდეოპატრული" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 სერიალი "რვაფეხა" 22.00 "დრო და ფული" 22.15 "სათავეებთან" 23.00 "დღის ბოლოს" 23.40 ტელესერიალი "ძილის წინ" 00.00 მხ. ფილმი "ბასკერვილების ძაღლი"

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.25 საბავშვო კონცერტი 19.40 სერიალი 20.30 ამბები ჩვენზე 21.00 დოკ. ფილმი "ინგლისი" 21.30 ასპარეზი 22.10 მხ. ფილმი "ვაჟიშვილის ოთახი"

### ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი" 10.15 მულტფილმი 11.45 მუსიკალური კოლაჟი 12.25, 21.30 "სალონი" 14.00 მუსიკალური პაუზა 15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 18.30 რუსული ენის გაკვეთილი 19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 მუსიკალური ტაიმაუტი 20.00 მსოფლიო სპორტი 23.00, 00.15 მხ.ფ. "ღრუბლების მიღმა"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.15 აღსავალი 08.20, 10.45, 14.10, 17.20, 19.30, 21.45, 22.15, 00.45 მუსიკა 08.30 მხ.ფ. "მზის დევნაში" 10.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 10.15 ბურთი და მოედანი 10.25 საბავშვო სერიალი "არაჩვეულებრივი არდადეგები" 10.50 მხ.ფ. "მე ვოცნებობ აფრიკაზე" 13.10, 17.30 მულტფილმი 18.00 დოკუმენტური ფილმი 20.00 მხ.ფ. "უკანმოუხედავად" 22.30 ძველი კინო "ტაქსისტი" 00.50 ღამის ფილმი

### პირველი სტერეო

07.00 კლიპ-მიქსი 07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა" 08.00 "ტოროლა" 11.00 "მუსიკალური ათეული" განმეორებით 13.00 "ვიდეო-რადიო" განმეორებით 13.45 მხ. ფილმი 17.00 "სწ.მედია" მხ.ფ. "დინოტოპია" 19.00 ქართული მუსიკა 19.30 "მო" 21.00 ევროპული ათეული 22.00 ჩაძიროგანა 23.00 მოკლე სეანსი 23.00 მუსიკა 00.00 "ბრავო" მხ.ფ. "მექალთანე". მთ. როლებში ელიზაბეტ ჰარლი, დენის ლირი 01.40 "ღამურა" მხ.ფ. "საცეცები". მთ. როლებში ჯეი ჰარინგტონი, დევიდ ბირკროფტი 03.10 ნონ-სტოპი

### კავკასია

12.00 მხ.ფ. "ღმერთების საიდუმლო" 15.00 მხ.ფ. "ვარსკვლავური კარიბჭე" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ.ფ. "გასვენება" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "ხსოვნის დღე" 22.30 მხ.ფ. "კასაბლანკა"

### მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები" 09.20 მულტფილმი "შეჰრაზადა" 51-ე სერია 09.45 საგავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" 51-ე სერია 10.15 მხ. სერიალი "მოჯადოება" მე-6 სერია 11.15 მხ. ფილმი "ჩრდილში" 13.00 დოკ. ფილმი "ქიმერა" 14.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი" 14.45 მხ. ფილმი "ლანსელოტი დროის მიღმა" 16.15, 23.55, 00.20 მუსიკა 16.30 მხ. სერიალი "დაშნის დედოფალი" მე-6 ნაწილი 17.15, 18.45 ჟურნალი "საბჭოთა საქართველო" 17.45 მულტფილმი "შეჰრაზადა" 52-ე სერია 18.15 საგავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" 52-ე სერია 19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" მე-7 სერია 20.00 "ევროპის სტადიონებზე" 21.10 დოკ. ფილმი "ეს სანახაობაა" 22.10 მხ.ფ. "პირველი ცხრანახევარი კვირა" მთ. როლებში პოლ მერკურიო, მაიკლ მაკდაუელი 00.40 მხ.ფ. "სიღრმეში". მთ. როლებში ქირსთენ დანსთი, ჯულია გრენდენი

### აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 ქართული მხატვრული ფილმი 10.55 დოკუმენტური ფილმი 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება 12.15 კომედია "დაასწარი, ფრედი" 13.45 მხატვრული ფილმი "შორეული შორეთი" 16.15 მულტსერიალი "გუფი და მისი მეგობრები" 17.20 დეტექტივი "ორი ამხანაგი" 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30 დოკუმენტური ფილმი 20.20 ქართული მხატვრული ფილმი 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.05 "რა არ ხდება" 23.15 დოკუმენტური ფილმი 01.05 მხატვრული ფილმი "44-ის აგვისტოში" 03.30 მხატვრული ფილმი "მოცეკვავის დრო"

### VII არხი

09.00 ანონსი 09.05 ამინდის პროგნოზი 09.30 მოკლედ... პრესის მიმოხილვა 09.40 "აჩიკუდა" 10.05 "ბედნიერი ერი" 10.10 მოკლედ... სპორტი 10.05 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა 10.45 მოკლედ... სპორტი 10.50 "ავტოტრეკინგი" 11.35 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ევროპის ჩემპიონატის მიმოხილვა (განმეორებით) 12.15 ანიმაცია 12.35 "სახლიდან გაუსვლელად" - ავეჯი 12.50 "ბრძოლა წესების გარეშე" 13.10 მოკლედ... ტექნიკა 13.15 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 13.50 "ზიორითმი" - ბრიტნი სპირსი 14.10 დისნეი და მისი მეგობრები 14.30 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 15.10 სპორტი 15.15 მოკლედ... პრესის მიმოხილვა 18.10 პრესა 18.20 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა 18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები 19.00 "აჩიკუდა" 19.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი 19.40 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 20.10 "ფაქტი, აზრი, კომენტარი" 20.20 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა 21.10 "ღამის კაპრიზი" 22.05 "სახლიდან გაუსვლელად" - ავეჯი 22.20 მოკლედ...ასტროლოგიური პროგნოზი 22.30 მოკლედ... სპორტი 22.40 მოკლედ... პრესის მიმოხილვა 22.45 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო - ვიდეო -ტელე 23.15 "კინოკლუბი " - "ჟირვეულის მორჯულება" იტალია. 1984 წელი. კომედია. რეჟისორი - კასტელანო პიპოლო. როლებში: ადრიანო ჩელენტანო, ორნელა მუტი. 00.50 პრესის მიმოხილვა 01.00 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი 01.10 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 01.45 "ზიორითმი" - ბრიტნი სპირსი 02.10 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.15 "Жди меня" 11.15 "ЛЮБОВЬ С ПРИВИЛЕГИЯМИ" 2-я с. 12.35 Дисней-клуб: "Переменка" 13.15 Детектив "КАНДИДАТ НА УБИЙСТВО" 15.05 Фильм "ФАТАЛИСТЫ" 1-я с. 16.15 Док. Детектив "Шампанское для покойника" 16.50 "УБОЙНАЯ СИЛА: РОЛЬ ВТОРОГО ПЛАНА" 18.00 "Большая стирка" 19.25 "Кумиры". Раиса Рязанова 19.55 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ". 20.55 Фильм "ФАТАЛИСТЫ" 2-я с. 22.00 Время. 22.40 "УБОЙНАЯ СИЛА: ДАЧНЫЙ СЕЗОН" 23.45 "ЗАТЕРЯННЫЙ МИР" 00.30 Док. Детектив "Вьетнамское подполье Москвы" 01.00 Ночное "Время" 01.20 "РАЗДВОЕНИЕ ЛИЧНОСТИ"

### РТР

06.45 "Доброе утро, Россия". 09.45 "КАМЕНСКАЯ-2" 10.50 "Два рояля". 11.50 Вести. Дежурная часть. 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.20 ВЕСТИ. 12.20 Сериал "ЗАКОН". 13.25 Ток-шоу "Цена успеха". 14.30 "Колоссальное хозяйство". 14.45 ВЕСТИ - МОСКВА. 15.20 ВЕСТИ - СПОРТ. 15.25 "Что хочет женщина". Ток-шоу. 16.25 Сериал "ДИКИЙ АНГЕЛ. ВОЗВРАЩЕНИЕ". 17.20 Сериал "ПРОСТЫЕ ИСТИНЫ". 18.20 Док.фильм "Исторический детектив. Брилианты для мировой революции" 19.20, 21.35 Местное время. ВЕСТИ-МОСКВА. 19.50 "ВОРОВКА. СЧАСТЬЕ НАПРОКАТ". 20.50 Спокойной ночи, малыши. 21.55 Сериал "КАМЕНСКАЯ-2". 23.05 Сериал "ЗАКОН". 00.35 "РУССКАЯ РУЛЕТКА" 02.15 Горячая десятка.

### НТВ

07.00 Утро на НТВ. 09.55 "СЕЗОН ОХОТЫ" 1-я с. 11.00 "Сегодня утром" с Петром Марченко. 11.20 Погода на завтра. 11.25 Служба спасения 12.00, 13.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00 Сегодня. 12.05 "Фарш-мажор" 13.20 "СОТВОРИ БОЙ" 15.05 "Криминальная Россия" 15.35 "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО" 16.40 Ток-шоу "Принцип "Домино". 18.05 "ЛУЧШИЕ ИЗ ЛУЧШИХ-2" 20.00 Сегодня с Т.Митковой 20.35 Сериал "КЛЮЧИ ОТ СМЕРТИ" 21.45 "СЕЗОН ОХОТЫ" 2-я с. 23.00 "Сегодня вечером" 23.35 Футбол.Лига чемпионов."БАЗЕЛЬ"-"СПАРТАК" 01.35 ГОРДОН 02.35 Дневник Лиги чемпионов.

## ოთხშაბათი 18.09

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა 07.30 ჯუნგლების წიგნი 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 ქალთა ქვეყანა 10.40 გურმანთა მეგზური 11.10 ვის უნდა ოცი ათასი 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "ოცნების კოშკები" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 ქალთა ქვეყანა 18.00, 21.00, 02.50 კურიერი 18.20 დრაკონთა მომთვინიერებელნი 18.55 სერიალი "ტალღის ქიმზე" 19.50 სერიალი "ოცნების კოშკები" 22.00 "ხალხის პირისპირ" 22.50 კურიერი 23.40 ჩემპიონთა ლიგა. "ბაიერნი"-"დეპორტივო". 02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა. 03.00 კლასიკა.

### პირველი არხი

07.30 ალიონი 09.45 "დრო და ფული" 10.00 "ქართული ენის გაკვეთილი" 10.30 ჩოგბურთელ ქალთა თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 სერიალი "რვაფეხა" 13.00 ნაშუადღევს 14.05 ჩოგბურთელ ქალთა თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი 15.15 მხ. ფილმი "სიყვარულის ანატომია" 16.40 "ზღვარი" 17.05 50-50 17.40 დოკ. სერიალი "გემრიელად მიირთვით, ბავშვებო" 18.00 ვესტნიკი 18.20 ბასტი-ბუბუ 18.40 "ისტორიანი" 19.05 "ვიდეოპატრული" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 სერიალი "რვაფეხა" 22.00 "დრო და ფული" 22.10 "მიამბეთ თქვენზე" 23.00 "დღის ბოლოს" 23.40 ტელესერიალი "ძილის წინ" 00.00 მხ. ფილმი "ჰოლივუდის ნიშნით"

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი 20.30 და არც მუსიკა 21.00 დოკ. ფილმი 21.30 წარსულის ტერიტორია 22.10 მხ. ფილმი "შესაძლებელია"

### ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი" 10.15 მუსიკალური ტაიმ-აუტი 10.45, 22.30 მსოფლიო სპორტი 11.45 მუსიკალური კოლაჟი 12.25 სალონი 15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 18.30 რუსული ენის გაკვეთილი 19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 მხ. ფილმი "გამარჯობათ, მე თქვენი დეიდა ვარ" 21.30 თინეიჯერი 23.30, 00.30 მხ.ფ. "განკითხვის დღე"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.15 აღსავალი 08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 00.25 მუსიკა 08.30 მხ.ფ. "უკანმოუხედავად" 10.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 10.20 ძველი კინო "ტაქსისტი" 13.10, 18.00 მულტფილმი 14.10 დოკუმენტური ფილმი 17.30 საგავშვო სერიალი " არაჩვეულებრივი არდადეგები" 18.45 ბუნების ფერები 20.00 მხ.ფ. "ზღვის მგელი" 22.15 მხ.ფ. "კეიტი და ლეო" 00.30 ღამის ფილმი

### პირველი სტერეო

07.00 კლიპ-მიქსი 07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა" 08.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა" 12.00 "მუსიკალური ათეულის" განმეორებით 13.45 მხ.ფილმი 17.00 "სწ.მედია" მხ.ფ. "დინოტოპია" 19.00 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეო-რადიო 21.00 მიქს-ათეული 21.45 "მოკლე სეანსი" 22.00 "ინფარმატორი" 22.30 "არასარეკლამო ათეული" 22.45 "პა-სეანსი" 23.00 მუსიკა 00.00 "ბრავო" მხ.ფ. "რთული ფული". მთ. როლებში ველ კილმერი, კრისტიან სლეიტერი 01.50 "ღამურა" მხ.ფ. "პითონი" მთ. როლებში კასპერ ვან დიენი, რობერტ ინგლუნდი 03.20 ნონ-სტოპი

### კავკასია

12.00 მხ.ფ. "ხსოვნის დღე" 13.30 მხ.ფ. "კასაბლანკა" 15.10 მხ.ფ. "ეშმაკის საკუთრება" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ.ფ. "ჩემი დედინაცვალი უცხოპლანეტელია" 19.20 სპექტრი 21.00 მხ.ფ. "დიდი რბოლა"

### მეცხრე არხი

